„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განათლების უფლებები

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი | 2009 წ. მაისი-ივნისი* №21 * ფასი 1 ლარი



გურამ შარაძის გამოუქვეყნებელი ინტერვიუ ობილისის არქიეპისკოპოს მღვიმეელები ფიესივნენ

გვ. 3-4

თარგამაძე საკაშვილის გადარჩენას ცდილობს

გვ.15

საკაშვილი ოპოზიციას სთავაზობს დიალოგს... 2013 წლამდე

ლეილა ცომაია

გაერთიანებული არასაპარლამენტო ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლები სააკაშვილის დიქტატორულ-პოლიციური და ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმის წინააღმდეგ არ წყდება. პარლამენტის წინ 9 აპრილს დაწყებული მიტინგები სააკაშვილისა და მისი სახელისუფლებო ხროვის გადადგომის მოთხოვნით, თუმცა დღემდე პერმანენტულად მიმდინარეობს, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ იგი თავის აქტიურ ფაზაში შედის, არამედ აშკარაა საფრთხე მოსახლეობის საპროტესტო მუხტის განელებისა. მომიტინგეთა რაოდენობა დღითიდღე კლებულობს. ხალხის მასები კარგავენ იმედს და რწმენას ამგვარი მშვიდი, საინფორმაციო მიტინგებით სასურველი შედეგის მიღწევისა. თითქმის ორთვიანი ხანგრძლივობის საპროტესტო გამოსვლებმა და მარტოოდენ დედაქალაქის ცენტრალური ნაწილის პარალიზებამ ვერაფერი შედეგი გამოიღო, გარდა პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძეს და სააკაშვილთან წარმოებული პირდაპირი დიალოგისა (ზურაბიშვილი, შარტავა, სანიკიძე, გაჩეჩილაძე, ალასანია და სხვა); ჭკუამხიარული სააკაშვილი, ამ გაგანია პოლიტიკური და სახელისუფლო კრიზისის ჟამსაც ნირშეუცვლელად ლაღობს და დანავარდობს. უბედურე-

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

ბა ის არის, რომ ქვეყანას არა ჰყავს სახელმწიფოებრივად პასუხისმგებელი პირი; აგვისტოს ომის სამარცხვინო მარცხისა და კატასტროფული შედეგების გამო, დღემდე პასუხისმგებლობა არ აუღია და არ გადამდგარა ხელისუფლების არც ერთი ოფიციალური პირი და ისინი, არც ამჟამინდელი საყოველთაო კრიზისის გამო აპირებენ გადადგომას.

ასეთი უტიფარი და ქვეყნის დამანგრეველი ხელისუფლება უნდა

გაირეკოს, რისთვისაც ოპოზიციამ უფრო გაბედულად უნდა იმოქმედოს! კონსტიტუციით, ქართველ ხალხს, ისევე როგორც ცივილიზებული მსოფლიოს ხალხებს, აქვთ აჯანყების უფლება.

ოპოზიციამ უნდა გაისიგრძეგანოს, რომ დრო უკვე მათთვის საშიშ ბუმერანგის თვისებას იძენს, ხოლო სააკაშვილის სასარგებლოდ მოქმედებს; თუ საპროტესტო ტალღა კვლავ მხოლოდ თბილისში იქნება აკუმულირებული და არ მოედო საქართველოს ქალაქების მნიშვნელოვან ნაწილს (რაც ისედაც დაგვიანდა) და არ „აგორდა“, სააკაშვილის გაიძვერა ხელისუფლება, წაყრუებითა და მიტინგების თვითდინებაზე მიშვებით უვნებლად და თავისთავადად „მოკლავს“ ამ აქციებს.

ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით, ოპოზიციამ უარი თქვა ხელისუფლებაზე ზეწოლის ისეთ მნიშვნელოვან ბერკეტზე, როგორიცაა მასობრივი შიმშილობები, რაზეც ყველაზე მეტად რეაგირებს მსოფლიოს უფლებადაცვითი ორგანიზაციები და პოლიტიკური წრეები.

გაერთიანებული არასაპარლამენტო ოპოზიცია, აგრეთვე არა და არ მიმართავს, არც სახელმწიფო და არც კერძო სექტორში მშრომელთა გაფიცვებს და სტუდენტთა საპროტესტო აქციებში მასობრივ ჩართვას, რაც ასევე ძალზე ეფექტური საშუალებაა და რასაც, რა თქმა უნდა, ლიდერთა დიდი ძალისხმევა სჭირდება.

ოპოზიცია მიზანმიმართულად გაურბის ხალხისთვის უდიდესი მნიშვნელობის საკითხების მიტინგებზე და ელექტრონული მედიით გაშუქებას, მაგალითად შრომის უფლება, რაც ნათელია, რატომ! 2006 წლის 25 მაისს მიღებული შრომის კოდექსი იმდენად ანტიჰუმანურია (ადამიანის შრომა განიხილება ნივთის კატეგორიაში), იმდენად ანტიეროვნულია (ქართველი მშრომელი დისკრიმინირებულია უცხოელის წინაშე), იმდენად ანტისოციალურია (ეფუძნება რა შიმშილის დისციპლინის იძულებას), რომ იგი ხალხს სასიკეთოს არაფერს აძლევს. არსებულ შრომის კოდექსს კი ხმა მისცა არა მხოლოდ ნაციონალურმა მოძრაობამ, არამედ დღევანდელმა ოპოზიციამაც სრული შემადგენლობით, პარლამენტის სპიკერის ნინო ბურჯანაძის ინიციატივით. ამიტომაც არ იდებენ თავს, ამ საკითხზე ხალხის ყურადღების მიპყრობას და ვეჭვობთ, რომ მათი პარლამენტში დაბრუნების შემთხვევაშიც შეცვალონ ეს „დრაკონული“ კოდექსი.

გაერთიანებული არასაპარლამენტო ოპოზიცია გვერდს უვლის ქართული სოფლის პრობლემას, რაც, აგრეთვე ნათელია, რატომ! ამ ოპოზიციამ, პარლამენტში მყოფ ანტიეროვნულ კანონმდებლებთან ერთად ხმა მისცეს, მიწის და განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უცხოელებზე გაყიდვას.

ოპოზიცია, ვერც განათლების სისტემას სთავაზობს რასმეს და ვერც უმუშევრებს, ვინაიდან, არც, ეს ოპოზიცია განიხილავს ამ ადამიანებს სოციალურ პარტნიორებად, არამედ მხოლოდ ამომრჩევლებად.

პოლიტიკური უმწიფარობა და სტრატეგიული შეცდომა იყო ირაკლი ალასანიას ოპოზიციონერად შერაცხვა და ლამის გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერად გარდაქცევა. ამ უფლებით ირ. ალასანიამ ერთპიროვნულად მიიღო კიდეც გადაწყვეტილება „საზოგადოებრივი ტელევიზიის“ წინამდებარე ტერიტორიიდან „საკნების“ გადაადგილებისა და კოსტავას ქუჩის გახსნის შესახებ, ხოლო იმავე დღეს (14 მაისს), გვიან ღამით იგი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში ჯონ ტეფტს, საერთაშორისო ორგანიზაციების უცხოელ წარმომადგენლებსა და დიპლომატებს. ერთპიროვნული შეხვედრა დახურულ კარს მიღმა წარიმართა. საუბრის შინაარსი დღემდე უცნობი და გასაიდუმლოებულია.

ალასანია იშვიათად ჩნდება მიტინგებზე, იგი ძირითადად, საზღვარგარეთ ვიზიტებითა და უცხოელ პოლიტიკურ წრეებთან შეხვედრებითა და მოლაპარაკებებით არის დაკავებული, რაც ადასტურებს, რომ იგი დღესაც მოქმედი დიპლომატია. მისი „გაოპოზიციონერება“, ოდენ, საქართველოში საპროტესტო ტალღის წარმოქმნის ადექვატურად მოხდა და არსებული პრეზიდენტის სავარძლის რყევით იყო ნაკარნახევი.

იმ შემთხვევაში, თუ დღეს უკვე გულისხმაში ჩავარდნილი და გონსმოსული ოპოზიცია ხისტად, ერთი ხელის გაქმნევით მოიშორებს, თუ მოიკვეთს ალასანიას, ამ ფაქტზე მასმედია და საერთაშორისო პოლიტიკური წრეები „შავ პიარს ააგორებენ“ და ფაქტს „ოპოზიციაში განხეთქილებად მონათლავენ“, რაც იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული თვალსაზრისით ოპოზიციას დააზარალებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ალასანია აქ მარტო არ არის, არამედ მას ოპოზიციაში თავისი კლანური პოლიტიკური პარტნიორები და ლობისტებიც ჰყავს „ახალი მემარჯვენეების“, „რესპუბლიკელების“, გოგა ხაინდრავასა და გია ყარყარაშვილის სახით. ალასანიას მოკვეთის მცდელობის დროს, ოპოზიციას მათთანაც მოუწევს შებმა.

ახალგაზრდა დიპლომატი ირაკლი ალასანია დასავლეთისა და ევროპის პოლიტიკური კოზირია.

რევოლუციური საქართველოს ფონზე, ცხადია, არც რუსეთს სძინავს; ერთი შეხედვით ქვიშაში განაბული გიურზა ედუარდ შევარდნაძე, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს საკუთარი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძალებით, მაგალითად - საზოგადოება „თბილისელების“ რეინკარნაცია „ქართული აკადემიით“ (ნუკრი ქანთარია, ივანე კიღურაძე და სხვა) მოძრაობა „საქართველოს გადარჩენისთვის“ (ბაია ამაშუკელი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი მალხაზ გველუკაშვილი და ლაშა ჩხენკელი) და გავრცელებული ხმებით..... „ფორუმი“.

არსებულ ოპოზიციურ სპექტრში მარგინალური პოლიტიკური ძალა შალვა ნათელაშვილი, თავისი «ლეიბორისტული პარტით», მთელი საქართველოს მოსახლეობისაგან ღიად, დაჟინებით და კატეგორიულად მოითხოვს მხოლოდ მის გარშემო გაერთიანებას და საპრეზიდენტო არჩევნებში, ხმების, სრულად მისთვის მიცემას.

ნათელაშვილი, საქვეყნოდ ხმამაღლა, თუმცა დასავლეთის ორიენტაციას დეკლარირებს, მაგრამ იგი და თავისი პოლიტიკური გუნდი, რეალურად რუსეთზე ორიენტირებული ძალაა, რაც შენიღბვისა თუ შეფუთვის მიუხედავად, შეუნიშნავი არ რჩება ჭკვიან ელექტორატს.

სააკაშვილი, რომელმაც საპრეზიდენტო სავარძელი მეორე ვადით არჩევნების შედეგების ტოტალური გაყალბების გზით შეინარჩუნა, ოპოზიციას დიალოგს რეალურად 2013 წლამდე სთავაზობს, რაშიც მას შუამავლობს გამოწვრთნილი, გაწონასწორებული ახალგაზრდა დიპლომატი ალასანია.

პარანოიდი სააკაშვილის თარეში საქართველოში, უცილობლად უნდა დასრულდეს, მაგრამ მისი ალტერნატივა, ვერც ერთმა უცხო სახელმწიფომ ვეღარ უნდა მოგვახვიოს თავს!

თუ ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა გვეღირსა (არ არის გამორიცხული, საპროტესტო აქციების გამარჯვებით დაგვირგვინების შემთხვევაში, აწ უკვე ოპოზიციის მცდელობით, არჩევნების დანიშვნის დრო, გაურკვეველი ვადით გაიწელოს), უთუოდ წარმოჩინდებიან ახალი საპრეზიდენტო კანდიდატები, რომელთა შორის საუკეთესო უნდა ავირჩიოთ!

გურამ შარაძის მკვლელები დაუსჯელნი არ დარჩებიან!

20 მაისს შესრულდა ორი წელი მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა დახვრიტა გურამ შარაძე. მას ბევრი რამ არ აპატიეს - ვერ მოისყიდეს, ვერ შეაშინეს, ვერ დააჩოქეს, რისთვისაც იგი დახვრიტეს საჯაროდ, ქუჩაში, დღისით-მზისით.

გურამ შარაძის მიმართ ანგარიშსწორება დიდი ხნის წინათ დაიწყო სასტიკი და არაკაცური ფორმით - შვილებზე შურისძიებით! 1998 წლის 15 ივნისს ჩემი უფროსი ძმა - ლაშა ლოგინში მძინარე მოკლეს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მამაჩემი მორალურად გაენადგურებინათ. თუმცა, ეს არ გამოუვიდათ... 2007 წლის 20 მაისს კი სააკაშვილის ხელისუფლებამ არ იკმარა მისი საჯაროდ დახვრეტა და პირველივე წუთებიდან უბინძურესი ჭორები გაავრცელა, რათა ლაფში ამოესვარათ დახვრეტილისა და მისი მეორე ვაჟის - გიორგი შარაძის სახელი. სხვაგვარად, მკვლელობას, რომელსაც ათეულობით მოწმე ჰყავს, ვერაფრით გაამართლებდნენ, თუმცა ვის სჯერა ეს? - მხოლოდ სააკაშვილის მონებს.

დღეს ქართველი ერი იბრძვის იმისთვის, რასაც შეეწირა გურამ შარაძე. მამაჩემის მკვლელობის შემდეგ, ხშირად გაისმოდა კითხვა - რატომ უნდა მოეკლა სააკაშვილს გურამ შარაძე, ის ხომ წავიდა პოლიტიკიდან, გადაერთო მეცნიერულ მოღვაწეობაში და ამდენად, საშიშს აღარ წარმოადგენდა ხელისუფლებისათვის (საბედნიეროდ, დღეს ეს კითხვა აღარ ისმის). ეს იყო შედეგი სააკაშვილის ყურმოჭრილი ტელევიზიების და ჯიბის ჟურნალისტების მიერ «ხუთიანზე» შესრულებული ბრძანებისა - გურამ შარაძე არ გამოეჩინათ ტელეეკრანზე! მათ ყველაფერი გააკეთეს და აკეთებენ დღემდე, რათა ხალხს დაავიწყონ პოლიტიკოსი გურამ შარაძე.

გურამ შარაძე არსად არ წასულა, ის იყო აქ, სადაც იყო მუდამ! მას თამამად შეეძლო ეთქვა, რომ ცხოვრებაში უქმად არ დაუკარგავს, არცერთი წუთი. ეს არ არის გადაჭარბებული ნათქვამი, ოცდახუთმეტი წელიწადი ვუყურე ყოველდღიურ ცხოვრებაში მამაჩემს და არ მახსოვს მისგან, არცერთი ტყუილი, ღალატი, სისასტიკე. მე ვხედავდი, თუ როგორ თავდაუზოგავად შრომობდა, იღწვოდა და რაც მთავარია, იბრძოლა მთელი სიცოცხლის მანძილზე. გურამ შარაძეს, მაშინაც, როდესაც ყველაზე აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკურ საქმიანობაში, მეცნიერებასთან კავშირი, არცერთი წუთით არ გაუწყვეტია. ის ბოლო წუთამდე ორივეგან ერთნაირად ეწეოდა ყოველდღიურ, არაადამიანურ შრომას, რაზეც მეტყველებს მისი ავტორობით გამოცემული შვიდი ათეული წიგნი, რომელთაგან უმრავლესობა, სწორედ, უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე გამოსცა... და თუნდაც წასულიყო პოლიტიკიდან, მისი მეცნიერული მოღვაწეობა ნაკლები დაბრკოლება იყო მოღალატე ხელისუფლებისთვის? «თავისუფლების ინსტიტუტისთვის»? «სოროსის ფონდისთვის»?!

ის საზღვარგარეთ ფურცელ-ფურცელ აგროვებდა და საქართველოში ჩამოჰქონდა (თავიდან არალეგალურად) ქვეყნის განძი - მეოცე საუკუნის საქართველოს უცნობი ისტორია - მის მიერ ჩამოტანილი არქივები თუ ლიტერატურა ტონებს იწონის. ამას ემატება ქართული ემიგრაციისადმი მიძღვნილი ათეულობით წიგნი, რომლითაც მყარი ფუნდამენტი შეუქმნა მომავალ თაობებს... მან პირველმა უკვდავყო სამშობლოში დავიწყებული თუ სრულიად უცნობი ქართველი გმირებისა და მოღვაწეების სახელები; გურამ შარაძემ საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერულ მიმართულებას - ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიას... სხვას რომ თავი დავანებოთ, თქვენ წარმოგიდგენიათ, რა მწირი იქნებოდა დემოკრატიული საქართველოს სამართლებრივი მხარე, თუნდაც 1918-1919 წლების დამოუკიდებლობის აქტების ორიგინალების (რომელთა შორის ერთს გიორგი შარაძემ მიაკვლია ციურიხში და 2000 წელს ჩამოიტანა საქართველოში) გარეშე? ეროვნული მთავრობის არქივის გარეშე?

გურამ შარაძის მკვლელობით საქართველომ დაკარგა უნიკალური ფოტომასალების შემცველი «ძველი გურია» და «ძველი ბათუმი», აკაკის მეხუთე ტომი; მისი ილიასა და აკაკის გაგრძელება - იაკობი, ვაჟა, ექვთიმე; «ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის», რომლის რვა ტომი უკვე გამოცემულია, კიდევ თექვსმეტი ტომი; «აკაკი ცხოვრებაში»... ეს ის წიგნებია, რომლებზეც მუშაობა უკვე დაწყებული ჰქონდა და მათ შორის რამდენიმე გამოსაცემადაც გამზადებული... ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

მამაჩემის მკვლელობიდან ძალიან მალე გამომჟღავნდა ე.წ. «თურქი-მესხების» ჩამოსახლების, ლევილის მამულის გასხვისების საკითხები და რაც მთავარია, საკმაოდ სერიოზული წყაროების მტკიცებით, მუზეუმებიდან გატანილია განძი, რომლისთვის ბრძოლაც კარგად ახსოვს ქართველ საზოგადოებას გურამ შარაძის ხელმძღვანელობით.

ამასთან დაკავშირებით, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მამაჩემის მკვლელობიდან რამდენიმე დღეში თბილისში ჩამოვიდა განძის გატანით დაინტერესებული ამერიკის მოქალაქე გუროვი. ოღონდ, ეს არის ძმა იმ გრეგ გუროვისა, რომელსაც თავის დროზე გურამ შარაძემ არ გაატანა საქართველოდან განძი. სხვათა შორის, ამ ფაქტიდან ძალიან მალე გრეგ გუროვი უცებ გარდაიცვალა. ასე რომ ჭკვიანად იყვნენ გუროვის ძმა და მისი ქართველი ძმებიც!..

გურამ შარაძე მთელი ცხოვრების მანძილზე რისკზე მიდიოდა და ამით საფრთხის წინაშე აყენებდა არა მარტო საკუთარ სიცოცხლეს, არამედ დედაჩემსა და შვილებსაც, მაგრამ მას უკან არასოდეს დაუხევია. მისი ერთადერთი იარაღი იყო სიმართლე და შეუპოვარი ხასიათი. მამაჩემი გურამ შარაძე მოკლა სააკაშვილმა და მისმა სახელისუფლო ხროვამ.

გურამ შარაძის მკვლელები დაუსჯელნი არ დარჩებიან!

რუსუდან შარაძე

ეკლესიის დანგრევაში გარე ძალებიც მონაწილეობდნენ

გამოუქვეყნებელი ინტერვიუ გურამ შარაძესთან

(ჩაწერილია მკვლელობის წინდღით)

— ბატონო გურამ, როგორი რეაქცია გქონდათ, როცა შეიტყვეთ, რომ აჭარის რეგიონში მშენებარე მართლმადიდებელი ეკლესია დაანგრიეს?

— ზუსტად ისეთი, როგორიც იმ წყეულ ღამეს, როდესაც გლდანის მართლმადიდებელი ეკლესია დაარბიეს.

— თქვენი აზრით რაში სჭირდება ამ ხელისუფლებას ეკლესიასთან ბრძოლა?

— ხელისუფლებას ეკლესიასთან ბრძოლა სჭირდება გავლენის მოსაპოვებლად, უფრო ზუსტად, ხელისუფლება ხედავს, რომ მოსახლეობის 90% მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლია. საქართველოს მოსახლეობა თავის სულიერ მამად მიიჩნევს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს. ეს გავლენა და ავტორიტეტი დღითიდღე ძლიერდება. საქართველოს ხელისუფლებას ეშინია მრევლის, რომ მოსახლეობა არ წავიდეს ქართულ ეკლესიაში და არ დაუპირისპირდეს ხელისუფლების ანტიეკლესიურ, ანტიმართლმადიდებლურ და ანტიქართულ მოღვაწეობას.

— ხელისუფლების მხრიდან ეკლესიების რბევა ხომ უფრო მეტად აახლოვებს საზოგადოებას თავის სარწმუნოებასთან?

— ამას ჭკუა და სახელმწიფოებრივი აზროვნება სჭირდება. რა ამათი ბრალია, რომ არ გააჩნიათ სახელმწიფო მართვის გამოცდილება? მე ამას ნიშნის მოგებით კი არ ვამბობ, არამედ გულისტკივილით და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, ეს უბედურება რაც შეიძლება მალე დამთავრდეს.

— რატომ უნდა აწყობდეს ხელისუფლებას აჭარაში მართლმადიდებელი ეკლესიის ნგრევა, ეს ხომ ის რეგიონია, სადაც ხალხი აქტიურად ინათლება?

— არ ვიცი, გაბედავთ ამის დაბეჭდვას თუ არა, მაგრამ ჩემს ვერსიას შემოგთავაზებთ: საქმე ეხება იმას, რომ რომელიღაც პოლიტიკურ ძალას მეზობელ სახელმწიფოებში თუ ქვეყნის შიგნით არ აწყობს, ბათუმის

თავზე, ბათუმის ყველაზე გამოჩენილ ადგილას ჯვარი იყოს აღმართული და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იდგეს. 300 წლის მანძილზე საქართველოს დედაეკლესიისგან მკერდმოჭრილი აჭარა რომ დაუბრუნდა დედაეკლესიის წიაღს, აი, ეს არ აწყობთ მავანთ და მავანთ, უცხო თუ შინაურ პოლიტიკურ ძალებს. უნდა ვთქვა, რომ ეს იძულებით ხდება. სასაცილოა ის არგუმენტი, რომ ვიღაცას იქ ატრაქციონების ან პატრიოტთა ბანაკის გაკეთება სურს. ვიღაცას არ აწყობს, საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე, საიდანაც შემოვიდა ქრისტიანობა, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესია აღორძინდეს, სარწმუნოების განმტკიცებაზე კი რეგიონში ილია მეორის ძმისწული, მეუფე დემეტრე ზრუნავს. ამის შიში აქვთ შინაურ თუ უცხო პოლიტიკურ და ავანტიურისტულ ძალებს. ჩოლოქზეც ატრაქციონს ხომ არ აწყობენ, ჯვარი რომ ჩამოაგდეს?! ხაშურშიც ატრაქციონი ხომ არ იყო ჯვრის ჩამოგდების მიზეზი?! ეს ყველაფერი ჯვრის, მართლმადიდებლობის, ქართული ქრისტიანული ეკლესიის, მრავალმილიონიანი მრევლის დასუსტების და დახლეჩისთვის არის მიმართული.

— ბატონო გურამ, თქვენი აზრით, ვისი დავალებით მოხდა მშენებარე ეკლესიის დანგრევა — ცენტრალური ხელისუფლების თუ ადგილობრივის?

— ერთობლივად ცენტრალურის, ადგილობრივის და იმ პატარ-პატარა გამგებლების, რომელთაც ეს საქმე ბინძურ ბულდოზერისტს გააკეთებინეს. სხვათა შორის, უნდა ვთქვა: ძალიან მეცოდება ყველა, ვინც გასცა ეს ბრძანება თუ განკარგულება, დაწყებული უმაღლესი ხელისუფლებიდან, იმ ბულდოზერისტით დამთავრებული. იმიტომ, რომ ის მძღოლი, რომელმაც შეანგრია გლდანის ეკლესიის გალავანი, კარი და წვერით ათრია მამა ბასილი, რამდენიმე დღეში დაიღუპა. ზოგი დაბრმავდა კიდეც. ამიტომ მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო: ეშინოდეთ უფლის, ეშინოდეთ საკუთარი სინდისის ხმის, ეშინოდეთ ერის წინაშე ამდენი დანაშაულის ჩადენის.

— ოპოზიციონერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ფერიის მთაზე ეკლესიის დანგრევის ბრძანებას პრეზიდენტი გასცემდა. თქვენც ასე ფიქრობთ?

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს საკითხი ასე ჰაიჰარად არ წყდება. რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებითაც არ მომხდარა. ეს მოხდა საერთაშორისო, გარეშე და შინაური, უცხო, ბნელი, ავანტიურისტული პოლიტიკური ძალების მიერ.

— ფიქრობთ, რომ ამ ყველაფრის უკან ხელისუფლე-

ოტია იოსელიანი მკურნალობას ევროპაში განაგრძობს

79 წლის ცოცხალი კლასიკოსი მწერალი ოტია იოსელიანი, გასული წლის დეკემბრის თვეში, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ხანგრძლივ მკურნალობის კურსს გადიოდა, რის შემდეგაც იგი, თითქოს ჯამრთელობააღდგენილი დაუბრუნდა თავის მკვიდრ საცხოვრის წყალტუბოში. ზაფხულის პირს მას დაავადებამ თავი კვლავ შეახსენა და სასწრაფოდ თბილისში აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახ. (ყოფილი წმ. მიქაელის) საავადმყოფოში მოუწია ხანმოკლე მკურნალობა. ქართველმა ექიმებმა, თავის დაზღვევის მიზნით, მწერალს კვლავ ვენაში გამგზავრება ურჩიეს...

იმედია ცოცხალი კლასიკოსი ოტია იოსელიანი ევროპული სამკურნალო დაწესებულებიდან ჯანმრთელი დაგვიბრუნდება და ახალ-ახალი ნაწარმოებებითაც გაგვახარებს ქართველ და უცხოელ მკითხველთ ***(რედ.)***

როგორ აიარაღებდა რუსეთი საბჭოთა კაპიტან ყარყარაშვილს

რუსეთი იმპერიული პოლიტიკის გატარებას ხშირად „ნაცმენების“ ხელით ახერხებდა, რისთვისაც მათთვის, არც იარაღსა და არც საბრძოლო ტექნიკას იშურებდა.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება რუსული იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით და „ნაცმენების“ ხელით განხორციელდა. რესპუბლიკაში კვლავ აღდგა საბჭოთა საქართველოს პრივილეგირებული კლასის - პარტიულ-სამეურნეო ფუნქციონერების, კორუმპირებული ხელოვანებისა და სუკ-ის აგენტი კრიმინალური ავტორიტეტების დიქტატურა.

დედაქალაქში „მარშალ“ კიტოვანისა და „ადმირალ“ იოსელიანის „ხუნტას“ ლეღვის ფოთლის ფუნქციით „ინტელიგენტ“ სიგუას „კაბინეტი“ მიეფინა.

„ხუნტამ“ 1992 წლის 2 თებერვალს დედაქალაქში მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ცეცხლი გახსნა და სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. ამ სისხლიანი აქტის შემდეგ „ხუნტამ“ ყურადღება აფხაზეთს მიაპყრო, სადაც ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების აღდგენის მოთხოვნით მძლავრი მოძრაობა იყო გაშლილი. რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გასახორციელებლად კ „ნაციონალურ გვარდიად“ წოდებული შეიარაღებული ფორმირება, გიორგი ყარყარაშვილის „სარდლობით“, მდინარე ენგურზე გადავიდა და 6 თებერვალს ქ. სოხუმში ტურისტულ სასტუმროში „გამაგრდა“.

სოხუმში საპროტესტო მოძრაობა ჩახშობილ იქნა.

რუსეთმა ვერ დამალა რა სიხარული „ნაცმენისა და საბჭოთა კაპიტნის“ ქმედების გამო, საჯაროდ გამოხატა იმპერიული პოზიცია - ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის ბრძანებით, ქ. სოხუმში დაბანაკებულმა სადესანტო-მოიერიშე ბატალიონმა 3 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა გადასცა ყარყარაშვილს (იხილეთ გაზეთი „Республика Абхазия“ 18.02. 92 წ. №24/94). დღეს ეს ფაქტი ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ სამახსოვრო.

ეკლესიის დანგრევაში გარე ძალებიც მონაწილეობდნენ

გამოუქვეყნებელი ინტერვიუ გურამ შარაძესთან
(ჩაწერილია მკვლელობის წინდღით)

დასაწყისი გვ. 3

ბის წარმომადგენელთა ფინანსური ინტერესებიც უნდა იდგეს?

— ფინანსური ინტერესები აქ ძალიან ცოტას ნიშნავს, თუმცა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხრიდან ფინანსური ინტერესიც არის. მაგრამ აქ არის ზესახელმწიფოებრივი პოლიტიკური ძალების საერთაშორისო შეთქმულება, საქართველოს დედაეკლესიის 300 წლით ჩამოჭრილი აჭარა კვლავ დაუბრუნონ მუსლიმანურ სამყაროს.

— კი მაგრამ, ფაქტია, სააკაშვილის ხელისუფლება თავს იწონებს აჭარის რეგიონის დედასაქართველოსთვის დაბრუნებით...

— ამ რეპლიკას კომენტარს არ გავუკეთებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს: დედასაქართველოს აჭარა დაუბრუნდა 1878 წელს, ქართველი ეროვნული გმირების თავგანწირული ბრძოლით რუსეთ-თურქეთის ომში, მეორედ კი, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა სცადა, აჭარა ჩამოეცილებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, დიდმა ქართველმა, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, მუსლიმანური სამყაროს ილია ჭავჭავაძემ — მემედ აბაშიძემ — და შერიფ ხიმშიაშვილმა თანამებრძოლებთან ერთად დაუბრუნეს. ღმერთმა ნუ ქნას, აჭარა საქართველოს შემადგენლობაში კვლავ დასაბრუნებელი იყოს. ამის განცხადება მკრეხელობაა, მით უმეტეს, მასზე დისკუსია.

— მამუკა გიორგაძემ განაცხადა, რომ თბილისის ცენტრში მეჩეთის აშენება იგეგმება. თქვენც ფლობთ ამ ინფორმაციას და უშვებთ ამის შესაძლებლობას?

— ეს ინფორმაცია ჩემთვის მოულოდნელი სრულიად არ არის. თავი დავანებოთ იმას, ვიცნობთ თუ არა სახელმწიფოებრივ გარიგებებს. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სარწმუნეობრივი ცხოვრების ლოგიკა მკარნახობს, რომ სრულიად დასაშვები და მოსალოდნელია ასეთი რამ. მაშინ, როდესაც თბილისის გულიდან — რუსთაველის გამზირიდან — გააძევეს ძლიერი საქართველოს შემქმნელი, დავით აღმაშენებელი (აღარ ჩამოვთვლი თბილისის ცენტრში რა ძეგლებს დგამენ), ამის შემდეგ მოულოდნელი სულაც არ არის, ეს რომ მოხდეს. ჩვენ ყოველთვის იმით ვამაყობდით, რომ თბილისში ერთმანეთის გვერდით იდგა მართლმადიდებელი ეკლესია, გრიგორიანული ტაძარი და ებრაული სინაგოგა. ეს ქართველი ერის ტოლერანტობის და დიდი ეროვნული ცნობიერების ნიშანია, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ მეტეხის ტაძარი დავანგრიოთ და იქ მეჩეთი ავაშენოთ. სხვათა შორის, ბევრმა არც იცის, რომ მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი არ იქნებოდა, რომ არა დიმიტრი შევარდნაძე, რომელიც დახვრიტეს. ბერიას განკარგულებით მეჩეთი დაანგრიეს და მეტეხის ტაძარიც უნდა დაენგრიათ. მიკვირს, დიმიტრი შევარდნაძე რატომ არ არის წმინდანად შერაცხული. ის ბოლშევიკური ოკუპაციის პირობებში, 13 წლის მანძილზე, სანამ დახვრეტდნენ, ბოლშევიკებს ხელიდან სტაცებდა ეროვნულ სიწმიდეებს, ჩვენს სამუზეუმო-საეკლესიო ნივთებს. როდესაც ბერიამ დაიბარა და უთხრა, შენ ხარ ყველაზე დიდი ავტორიტეტი და შენ უნდა დამიდგე გვერდში, რათა დავანგრიოთ მეტეხი და იქ ლენინის და სტალინის მემორიალები გავაკეთოთო, დიმიტრი შევარდნაძემ, იმის ნაცვლად, რომ გვერდში დასდგომოდა, ხელმოწერების შეგროვება დაიწყო და ამხილა ბერიას ეს მზაკვრული ჩანაფიქრი. შედეგად ბერიამ ის დახვრიტა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და უწმინდეს სინოდს მივმართო: მეტეხის ტაძრის გადამრჩენი, მისთვის დახვრეტილი და წამებული დიმიტრი შევარდნაძე წმინდანად იქნეს შერაცხული.

— ფიქრობთ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ბოლშევიკების კვალს მიჰყვება?

— რა თქმა უნდა. ამას გულისტკივილით ვამბობ. ამას აკეთებენ ის ადამიანები, ვისთან ერთადაც ორი მოწვევის პარლამენტში ვიყავი. დღეს მათ ვემალები, რადგან მათ მაგივრად მე მრცხვენია იმის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება.

— ვინ უნდა აგოს კონკრეტულად პასუხი ფერიის მთაზე ეკლესიის დანგრევისთვის და რა ფორმით? ოპოზიციის ნაწილი ამას სისხლის სამართლის დანაშაულად აფასებს...

— არავითარ პასუხისმგებლობაზე აქ საუბარი არ არის. საუბარი უფლის სახლზეა. მე არ მეგულება საქართველოში, არც სასამართლოში და არც სხვაგან ადამიანი, ვინც ამაზე საპასუხისმგებლო ვერდიქტს გამოიტანს. ყველაზე დიდი, რასაც ვეხვეწები, ამ ადამიანებმა უფალს შენდობა სთხოვონ და მოინანიონ. ამასთან, საკუთარი ხელით აიტანონ მასალა, დააწყონ და დღესვე დაიწყონ ეკლესიის აღდგენა. აი, ეს იქნება ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა. ერთადერთი გამოსავალი ტაძრის აღდგენაა. ვიმეორებ, ცეცხლს ნუ ეთამაშებიან. დაიფარონ საქართველო ახალი ცეცხლისგან, ახალი რევოლუციისა და ახალი სისხლისღვრისგან, ახალი ძმათამკვლელი და ძმათა დამაპირისპირებელი ომისგან. თუ დღესვე არ გამოსწორდა ეს დანაშაული, ვითარება სერიოზულად გართულდება.

— წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიქრობთ, რომ რელიგიურ ნიადაგზე შეიძლება ახალი რევოლუციაც მოხდეს?

— ვაი, მაშინ ამ საქართველოს!

2007 წლის 19 მაისი, შაბათი, 1605 — 1650

კოლეგიალობის დაცვით არ ვასახელებთ გაზეთს და კორესპონდენტს, რომელმაც ეს ინტერვიუ ჩაიწერა და არ გამოაქვეყნა *(რედ.)*

„ნაკაცრები“, „ნადირ-კაცები“ და ერისკაცის პრობლემა

„ჯაყოს ხიზნებში“ არის საინტერესო ხაზგასმა და დეტალი: თეიმურაზი, ავტორისეული ხედვით, „ნაკაცარია“, ჯაყო კი - „ნადირკაცი“. ვიცით, რომ კაცობა ღვთის სახის ტარებაა ანუ მადლის ქონა, თეიმურაზმა დაკარგა ეს - ღვთის ხატება, ამიტომ კაცობის ფორმულირებაც შესაბამისად განისაზღვრა „ნა“ მაწარმოებლით - ნაკაცარი ანუ ყოფილი კაცი. იგი გადავიდა კაცობის ანუ ადამიანობის ღვთიური გაგების სამანს და გააბიჯა არარაობაში. საქმე სხვაგვარადაა ჯაყოსთან მიმართებაში. ის არ იწოდება ნაკაცარად, იგი იმთავითვე ნადირ-კაცია. მასთან დარღვეულია ფიზიკურ-სულიერი ფორმები, არც კაცობის ელემენტი გააჩნია, მასში მხოლოდ პირუტყვული ბუნებაა მოცემული. სულიერი ადგილი და კაცური საწყისი ცხოველურმა ინსტინქტმა დაიკავა. ასეთი ადამიანი თავისთავად წარმოადგენს საფრთხეს, - წამლეკავ და გამსრეს ძალას... თეიმურაზში ჩაკვდა ღვთიური ელემენტი, ხოლო ჯაყოს ასეთი არ მოეპოვება. იგი ბუნების სრული ქაოსი და სიბნელეა, ხევისთავი კი ნებაყოფლობით დამარცხებული ადამიანი, რომელმაც თავისთავიდან განდევნა კაცური ბუნება. დაირღვა ღმერთთან ერთიანობის პრინციპი და სამარცხვინოდ გასრისა კიდეც ის, იქცა - „ქაჩალ თაგვად“, „წიგნის ჩრჩილად“, „განათლებულ ქათმად“ ე.ი. გაიგივდა სიმხდალესთან, უმწეობასა და უგონო არსებობასთან... თუმცა სიძლიერით ჯაყო მას ბევრად აღემატება, მაგრამ ეს სიძლიერეც ისეთივე არაადამიანურია, როგორიც თეიმურაზის სისუსტე. მხოლოდ სულიერი სიძლიერიდან იბადება ნამდვილი ძალმოსილება და კაცობა, ამიტომაც ჯაყოც ისევე აილაგმა ცხოვრების ასპარეზიდან, როგორც ბედსშერიგებული თეიმურაზი, აილაგმა ნადირივით... აქედან დასკვნა: ფიზიკური ძალმოსილება იმუსრება, სულიერი კი შეუმუსრავია. კაცური სიდიადის დამკარგავს წინ სამარცხვინო გზა უდევს! ორივე გმირი ეწირება საკუთარსავე უკაცურობას. კაცობადაკარგულის ზნეობრივი აღდგენა აღარ ხერხდება! თეიმურაზი ღვთიურ ხატს ვერ დაუბრუნდება, ჯაყოს კი ასეთი არასდროს ჰქონია. კაცობა, მაშასადამე, ზნეობროიობას გულისხმობს, მისი არქონა დაღუპვას უდრის, ზნეობრივ სიკვდილს!

უკაცურობა სხვის ღირსებასაც ანადგურებს, ასე ხელჰყვეს თეიმურაზმა და ჯაყომ მარგოს ადამიანობა, სულიერ ტრაგიზმამდე მიიყვანეს იგი. კაცობის უქონლობა, ჯერ საკუთარ თავის მიმართ ჩადენილი დანაშაულია, ადამიანობის დარღვევაა ღმერთთან თანაზიარობის და შემდგომ, სხვის მიმართ ჩადენილ დანაშაულადაც იქცევა. ბუნების, შინაგანი სამყაროს გამარტივებას ბოროტებაც მოსდევს. ღირსეული და ძლიერი თუ სხვასაც აძლიერებს, სუსტი და უღირსი სხვასაც ასუსტებს და აქცევს!

კაცობა, ამრიგად, შინაგანი სიძლიერეცაა, უიმისოდ ადამიანი უცილობლად გარემოების მსხვერპლი ხდება - სამარცხვინოდ წალეკილი, საქვეყნოდ დაჯაბნილი... ცხოვრებამ ორივე - ჯაყოც და თეიმურაზიც, განდევნა თავის წიაღიდან ორთავეს მოერღვა არსებობის საყრდენი.

ინტერესმოკლებული არაა ერთი საგულისხმო პასაჟი, როცა ორ პერსონაჟს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„ - წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო.
მართალია, მაგრამ იმ ქვიშაზე
გაგუდული თევზიც ბევრი მინახავს“.

უკაცურობა სულმიხდილობაა! ორივეს არსებობა - თეიმურაზისა და ჯაყოსი, „გაგუდული თევზივით“ მთავრდება...

კიდევ ერთი მთავარი რამ, თემიდან გამომდინარე: ეპოქის პრობლემა! დროებამ წამოატივტივა ჯაყო და ასპარეზზე გამოიყვანა, ხოლო თეიმურაზი სადღაც მიჩქმალა. დრო ჯაყოს სასარგებლოდ და ხევისთავის საზიანოდ მუშაობს. ეს არის მღვრიე დროება, რომელსაც არ ჰყავს ღირსეული და სულიერად ძლიერი შვილები და რომელიც არსებობის ხერხემალს უმტვრევს ადამიანს... ნადირ-კაცსაც აქვს ზოგჯერ თავის გამარჯვების ჟამი! ის თავისთავად ითვისებს და იხვეჭს ყველაფერს, იკავებს სხვის ადგილს, არ იცის კომპრომისი. დანდობა, მოდუნება, სწრაფია და აქტიური.

ცხოვრება ბრძოლაა, ბრძოლას კი ვერ იგებს ნაკაცარი, რომელიც უბრძოლველადა თმობს ყველაფერს... ნაკაცარობა ქვეყნის პრობლემაცაა. ასეთები ვერ იხსნიან, ვერ დაიცავენ ქვეყანას. ნადირ-კაცი კი უსათუოდ დააქცევს მას. ნადირ-კაცს სამშობლო არ გააჩნია და ასეთ არ სცნობს. ის თავისთავად მტერია საზოგადოების!

ნაწარმოებში კიდევ ერთი ძლიერი ხაზგასმაა, ტკივილით თქმული - „ძაღლისა და კატის ჯიში გამრავლდა და გაძლიერდა. ძაღლისა და კატის ბედს იქნება გადაშენებული ვეფხვი სჯობდეს“. ასე რომ, უკაცურობა უჯიშობაცაა! ნაკაცარსაც ისევე არ გააჩნია ეროვნულობა, როგორც ნადირ-კაცს. ერთმა, მართლაც, ქოფაკის სიავით შემოუტია ქვეყანას, მეორე - კატასავით დაფრთხა და კუთხეში მიიმალა, მოემწყვდა, გაიტრუნა...

კაცობა ადამიანობაა, ამიტომ შეარჩია ილიამ სათაურად - „კაცია-ადამიანი?!“ თეიმურაზსა და ჯაყოს ეს ადამიანური ნიშანწყალიწასვლია, სულ წართმევია.

მწერლის მიერ დასმული ეროვნული პრობლემისა და საბჭოთა სინამდვილის გვერდით ეს პრობლემაც განიხილება - კაცობისა და ადამიანის პრობლემა!

ნაკაცარი ყველასგან მიტოვებულია, ნადირ-კაცის გარშემო კი მხოლოდ მორჩილი და ბეჩავი ადამიანები არიან, მათგან შორსაა საზოგადოება! ნაკაცარობა სიმხდალეა და მარცხი, ნადირ-კაცობა კი ბოროტება და ძალმომრეობა. ერთიც და მეორეც დასაგმობია, ამადაც უსწორდება ორივეს დრო!

ნაწარმოებით მწერალმა ძალიან დიდი მინიშნება გააკეთა - იქმნებოდა განსხვავებული ქვეყანა, რომელიც ღირსებას არ სცნობდა. ჭრელ დროში ეს თვისება ყველაზე ნაკლებ საჭირო ხდება ამ ეპოქაში პატიოსნება და ეროვნულობა დაბრკოლება იყო. კაცობა წარსულს ბარდებოდა, ცხოვრებას კი ნადირ-კაცი ეპატრონებოდა.

ძალიან ფაქიზია ზღვარი ადამიანობისა, მთავარია, არ დაირღვეს ის და არ მოხდეს გადაულახავის გადალახვა. ქვეყნისთვის ერთნაირად საშიში ხდება ნაკაცარობაც და ნადირ-კაცობაც. ხევისთაობა და ჯაყოობაც - ორივე გონებისა და გულის სიკვდილია. ღვთაებრივი ნიშანი ხომ აღარც მათ გარეგნულ ხატშია და აღარც სულიერში...

საბჭოთა სისტემა შობდა ნაკაცარებს, ნადირ-კაცებს, სპობდა ერისკაცებს, მათთან ბრძოლა შედეგიანი აღმოჩნდა, ალაგმეს ერის საუკეთესო შვილები... დრო ზანტად გადიოდა, „ბედი-მდევარი“ საბჭოთა კავშირსაც მისწვდა. ეს წყობა მოისპო.

ქვეყანამ ეროვნული გმირის - ზვიად გამსახურდიას მეშვეობით ამოისუნთქა და დაიბრუნა დამოუკიდებლობა; როცა უკვე უნდა მომხდარიყო აღდგენა ჩვენი პირველხატისა, დაბრუნება საკუთარ წიაღთან, ჩვენს ქართველობასთან, სიკეთესთან, კვლავ სრულფასოვნებასთან, გაბზარული სახის დაძლევის ნაცვლად ისევ დააქციეს ქვეყანა ნაკაცარებმა და ნადირ-კაცებმა. საქართველო თავისუფლების კარიბჭესთან შედგა, გაქვავდა!

დღეს კვლავაც დასაცავია ჩვენი ქართველობა, ეროვნული ნიშა, კაცური ელემენტი. ისევ ცარიელია ნამდვილი გმირთა ასპარეზი...

ნაკაცარობა - უმოქმედობაა, ნადირ-კაცობა - მავნე მოქმედება და ნგრევა, ერისკაცობა - სარგებლიანი, კეთილი ქმედება და აღმშენებლობა!.. დღევანდელი რეალობაა - დაქცეული ქვეყანა, საზღვრებმორღვეული! ამ დროს, დაუშვებელია, როცა მეცნიერული ხარისხისა და განათლების პრეტენზიის მქონე ადამიანები, სავალალოდ, უხერხემლო „ინტელიგენტი“ თეიმურაზის როლში გვევლინებიან და არასწორ შეფასებას გვაწვდიან იმ მოვლენათა შესახებ, რაც იყო საბჭოთა სინამდვილეში და მის შემდგომ - დამოუკიდებელ საქართველოშიც... როცა საბჭოთა „ნარჩენები“ ანადგურებდნენ ქვეყანას და მის პირველ პრეზიდენტს, მაშინ დადუმდნენ, მიიმალნენ, ახლა კი I არხის ტელეპროექტ „დიდი ათეულის“ ეთერში მენტორული ტონით გვესაუბრებიან და ზვიად გამსახურდიას მესამე ადგილს ანიჭებენ. ეს ბატონები არიან მეცნიერები - გივი ოთხმეზური, გაიოზ ერაძე და ძმანი მათნი. სისასტიკეა, როცა მეცნიერი ასე „ცდება“!

ერისკაცები დღესაც, ისევე როგორც იმხანად, როცა მიხეილ ჯავახიშვილის ეს დიდებული ნაწარმოები იწერებოდა, კვლავ საძებნია. დღესდღეობითაც არ ჰყოფნით სიკეთე, ნამუსი, ვაჟკაცობა, სულიერი სიძლიერე და სიყვარული, რომ პირმართლად დაიცვან ქართველი ერის ღირსებები, ნათელი მოჰფინონ ყოველივეს.

ერთი რამ ცხადია, ნაკაცარებსა და ნადირ-კაცებს დრო მუსრავს, მაგრამ მათ შორის არასოდეს ისრისებიან ერისკაცები, ისინი თავის საქმეს შავბნელ დროსაც ნათლად აკეთებენ. გავიხსენოთ, ილიას მთელი მოღვაწეობა, ზვიადისა და მერაბის ბრძოლა, ხანძთელის ღვაწლი - არაბთაგან დაუძლურებულ და ცქირის მძლავრების ხანაში... ნაკაცარებსა და ნადირ-კაცებს მხოლოდ ერისკაცები ჯაბნიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის სიმრავლე ნაკაცარ-ნადირ-კაცთა მხარესაა, ერისკაცობა კი ერთეულთა ხვედრია, ამიტომაც ისინი უმალ მსხვერპლნი ხდებიან და არც განაჩენი იგვიანებს მათ მიმართ. უფლისმიერი გმირები მოწამეობრივად, დამარტოხელებულები აპირებენ სიცოცხლეს. მათი წუთისოფელი ტკივილითაა სავსე და ცხოვრებაც მძიმეა, საერთოდ, მორალი მძიმეა!.. მახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას სიბრძნე - „წინაპართა ლანდადქცევა სჯობს გადაგვარებულ თანამედროვეთა წიაღში ყოფნას“.

ჯერჯერობით ღირსეული სვლა ზვიადითა და მერაბით დამთავრდა! ვის დაველოდოთ?! მათ არსებობაში იკითხება ზნეობრივი ცხოვრების წესი.

ნაკაცრებსა და ნადირ-კაცებს ძალუძთ ცხოვრება შეამღვრიონ და ჭაობად აქციონ, შეაყენონ დრო-ჟამი, ხოლო ერისკაცები უკვდავების წმინდა წყაროს გვაწაფებენ და წყურვილს გვიკლავენ. დღეს კი კვლავ ამღვრეულია თავწყარო. ისღა დამრჩენია სოლომონ დოდაშვილივით ვიკითხო - „რაისთვის ცოცხალ-ვართ?“

ლალი ბარძიმაშვილი,
ფილოლოგი, მკვლევარი

ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის №88/ნ 2009 წლის 20 თებერვლის ბრძანების თანახმად

60 წელს ზემოთ მოქალაქეები მიიღებენ შემდეგ სამედიცინო მომსახურებას

* ურგენტული სტაციონარული მომსახურება პაციენტის მხრიდან 25%-იანი თანაგადახდით. 6 დღე კრიტიკული მდგომარეობა უფასო;

* პათომორფოლოგიური გამოკვლევა;
* ინფექციურ დაავადებათა სტაციონარული მომსახურება, პაციენტის მხრიდან 30%-იანი თანაგადახდით;
* ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა 150 ლარის ფარგლებში, პაციენტის მხრიდან 30%-იანი თანაგადახდით. ქიმიოთერაპია პაციენტის მხრიდან 50%-იანი თანაგადახდა მაქსიმუმ 500 ლარის ფარგლებში. სხივური თერაპია და ოპერაციული მკურნალობა 30%-იანი თანაგადახდით;
* ონკოჰემატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა — პაციენტის მხრიდან 50%-იანი თანაგადახდით, მაქსიმუმ 400 ლარის ფარგლებში;
* ონკოინკურაბელურთათვის მედიკამენტები და პალიატიური სტაციონარული მომსახურება;
* შეძენილი მანკების, გულის ქირურგიული დაავადების კარდიოქირურგიული მკურნალობა პაციენტის მხრიდან 30%-იანი თანაგადახდით, ანგიოპლასტიკა — 50%-იანი თანაგადახდა;
* სპეცმედიკამენტები შაქრიანი, უშაქრო დიაბეტით დაავადებულთათვის, ანტირაბიული ვაქცინა;
* ფსიქიატრიული ამბულატორიული და სტაციონარული
მომსახურება;
* ფტიზიატრიული ამბულატორიული და სტაციონარული
მომსახურება;
* პერიტონეალური და ჰემოდიალიზი; თირკმლის ტრანსპლანტაცია; ოპერაციის შემდგომ მედიკამენტებით
უზრუნველყოფა;
*შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა და ასევე დღის ცენტრის ტიპის სპეციალიზირებულ დაწესებულებებში მომსახურება.

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო
0108 თბილისი, რუსთაველის 12
ტელ: (995 32) 93 41 16 ფაქსი: (995 32) 93 41 19
ცხელი ხაზი: 45-40-80, 45-40-90

ძმადნაფიცები უკუნითი უკუნისამდე

ყველაზე ძლიერია გარდუვალობა, რადგან იგი ყველაფერზე მბრძანებლობს, მაგრამ ყველაზე ბრძენია დრო, რადგან იგი ყველაფერს ააშკარავებს.
თალესი

იტალიელ მოაზროვნე ჯანბატისტი ვიკი (1688-1744) XVIII ს. დასაწყისში წერდა, რომ სამოქალაქო და ცივილიზებულ საზოგადოებაში გმირები შეუძლებელია არსებობდნენ. მათი დროა ანტიკური და ბარბაროსული დრო. კაცობრიობის წინარეისტორია. ასი წლის შემდეგ ჰეგელი უბრუნდება ჯ. ვიკოს თეორიას და ქმნის ისტორიის გმირული ეპოქის ბრწყინვალე კონცეფციას. გმირის მისებურ გაგებას და მის როლს საზოგადოებაში. გმირობას იგი ადარებს სახელმწიფოებრიობის იდეის გამოვლენას. გმირები - ინდივიდუმები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ნებით მოქმედებენ, თავის თავზე იღებენ ისტორიის შემოქმედის ტვირთს და ამას აღიქვამენ როგორც ბედისწერის გარდუვალობას. ამასთანავე, „გმირული ინდივიდები“. - წერს ჰეგელი - თავის თავს კი არ გამოყოფს იმ ზნეობრივი მთლიანობიდან, რომელსაც იგი მიეკუთვნება, არამედ თავის თავს აცნობიერებს, როგორც ამ მთლიანობის სუბსტანციურ ერთიანობაში მყოფს“. ამიტომ, ანტიკურმა გმირმა არ იცის კოლიზია ქცევასა და მორალს შორის. სურვილსა და მოვალეობას შორის. მასთან, პირადი, ყოველთვის ემთხვევა საზოგადოს. ანტიკური გმირი ყოველთვის შეიგრძნობს წინაპართა მრავალრიცხოვან თაობებთან კავშირს. იგი როგორღაც შეიგრძნობს მათ თავისთავში და არის ის, რაც იყვნენ ისინი.

ამრიგად, ისტორიული გმირის გამოჩენა განპირობებულია მთელი რიგი გარემოებით. შესაძლებელია თუ არა ჩვენს დროში ისტორიული გმირის გაჩენა?

საზოგადოება, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მხოლოდ პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ ცივილიზებულად. სამოქალაქო საზოგადოებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. რუსეთში იგი არასდროს ყოფილა და თვალმისაწვდომი ისტორიულ მომავალშიც არა ჩანს, ეგრეთ წოდებულმა თავისუფალმა ბაზარმა, რომელშიც სურთ ყველა უბედურებისგან თავის დასხნის პანაცვა დაინახონ, რუსეთი უკვე მიიყვანა ოხლოკრატიის - სისხლის სამართლის დანაშაულის საზარელ ფორმამდე, რომლის მსგავსი არსად და არასოდეს ყოფილა. საიდანაც პირდაპირი გზაა გადაგვარებისკენ ბარბაროსობისკენ და ველურობისკენ.

ისტორიულ ვაკუუმში არსებობამ, სადაც ისტორიული მოვლენები იცვლება მორიგი მთავრობის მიერ დასახული „ისტორიული“ ღონისძიებებით. რომელიც ისტორიულ პროცესს აქცევს გაუგებარ, ერთჯერადი მოხმარების საგნად, საზოგადოება გაიყვანა ისტორიული სივრცისა და დროის მიღმა. საზოგადოება ცხოვრობს ირეალურ და მერყევ მარადიულ „დღეს“ და სოციალური ექსპერიმენტებით თავი ამოჰყო ისტორიამდელ ეპოქაში.

ისტორიულ დროში გადასვლა - ეს არის ჰეროიკული პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც ახლა დაიწყო კავკასიაში. პირველად სწორედ კავკასიაში გამოჩნდნენ, ათასწლეულებში ინდივიდუმები, რომლებიც ჰეგელის მიერ განმარტებული ანტიკური გმირების მკაცრ ჩარჩოებში თავსდებიან.

ესენი არიან ჯოხარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია. ისინი XX საუკუნეში მოვიდნენ თითქოს სხვა ისტორიული ეპოქიდან და თითოეული მათგანი ცხოვრობდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე საკუთარი მრწამსით.

ზვიად გამსახურდია იყო საქართველოს ოქროს საუკუნის შვილი, ჯოხარ დუდაევი ბუნებრივი თავისუფლების პატრიარქალური დროების ლეგენდარული პირმშო. შეზღუდული არა კანონებით, არამედ დაურღვეველი და უკვდავი ადათ-წესებით დუდაევის გენეტიკური მეხსიერება ინახავდა ბელადთა და მეფეთა სახეს, რომლებიც მშვიდობიანობის დროს ნახირს მწყემსავდნენ, ხოლო მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რომლებიც მათ მშვიდობიან საძოვრებს შემოესივნენ, იბრძოდნენ უბრალო მეომრებთან მხარდამხარ და არასდროს კვდებოდნენ ფარზე, არამედ ფარით ხელში...

ჩეჩნეთის ომის ესქატოლოგიური ხასიათი დაგეგმილია არა როგორც მხოლოდ იჩქერიის ხალხის ტოტალური გენოციდი, არამედ ფლორისა და ფაუნის, ქვეყნის ისტორიული ლანდშაფტის თვით მინის, რომელზეც ეს ხალხი ცხოვრობს ორიათასწლეულის მანძილზე განადგურება და მოსპობა, რათა მომავალ თაობებს არ ეფიქრათ, რომ ამ ჯოჯოხეთური ცეცხლით დამწვარ მიწაზე შეეძლო ეცხოვრა. ებრძოლა და გაემარჯვა. XX საუკუნეში ენახათ ირეალური სიზმარი: წინარეისტორიული დრო, როცა იქმნებოდა მითები კაცობრიობისთვის საბედისწერო ბრძოლების შესახებ მისივე შექმნილ ურჩხულებთან.

ამ ომის გამოცდილება ალბათ უკვე შეისწავლება, რათა გაიგო ცუდად შეიარაღებული მცირერიცხოვანი მეომრების ბრძოლის სტრატეგია აგრესორის ოთხასიათასიან არმიასთან, რომელიც მის წინააღმდეგ იყენებს მასობრივი მოსპობის ყველა საშუალებას. ჯერჯერობით ბირთვული იარაღის გარდა. მსოფლიოს ისტორიაში ამ უპრეცედენტო წინააღმდეგობის მიზეზი არის არა ჯოხარ დედაევის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი, არამედ იჩქერიის მთელი ხალხის მიერ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღება, როგორც ბედისწერის გარდუვალობა. ამიტომ დუდაევის დაღუპვაც, რომელიც აღიქმება როგორც საყოველთაო მწუხარება, არ გამხდარა ნაციონალური კატასტროფა. რაც, როგორც ჩანს, თავიდანვე ასე ჰქონდა ჩაფიქრებული იმპერიას. არამედ იგი იქცა გმირის გზის ჭეშმარიტ აპოთეოზად. იგი მოკვდა, როგორც გამარჯვებული. შეასრულა ის, რაც მთელი მისი ცხოვრების პათოსად იქცა: მან შეჰქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო იჩქერიის ჩეჩენთა რესპუბლიკა და რაც უნდა თქვან „დუდაევის რეჟიმზე“; ყველაფერი გაქარწყლდება ფაქტების უტყუარობით. მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოებრიობას, დარაზმულს ერთიანი ნებით და ხალხის ერთიანი ბედით, შეუძლია წინ აღუდგეს აგრესორის მომაკვდინებელ ძალას, რომლის ადამიანთა რეზერვი აჭარბებს იჩქერიას 150-ჯერ მეტად და რომელიც ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენია, რათა დააჩოქოს ჩეჩენი ხალხი. მაგრამ დედამიწაზე, თუნდაც ერთი ჩეჩენი რომ დარჩეს, იგი ყველგან და ყოველთვის თავს იგრძნობს, როგორც მოქალაქე თავისუფალი იჩქერიისა. ყველგან და ყოველთვის სწორედ ეს არის ჯოხარ დუდაევის დიდი ისტორიული გამარჯვება. რომელიც იქცა ახალი გმირული ეპოსის ბედნიერ ეპიკურ გმირად.

მაგრამ თუ ჯოხარ დუდაევი ეპიკური თქმულების ბედნიერი გმირია, ზვიად გამსახურდია არის ტრაგიკული თავგანწირული ფიგურა. იგი საქართველოში მოვიდა მისი ისტორიის, ალბათ, ყველაზე ტრაგიკულ მომენტში და მოვიდა ოქროს საუკუნიდან. სადაც მას თეოლოგსა და მოაზროვნეს მისთვის შესაფერისი ადგილი ეჭირა თამარ მეფის ბრწყინვალე სასახლის ფილოსოფიურ დისპუტებზე. მაგრამ იგი დაიბადა სისხლიან XX საუკუნეში, როცა შინაგანად აფეთქებული დროთა კავშირი დაირღვა. ქართველი ჰამლეტი მოწოდებული იყო, აღედგინა იგი, მაგრამ ეს მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა როგორც მისი წინამორბედი დანიის პრინცისთვის. იგი აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად და ამ პოსტზე დაჰყო ნახევარ წელიწადს. მისი პრეზიდენტობის გზა ცნობილია - ეს არის გოლგოთისკენ აღმავალი გზა! პრეზიდენტი - დისიდენტი, როგორც მას ზოგჯერ უწოდებდნენ, იქცა პრეზიდენტ-მოწამედ. საერთოდ მასში იყო რაღაც ქრისტიანი მოწამისა. საქართველოს რჩეული მზად იყო ემსახურა მისთვის, როგორც რაინდს, მაგრამ იგი არასდროს ყოფილა პოლიტიკური, თანამედროვე გაგებით და პოლიტიკური კამათი მას ესმოდა, როგორც დისპუტი ჭეშმარიტების დასადგენად. მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი კი იყვნენ პროფესიონალი ჯალათები. მაგრამ მან იცოდა, რა სურდა საქართველოს და ეს მას არ აპატიეს მეზობელმა ძლიერმა სახელმწიფომ. საქართველო, რომელიც პირველი განთავისუფლდა ბოლშევიზმისაგან, პირველივე იღებს ძლიერ დარტყმას. იგი იქცა მოსკოვის მიერ დაგეგმილი პოლიტიკური ინტრიგებისა და სისხლიანი პროვოკაციების პოლიგონად.

როცა გამსახურდიას წინაშე დადგა საკითხი, თუ ვისი სისხლი უნდა დაღვრილიყო, მან უყოყმანოდ გააკეთა არჩევანი. მის წინ მისი საქართველო იყო ჯვარზეცმული და ალისფერი ვარდებით შემოწნული.

აი ჯვარი, ვარდებით მორთული,
ვინ შეაერთა ვარდები და ჯვარი?

ეს ბუნდოვანი სახე-სიმბოლო შუასაუკუნეებიდან აღორძინებული გოეტეს პოეზიაში, გამსახურდიას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა. მაგრამ მან იცოდა, აგრეთვე, რომ „ვინც ჯვრიდან ვარდს მოწყვეტს, მან ჯვარიც უნდა იტვირთოს„(ჰეგელი) და მან მოწყვიტა ვარდი ჯვარს და ჯვარიც იტვირთა - საქართველოს ბედისწერა მის ბედისწერად იქცა. მისი ცხოვრების ტრაგედია მისი სიკვდილით არ დასრულებულა. საყვარელი სამშობლო კვლავ ძველებურად ჯვარცმულია და ხან ჩუმად, ხან ხმამაღლა ისმის ხმები, რომ ზვიადი ცოცხალია. რომ იგი დაბრუნდება. მეჩვენება, რომ მისი ცხოვრების ანტიკურ დრამაში ქოროს და გმირის ადგილები შეიცვალა. ქორო ისმის ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით, ხოლო დაღუპული გმირი ქოროს აფიცებს. გაიხსენოს, რომ ჯვარცმულ საქართველოს კიდევ ბევრი ალისფერი ვარდი შემოწნია.

და ზვიად გამსახურდიას და ჯოხარ დუდაევს,

გაგრძელება გვ. 7

1991 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტად აირჩია ზვიად გამსახურდია

„სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება - იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე“

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო საარჩევნო პროგრამიდან

22 მაისი, 1991 წელი

ცივილიზებული საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია რელიგიური და საერო ცხოვრების ერთიანობის გარეშე. რელიგიური ცხოვრების ორგანიზება ხდება ეკლესიის, ხოლო საერო ცხოვრებისა - სახელმწიფოს მიერ.

ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში ქართული სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას.

ქართული ეროვნული მოძრაობა თავისი საწყისებით მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან და ეკლესიურ წიაღთან. თავისი შინაგანი არსით ეს რელიგიურ-ეროვნული მოძრაობაა, რამდენადაც იგი გულისხმობს არა მარტო განკერძოებული ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების გახორციელებას, არამედ პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას, რელიგიურ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით:

ეროვნული მოძრაობის მოსვლა ხელისუფლების სათავეში რეალურ წინაპირობას ქმნის ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის ქრისტიანული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ერთობის აღდგენისათვის. ამ ერთობის არსი შემდეგში მდგომარეობს: ეროვნული ხელისუფლების ავტორიტეტი, მისი ძალაუფლება უნდა დაემყაროს არა მხოლოდ ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად რელიგიურ-ზნეობრივ საწყისებს.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება - იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე.

ქართული სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე
1991 წლის 7 ივნისს

ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს.

ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეს არის მოწამეობრივი, ქრისტესმიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა.

დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღესრულებიან. სარწმუნოების აღორძინება იხსნის საქართველოს!

დასაწყისი გვ. 5

სრულიად განსხვავებულ ადამიანებს, ჰქონდათ ერთი სიყვარული და ერთი რწმენა - კავკასია. მათ იცოდნენ რომ ღმერთმა კავკასიის შექმნისას განსაკუთრებული გულუხვობა გამოიჩინა. მას იმდენი მასალა მოანდომა, რაც თავისუფლად ეყოფოდა რამდენიმე ქვეყნის შექმნას. გამსახურდია და დუდაევი ხედავდნენ, რომ ხალხთა ახალი დასჯის და ტანჯვის დიდი ღამე დგება ყველაზე ტრაგიკულ და ყველაზე ლამაზ მიწაზე და გამსახურდია და დუდაევი ხედავნენ, რომ მხოლოდ კავკასიის ხალხთა თავისუფალი კავშირის შექმნას შეუძლია გადაარჩინოს მათი ადათ-წესები, ცხოვრების ნირი, ხოლო ზოგი - სრულ განადგურებას.

და, აი, მეომარი და მოაზროვნე
მუსულმანი და ქრისტიანი
ჩეჩენი და ქართველი,
ხელს უწვდიან ერთმანეთს და ხდებიან მოკავშირეები და ძმადნაფიცები საუკუნოდ და უკუნით უკუნისამდე.

აი, თურმე რისთვის დაიწყო ეს ახალი კავკაციური ომი. აი, თურმე რისთვის გაავსეს საქართველო რუსეთის სამხედრო ბაზებით დაქირავებულმა ჯალათებმა და გამყიდველებმა. რისთვის ამყოფებენ მოსახლეობას სიკვდილის ზღვარზე. აი, თურმე რისთვის ცდილობენ, რუსული ბომბებით აღგავონ მიწისაგან პირისა და ამოშანთონ მეხსიერებიდან, რომ არსებობდა ასეთი ქვეყანა - იჩქერია.

სადღაც მაღლა, მიუვალ მთებში კი გაჩნდა საფლავი, ოდესმე ეს მთები იქცევა სალოცავ ადგილად. ახლა კი მხოლოდ თოვლისფერ, მოცისფრო ჩეჩნური ნისლი, რომლის მსგავსი არსად არ არის წყნარად ეშვება მთის ფერდობებზე. ხოლო ძველი ჩეჩნური კოშკები, ასე საოცრად რომ ჰგვანან საღამოს ბინდ-ბუნდში წყაროზე მიმავალ მთიელ ქალს, მგონი წამით შეჩერდნენ ქვემოთ, რათა მალულად შეავლოს თვალი მთებს, სადაც უნდა განისვენებდეს ჩეჩნეთის ბოლო მოწამე, იგი წევს წმიდა მიწაში, რადგან ჩეჩნეთში არ არის ერთი გოჯა მიწაც კი, რომელიც მათი სისხლით არ იყოს გაჟღენთილი. ვინც კვდებოდა ზოგჯერ იმისთვისაც კი, რომ სიკვდილს შეხვედროდა სიტყვებით.

„მე თავისუფალი ვარ, შენ?“

როცა ანტიკური თეატრის სცენაზე იღუპებოდა. გმირი, ქორო დითირამბებს გალობდა. რათა გმირის სიცოცხლე გაგრძელებულიყო მომავალი თაობების სიცოცხლეში. როგორ არის XX საუკუნის ბოლოს? ახლახან გარდაცვლილი პოეტი ი. ბროდსკი მიიჩნევდა ნამდვილ ტრაგედიად, როცა გმირთან ერთად იღუპება ქორო. დღეს ეს ხომ არ არის ტრაგედია კავკასიის ისტორიულ სცენაზე? რა ელის მის ხალხებს. ბუნებისგან ასე მომადლებულებს და ასევე ისტორიისგან ასე დაჩაგრულებს? შევა კი მათი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების უმდიდრესი მემკვიდრეობა შემოქმედებითი გონის უსრულყოფილეს ნაწარმოებში. როდესაც ჰქვია ისტორია (ჰეგელი „ისტორიის ფილოსოფია“, თუ მათ უწერიათ რუსეთის უფრო და უფრო გაძლიერებული აგრესიის შედეგად გენოციდისა და გამანადგურებელი ომების შიშით გაიფანტნონ მტრული იმპერიის უსაზღვრო სივრცეში, მათ მიმართ გულგრილ სამყაროში და წარსულს მოწყვეტილები სწრაფად გადაშენდნენ რუსეთის გეგმის შესაბამისად. ჩაიძირონ უაზრო გულგრილობასა და ლუკმაპურის მოპოვებისთვის ბრძოლის წერილმა ინტერესებში. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ ამბობენ, რომ იმედი ბოლოს კვდება, მაგრამ ეს ხომ მონის საფლავის ქვის ეპიტაფიაა, სადაც მხოლოდღა იმედია, იქ დიდი ხანია, არაფერია. მაგრამ კავკასიის ხალხებს, ისტორიულ ბედსა და წარმომავლობასთან ერთად აქვთ კიდევ ერთი საერთო თვისება. განსაკუთრებით ნათლად ჩეჩნებთან გამოკვეთილი მოვლენების ამ წუთიერების ღრმა, შინაგანი შეცნობა. იცხოვრო ხორცშესხმულ დროში, ნიშნავს იცხოვრო მთებში. ჩეჩნები დროს შეიგრძნობენ არა, როგორც წუთისოფელს, არამედ როგორც ყოფიერების უსასრულობას. სწორედ ესაა პატარა ჩეჩნეთის მიერ უზარმაზარი რუსეთის სახელმწიფოსადმი გაუგონარი, მამაცური წინააღმდეგობის გაწევის საიდუმლო, როგორც ამ გამანადგურებელ ომში, ასევე წარსულ ომებში. ჩეჩნები მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხია და თავისი მრავალათასწლოვანი გენეტიკური მეხსიერების გამოცდილებით ისინი შეიგრძნობენ ნებისმიერი თვითმპყრობელობის ფუჭ წარმავლობას. ამას ვერ იგებენ, ვერც მრავალრიცხოვანი რუსი დამპყრობლები, ვერც კავკასიაზე გულწრფელად შეყვარებული რუსი პოეტები. ის, რაშიც ხედავდნენ მათი აზრით, ხალხის ნახევრადველურ, ბარბაროსულ ეგზოტიკას, სინამდვილეში არის უძველესი კულტურის გამოვლენა. კულტურისა, რომელიც ბევრად აღემატება დამპყრობთა ახალგაზრდა ცივილიზაციას. ეს გამოვლენაა დავიწყებული, საუკუნეებში დაკარგული ფილოსოფიისა. დიდი ფილოსოფიისა. რომელიც შეგუებული იყო არა ყოველდღიურობის წვრილმან მოთხოვნილებებს, არამედ აღემატებოდა ცხოვრების წარმავლობას თავისუფლებისკენ დაუძლეველი მისწრაფების შეგნებით.

სწორედ ეს ფილოსოფია, რომელიც მოცემლუია არა ცნობიერებაში. არამედ არის სულის მარადიული მდგომარეობა და ბედისწერის გარდუვალობად მიიღება. ყოველთვის განსაზღვრავდა კავკასიის ტრაგიკულ ჰეროიკულ და ლამაზ ისტორიას. მასშია კავკასიის მომავლის პასუხიც.

დაისის სისხლიან ცაზე ისინი მხარდამხარ დგანან - ჯოხარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია.

ვინ არიან? წინამორბედნი? მომავალი დღეების გმირული სიმბოლოები? თუ უკანასკნელი ისტორიული გმირები, ცოცხალი ანაქრონიმზი, კაცობრიობის არყოფნაში უდროოდ წასულები?

ვინ არიან ისინი, ანტიკური დრამის მკაცრი კანონებით განსაზღვრული ტრაგიკული როლის ბოლომდე შემსრულებლები? გმირები? მსხვერპლნი? გამარჯვებულნი?

ნ. ტელევნაია

„სვობოდნაია გაზეტა“
№9 (010), 1996 წ.
მთარგმნელი თენგიზ კუბლაშვილი
გადმოვბეჭდეთ მცირედი კორექციითა და შემოკლებით

ნატალია ტელევნაია (1923-2005) პუბლიცისტი, ფოტოგრაფი.

დაიბადა დნეპროპეტროვსკში. დედის მხრიდან არის ძველი თავადაზნაურული ოჯახის შვილი (ეკატერინოსლავში გადასახლებული დეკაბრისტის). ფილოლოგიური განათლება მიიღო დნეპროპეტროვსკის უნივერსიტეტში. დაუფარავი ანტისაბჭოური შეხედულებების გამო გაძევებულ იქნა სამსახურიდან შრომის წიგნაკში განსაკუთრებული აღნიშვნით. გარკვეული დროით ფარულად წერდა ტელესტუდიებისთვის სცენარებს, მაგრამ კგბ-ს ესეც არ გამორჩენია. ის იძულებული შეიქნა ჩაებარებინა უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დასრულების შემდეგ კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს.

ოთხმოციანი წლების ბოლოს შეძლო მოსკოვში გადასვლა.

საბჭოთა კავშირის დაშლას აღფრთოვანებით შეხვდა. გარდაიცვალა და დასაფლავებულია მოსკოვში.

მხოლოდ ეგ ბზით!

დისიდენტი გიორგი ქართველიშვილი, როგორც თავად აღნიშნავს „საბჭოთა საპყრობილიდან გაიქცა“ 1975 წელს და 2006 წლამდე იმყოფებოდა პოლიტიკურ ემიგრაციაში. საქართველოში იგი დაბრუნდა იმისათვის, რათა თავისი ძვლები საკუთარი სამშობლოს მიწისათვის მიებარებინა. გარდაიცვალა 2007 წელს, დაკრძალულია დიღმის სასაფლაოზე. მან ემიგრაციაში გამოსცა სამი წიგნი ქართულად: „შურისგება და გოდება ჩემი“! „ჩემი გულწითელა“, „ნანა-ნანინა“ და ერთი წიგნი რუსულ ენაზე - „Наканец моя кника“.

ქვემოდაბეჭდილი წერილი მისი უკანასკნელი ნაკვესისა გულისა, რომელიც მისმა ძმამ კუკური ქართველიშვილმა მოგვიტანა, რასაც, მისივე თხოვნით, ვბეჭდავთ ყოველგვარი შესწორების გარეშე.



შნო, ჭირნახული, სიმდიდრე, -
შრომა-ღწვა-გარჯით იქმნება!
ცულს პირი, ფოლადისა აქვს!
ტარი, ხისაგან ითლება!
ღმერთი, ზეძალად ითვლება!
პურზე ძვირი არ ითქმება!
სადაც დოვლათი არ არის, -
არც სამართალი, იქნება!

დიახ, დოვლათი! - სიმდიდრე, ქონება, საარსებო პირობები, აი, გასაღები სამართლიანობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს აგება-აშენების საქმეში.

მაგრამ, როგორ იქმნება დოვლათი? ადამიანთა საზოგადოებას, მთელი თავისი არსებობის გზაზე, პირველყოფილი გამოქვაბულიდან დღევანდელ ცივლიზაციამდე, არ ჰქონია და არც აქვს საარსებო საშუალებების, - დოვლათის შექმნის სხვა წესი, გარდა წარმოებისა, - ახალი საწარმოო იარაღების შექმნისა და მწარმოებლობის გაფართოება-გაუმჯობესებისა.

წინასწარ მინდა ვთქვა ერთი, თითქმის, აპრიორული დებულება! სახელდობრ ის, რომ ცივლიზაციამ კი არ შვა დოვლათი, არამედ პირიქით, დოვლათმა შვა ცივლიზაცია! დოვლათი იქცა იმ ამაჩქარებელ ძრავად, რომლის წყალობითაც ადამიანმა მიატოვა პირველყოფილი გამოქვაბული და ცივილიზაციის აპარტამენტებს მიაშურა. განვითარების ამ პროცესში, პირველადი, ადამიანის გონებრივი მომწიფება და მზადყოფნაა, ახალი საწარმოო იარაღის შექმნისა და მის საფუძველზე მეწარმეობის, წარმოების გაფართოება-გაუმჯობესებისა, მეტი დოვლათის შესაქმნელად.

აქ კი, რაოდენ სიურეალისტურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მინდა ჩავურთო ჩემი სუბიექტური რწმენა, რომ ადამიანის გონი, კოდირებულია „ზეძალის“ მიერ, თავისი, ასე ვთქვათ, განვითარების „უსასრულო“ შესაძლებლობათა ჩართული კიბით, რომლის ცალკეული საფეხურები, დროდადრო მჟღავნდებიან თავიანთი მატერიალური ფორმით, რაც თავისთავად მაუწყებელია წინსვლისა და პროგრესის, განვითარების გზაზე.

ასე, რომ პირველადია გონებრივი მზადყოფნა, მერე ახალი საწარმოო იარაღების შექმნა, მერე მწარმოებლობა და წარმოება, ბოლოს კი დოვლათის დაგროვება, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ყველა ცხოვრებისეული ზნეობრივ-ინტელექტუალური ღირებულებები დაკრისტალებულ ცივლიზაციაში.

დოვლათის წარმოებისა და დაგროვების გარეშე. ადამიანთა პირველყოფილი საზოგადოება, ნაბიჯსაც კი ვერ წარსდგამდა წინ თავისი განვითარების გზაზე და მითუმეტეს დღეს დოვლათის წარმოების გარეშე, ყოველი ერი თუ სახელმწიფო, განწირულია დასაღუპად.

ეხლა კი გადავხედოთ ჩვენს ეპოქას და კერძოდ საქართველოს დღევანდელობას! რა ხდება ხალხო? აქ რაიმე მეწარმეობა-წარმოებაზე და დოვლათის დაგროვებაზე კი არა, თუ რამე იყო შექმნილი და რამე გაგვაჩნდა, იმის სრულ მოსპობა-გაჩანაგებაზეა ლაპარაკი რაც ფარული თუ აშკარა, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თუ კრიმინალური გზით ხორციელდება! და ყველაფერი ეს, მას შემდეგ, რაც გამოვიარეთ და რა ისტორიული გამოცდილებაც შევისისხლხორცეთ ჩვენი წინსვლის, განვითარების და არსებობისათვის ბრძოლაში! რომ მწარმოებლობა და დოვლათის შექმნაა, მხოლოდ და მხოლოდ, ერისა და ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი პირობა! ჩვენ კი რას ვშვრებით? რას ჩავდივართ? იმის მაგივრად, რომ რაღაცა შევმატოთ ჩვენს გაუბედურებულ ქვეყანას, რაღაცა ვარგოთ საქართველოს, ვანიავებთ ყველაფერს და გაღატაკებამდე მიგვყავს ის, რითაც ვუახლოვდებით საბედისწერო აღსასრულს.

როგორ გვინდა ვიარსებოთ, როცა ქართველი აღარა ჰგავს ქართველს, გამორეცხილი და გამოწრეტილია ყოველგვარი ქართული, ტრადიციულ-ზნეობრივი ღირებულებებისაგან, როცა ყველა თავის „მე“-ს უკიჟინებს და თავის ცნობიერების სარკეში, მხოლოდ თავის თავს ხედავს? და რაც პირდაპირ საკვირველია, გამონაკლისს თითქმის, არავინ არ შეადგენს, ყველა ერთნაირადაა, სულიერ-ზნეობრივად ინტელექტნებამორღვეული! - ქალიც და კაციც, დიდიც და პატარაც, მუშაც და გლეხიც, სწავლულიც და უსწავლელიც, პოლიტიკოსიც და ხელოვნების მსახურიც! სიტყვით ყველა გაიძახის, - „ჩვენ“! საქმით კი მხოლოდ, - „მე“-ს გულისხმობს. აი, დღევანდელი, ფსიქო-ინტელექტუალური განწყობა საქართველოში და ქართველ ხალხში!

კიდე ვგეკითხებით! - როგორ უნდა ვიარსებოთ ქართველნო?! მხოლოდ ყველაფრის გაყიდვით და გასხვისებით?

მაგრამ ხომ მოვა დრო, როცა გასაყიდი აღარაფერი გვექნება? რაღას ვშვრებით მაშინ? თუ იმ დევიზით ვიარსებოთ: „ჩემს შემდეგ, თუნდაც წარღვნა დამდგარა“?! ხომ დადგება საქართველოს სრული გაკოტრების ჟამიც, რასაც აუცილებლად მოჰყვება ქართველი ერის გადაშენება და სიკვდილი? როგორ, უნდა მოკვდეს საქართველო? უნდა გაქრეს ქართველი ერი? ნუთუ ესაა მიზანი იმ ვაიპოლიტიკოსების, რომლებიც დღეს, საქართველოს მესვეურებად მიიჩნევენ თავს? სადღა არიან ნამდვილი ეროვნული სულისკვეთების პოლიტიკოსები, ხალხო?

პოლიტიკოსი, ისაა -
ვინც, ერის ეშხით „მთვრალია“!
ერის, დიდების ქურაში, -
გადამდნარ - გადამლღვალია!
ომში არაა, - მხდალია!
აზრში არაა, - მცდარია
ჭეშმარიტების, უძლევი, -
კედელია და ფარია!

აბა, რა ესაქმება „ბენდუქ ფაშას“ ქართული პოლიტიკოსების წარმართველ მაღალ ეშელონებში და კერძოდ, საქართველოს ეკონომიკის სასიცოცხლო წყაროებთან, როცა აღარაფერს უტოვებს ქართველ ერს თავისი თვითმყოფადობისა და თვითშენარჩუნების გზაზე? ქართველნო, გაახილეთ თვალები და განსაკუთრებით კი გონებას „დააჭირეთ ფეხი“!

ეროვნული ფასეულობებიდან ყველაფრის გაყიდვა-გასხვისება, - ეს, სიკვდილის გზაა ძმებო!! ხოლო ერის კუთვნილი სიმდიდრის შენარჩუნება და გამრავლებაა მხოლოდ ერისა და ქვეყნის სასიცოცხლო გზა!

ქართული მიწის, არც ერთი გოჯი არ უნდა იყოს სხვისი მფარველობის თუ გავლენის ქვეშ, არც აშკარა და არც შენიღბული სახით! არც ძალადობრივი ქმედების შედეგად და არც ნებაყოფლობითი ვაჭრობა-გარიგებების საფუძველზე!

დასაქმება, მეწარმეობა და წარმოება, ჩაუყრის საფუძველს საქართველოს აღორძინების საქმეს, რამეთუ დასაბამს მისცემს დოვლათის დაგროვებას, რომელიც თავის მხრივ შექმნის წინაპირობას ჩვენი ეკონომიკის ფეხზე დადგომისა და გაჯანსაღებისათვის!

გლეხური წარმოება, - სოფლად! მუშური წარმოება, - ქალაქად! იმისათვის, რომ შეიქმნას დოვლათი და ხალხი გაძღეს! რომ ხალხს აღარ შიოდეს! სიმაძღრე კი გააკეთილშობილებს ადამიანს და ზნეობრივად შემოსავს მას!

დღეს კი რას ვხედავთ? ვისთანაც არ უნდა მოგიხდეთ საუბარი ან ვისაც არ უნდა შეხედოთ ტელევიზიის ეკრანზე, ყველა უკმაყოფილოა არსებული მდგომარეობით და უჩივის ადამიანის და საერთოდ, ხალხის ზნეობრივ ღირებულებათა გაუფასურებას. ერთის მხრივ, ყველა სიმართლეზე და სამართლიანობაზე დებს თავს! მეორეს მხრივ კი არც ერთი ჭეშმარიტად არ ემსახურება, არც სიმართლეს და არც სამართლიანობას. საქმე გვაქვს ადამიანის ისეთივე სულიერ-ზნეობრივ გაორებასთან, როგორც იყო კომუნისტურ-ტერორისტული დიქტატურის დროს. ყველა ღლეტს და იღლიტება, ყველა ძიებაშია, რა იშოვოს და როგორი გზით?

ქართველი ერი უნდა გათავისუფლდეს ამ დამღუპველი, კომუნისტურდროინდელი ფსიქო-ინტელექტუალური კომპლექსისაგან თუ გადარჩენა სურს!

წინ, - ეკონომიკური განვითარებისაკენ! მაგრამ, უკან, - მამაპაპური, ზნეობრივი ღირებულებებისაკენ! აი, ჩვენი გზა!

იმისათვის, რომ მოვახდინოთ საფუძვლიანი გარდატეხა და ჩავერთოთ თანამედროვე განვითარების პროცესში, აუცილებელია წესრიგისა და დისციპლინის დამცველი მტკიცე ინსტიტუტის შექმნა, დაკომპლექტებული ჭეშმარიტი, ერზე და ქვეყანაზე შეყვარებული მამულიშვილებისაგან.

ყველაფერს თავის დრო აქვს და
წესს, - ზომა-წონით ადგება!
გზას ვერ გაივლის ბოლომდე, -
თავშივე, ვინც აჩქარდება!
ხანძარი, - წყლისგან ჩაქრება!
ყინული, - მზისგან გადნება!
მტკიცე წესრიგის გარეშე, -
ქვეყანა ვერ აყვავდება!

დიახ, სასტიკი შეურიგებელი ბრძოლა, არა მარტო ქურდობის, ძარცვა-გლეჯის, ძალადობის, ბოროტებისა და მკვლელობების წინააღმდეგ, არამედ მცირედი, ზნეობრივ-სამართლებრივი ნორმებიდან გადახრისათვისაც კი! ჯერ კანონი უნდა იყოს კანონიერი და მერე მისი შეურყეველი დაცვა და განმტკიცება, როგორც ერისა და ქვეყნის ხორციელ ყოფიერებაში, ისე მის სულიერ ცნობიერებაშიც! როცა სული, ცნობიერება გასპექტაკდება, ყოფიერებაც დაზღვეული იქნება ყოველგვარი უკეთური ქმედებებისაგან!

ჩვენ კი რას ვხედავთ სინამდვილეში? ყველაფერი სახეზე გვაქვს, ქურდობიდან დაწყებული, სულის შემძვრელ, მკვლელობებამდე! და ეს იმიტომ, რომ ძალზე კრიმინალური, საზოგადოებრივი მემკვიდრეობა გვაქვს, როგორც მმართველობით ზედა ფენებში, ისე ხალხის ფართო მასებში. იმიტომ, რომ ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნოდა, ყოველთვის სხვისი ქვეშევრდომი და მონა-მორჩილი ვიყავით.

დღეს, თითქოსდა განვთავისუფლდით, დამოუკიდებლები ვართ, მაგრამ შეესაბამება ეს ყოველივე სინამდვილეს? მაშ, რა მოსდის იმ ხალხს, მმართველ ეშელონებშიც და დაბალ საზოგადოებრივ წრეებშიც, რომლებიც თითქმის არ შეცვლილან? როდემდე უნდა

გაგრძელება გვ. 9

დასაწყისი გვ. 8

ვზიდოთ კომუნისტური გამომძალველობის დანაშაულებრივი ცნობიერი ტვირთი?

დაწყევლილო საქართველო!
სათრევად გაჩენილო!
გუშინ მსახვრალ რუსის ხელში, -
საჯიჯგნად დარჩენილო!
„ცეკა“, „ტეკა“, „რაიკომი“
„საბჭო“ ხარკ-მიწერილი
უსინდისო კვაჭ-ქურდებით, -
გამჯნილ-გამოტენილი!
დღეს „შენობა“, თუმცა სხვაა,
ფასადიც სხვა ფერია!
პრეზიდენტი, პარლამენტი!
გუბერნია, მერია!
იმ ხალხითვე გაიჯირჯვა,
გუშინ ხრწნად, რომ გვერია,
ვაი, ჩემო საქართველო!
ბედი არ გიწერია!



ჩვენი უბედურება სწორედ ისაა, რომ მმართველი ზედაფენის წინა შრე, თითქოს უცვლელი რჩება და ყველა დროში მონაცვლეობს მხოლოდ მოჩვენებითი, ადაპტაციური სახეცვლილების მეშვეობით. ის დღეს, შეიძლება კომუნისტი იყოს, ხვალ „დემოკრატი“, ზეგ „ანარქისტი“, თუ „მონარქისტი“ და მასზეგ, თუნდაც „მღვდელი“. არა აქვს მნიშვნელობა, რადგან არ გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა, ყოველმხრივ დამკვიდრებული, დაუსჯელობის სინდრომის გამო. გინახავთ ვინმე დასჯილი იმ კომუნისტ ბოროტმოქმედთაგან, რომლებმაც საქართველო ჯვარზე აცვეს, - 1921-1989 წლებში? დაისაჯა ვინმე იმ „გადემოკრატებული“, მედროვე, კრიმინალ-პოლიტიკოსებიდან, რომლებმაც საქართველო, 1992 წლიდან უფსკურლში გადაჩეხეს და დღემდე ჯიჯგნიან? არა, ყველა დაუსჯელია და არხეინად დასეირნობენ. უფრო მეტიც, კიდევ აქეთ იჭიმებიან და ხვალინდელ დღეს უმიზნებენ, თავიანთ პოლიტიკურ სარბიელზე.

ქართველ ერს უნდა ეყოს გამბედაობა და შემართება რომ ეს მონაცვლეობითი ზედაფენა გადარეცხოს და ერთხელ და სამუდამოდ გაასუფთავოს საქართველო, ამ ისტორიულად თანამდევი, მავნე ადამიანთა მოდგმისაგან!

ყველას, ძველსაც და ახალსაც, უნდა მიეზღოს დანაშაულისამებრ, - სამშობლოს მოღალატეს და მკვლელს, - სიკვდილით!! დანარჩენ „ოინბაზებს“ და „ჯამბაზებს“ კი, - გისოსებში გამომწყვდევით, დროის შესაბამისი ხანდაზმულობით! დაუსჯელი არ უნდა დარჩეს არავინ, ფიზიკური მდგომარეობის თუ წლოვანების მიუხედავად. აი, მხოლოდ მაშინ იგრძნობს პასუხისმგებლობას, ყოველ პოლიტიკას მიტმასნილი, ქართველი კარიერისტი.

საქართველო! მხოლოდ შენ ხარ, - ის ქართველი ერთი!

ღირსეული, ბრწყინვალე და დიადი!

ვისაც მუდამ მტრობდნენ, მაგრამ, არ წირავდა ღმერთი,

რჩეულ შვილთა ფიქრი და ხვაშიადი!
მოიშორე შინა მტერი! უმალ მოგშორდება,
ჟამთა გზაზე მადევარი წუხილი,
მოიშორე! - ის, რაც გჭამდა, გჭამს და არ გშორდება!
ბილწი, წიდა, ქართველების უტილი!

დიახ! საქართველო უნდა გასუფთავდეს ყველა დროის ამ ნაკომუნისტარ-ნაჯალათარ-ნამოქალაქარ-ნაჩათლახარ ნაგავისაგან!

საით უნდა იყოს მიმართული, უფრო სწორად, რომელი მიმართულება გვრჩება პოლიტიკური ორიენტაციისათვის? ყველა მიმართულება ვცადეთ: სამხრეთი, აღმოსავლეთი თუ ჩრდილოეთი, ყველგან გავწბილდით, ყველამ - ჩაყლაპვა მოგვინდომა! ჩრდილოელმა რუსმა კი თავის „სტომაქში“ 200 წელი გვინელა, გვინელა და რაც დავრჩით, იმის მონელებასაც ცდილობს დღეს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სულ მცირე, ერთი მილიონი, ჯანღონით სავსე ქართველი ხომ მაინც შეეწირა რუსეთის სახელმწიფოებრიობას და მის პოლიტიკურ ინტერესებს მისი 200 წლიანი ბატონობის პერიოდში?

3-4 მილიონიდან ერთი მილიონი ცოტაა? დღეს რუსებს, კიდევ უბრუნდებათ ენა და სურთ მიისაკუთრონ ქართული ძირძველი მიწები, - სამაჩაბლო და აფხაზეთი? ვაჰ! სამართალო, დაგევსო თვალები? ან შენ, სადა ხარ ღმერთო?

სიტყვა მინდა ალესილი, როგორც ხმალი!
ხმალი მინდა, - მტრების სისხლით განწმენდილი,
თვალი მინდა, ძმათა მკვლელის, სხივჩამქრალი!
სამართალი მინდა ღმერთო! - სამართალი!

ერთიც იმ ზნემოშლილ და ინტელექტმორღვეულ ქართველებს დამიხედეთ, კვლავ რუსეთს რომ ეკურკურებიან და მის „კეთილდღეობას“, რომ ვერ ელევიან?!

გეოგრაფიული ფაქტი - ჩვენია! ისტორიული ფაქტი - ჩვენია! სისხლი და ხორცი, - ჩვენია! სული და გული, - ჩვენია!

მაშ, რაღა გნებავთ კიდევ, სიმართლისა და სამართლიანობისათვის, რუსეთის ბარბაროსებო და დასავლეთის ცივლიზებულო დემოკრატებო? როგორ, სამაჩაბლო და აფხაზეთი ქართული მიწა არაა! საქართველოს არ ეკუთვნის და ჩრდილოელი დამპყრობელის საკუთრებაა? ვაი, შენ დღევანდელო მსოფლიოვ, თუ ასე ფიქრობ სამართლიანობისა და მშვიდობა-სიამტკბილობის დამყარებას!

რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ ორიენტაციას, საქართველოსთვის დარჩენილია მხოლოდ ერთი გზა! გზა დასავლეთისაკენ, როგორადაც და რამდენადაც ბუნდოვანი არ უნდა იყოს ჩვენთვის მისი განზრახვა და მიზანი. ანდა გვრჩება კი, სხვა რაიმე გამოსავალი?

ზოგი ნეიტრალიტეტს უკიჟინებს! გასაგებია და საგულისხმო, მაგრამ დღევანდელი, გავლენიანობისა და მომგებიანობის ფსიქოლოგიით შეპყრობილ და მოქიშპე მსოფლიოში, ვინ დააყენებს პატარა და ასე საჭირო საქართველოს, იჯდეს თავის ბუდეში და თავის სურვილისისამებრ აშენოს თავისი მომავალი? არავინ! ასე რომ, სხვა გამოსავალი არ გვრჩება! დასავლეთისკენ უნდა ავიღოთ გეზი! რაც გამოვა, გამოვა! იმაზე მეტი რაღა იქნება, რაც გადავიტანეთ და გამოვიარეთ?

სიცოცხლის დღე მოკლეა და
სიკვდილის ღამე, - გრძელია!
კაცის მცდელობა, - ნორჩია!
ღვთის ხელოვნება, - ძველია!
დანგრევას, ბევრი არ უნდა!
აღმშენებლობა, - ძნელია!
კაცს თუ ჭკუა აქვს, ავ-კარგი, -
ადვილად საცნობელია!

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს გადარჩენის გზა, შემდეგნაირად გვესახება.

1. წარმოების აღორძინება და დოვლათის შექმნა!
2. მტკიცე წესრიგი!
3. მმართველი ზედაფენის გაწმენდა-გასუფთავება მედროვე ნაძირალებისაგან და მისი დაკომპლექტება ერის და ქვეყნის ქომაგი მამულიშვილებიდან!

4. ქართული ზნეობრივი ღირებულებების აღდგენა!
5. სახელმწიფო საკუთრებისა და სიმდიდრის გაყიდვა-გასხვისების აკრძალვა!
6. დასავლეთის ორიენტაცია!
7. ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და რაოდენ პატარაც არ ვიყოთ და რაოდენ დამოკიდებულიც არ უნდა ვიყოთ საკუთარი თვითმყოფადობის, ღირსებისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის საჭიროა და აუცილებელი ძალის ფაქტორი!

ძალის ქეა და დიდება, -
ენით, მრავალჯერ თქმულია!
ძალას თუ არ ფლობ ღირსება, -
უკვალოდ დაკარგულია!
ღარიბი, - დაჩაგრულია!
მდიდარი კი, - უჟმურია!
ძალა გადაწყვეტს, სადავოს! -
სიმართლე, თუ უძლურია!

გიორგი ქართველიშვილი
სამშობლოში დაბრუნებული პოლიტემიგრანტი
15. 05. 06 წ.

უცხოეთის ამბები

რუსეთის ხელმძღვანელებს შორის სერიოზულად განიხილება უკრაინის ტერიტორიის დასაპყრობი ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობა. ამისათვის მზადდება საზოგადოებრივი აზრი, როგორც თვით რუსეთში ასევე დასავლეთში.

ამის შესახებ კიევის გაზეთ „დენ“ -ში წერს იური შჩერბაკი, უკრაინის ყოფილი ელჩი აშშ-ში.

მისი აზრით, რუსეთი აქტიურად განიხილავს თეზას იმის შესახებ, რომ უკრაინა „არშემდგარ სახელმწიფოს“ წარმოადგენს.

უკრაინასთან მიმართებაში აგრესიული საუბრები და მისი ტერიტორიის შესაძლო დაყოფა დაჟინებით წარმოებს ზატულინის, პროხანოვის, დუგინის და სხვათა მიერ რუსეთის საზოგადოებისათვის თავსმოსახვევად.

ეჭვსგარეშეა, რომ უკრაინის „დესუვერენიზაციის“, მისი „უმართავი ტერიტორიების“ ნაწილებად „დაშლის“ გეგმა სერიოზულად მუშავდება რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური, სამხედრო და სადაზვერვო ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონეებზე.

მინსკი. ბელორუსმა დაადანაშაულა რუსეთი ანტიკრიზისული მოლაპარაკებების ჩაშლაში და არ აპირებს სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმების აღიარებას.

ბელორუსსა და რუსეთს არაფრით არ გამოსდის „მეგობრობა“.

მაგალითად სერგეი სიდორსკიმ დაადანაშაულა რუსეთი ანტიკრიზისული პროგრამების შეუსრულებლობაში, პარლამენტის ქვედა პალატის სპიკერმა ბორის ბატურამ კი — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხის ზეწოლაში და სხვა ინტეგრაციულ განზრახვებში.

დასავლეთი უნდა დაეხმაროს ბელორუსს დარჩეს თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ამბობს ლუკაშენკო. მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებს დაამატოს დაზღვევის მიზნით: ბელორუსი არის რუსეთის მოკავშირე.

მონიტორინგის განყოფილება
კავკაზ ცენტერ.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი   გ ვ ე რ დ ი

მწუხრის ჭიხნახური

გრიგოლ რუხაია 60 წლისაა

გრიგოლ რუხაიას რომანებსა და მოთხრობებს ამაღლებულ სფეროში - გადავყავართ. ოდნავ დაკვირვებული მკითხველიც კი იმთავითვე მიხვდებოდა, რომ ამ პროზაულ თხზულებებს წერდა მთრთოლვარე სულის, ფაქიზი შინაგანი წყობის ადამიანი, ვისთვისაც პატრიოტიზმი - ეს საკუთარი ბუნების წიაღში ყოფნაა, ვისთვისაც მამული - შვიდფერი მუზის სამსახურია. თვით მეგრული სიტყვების საკმაოზე ოდნავ მეტი მოძალება, რაც მის პროზაში შეინიშნება, პოეტური ბუნების წარმოჩინებად შეიძლება ჩაითვალოს. აქედანვე იღებს სათავეს ის ერთგვარი „კოკეტობა“, რაც ასევე შეიმჩნევა მის „მკაცრ“ პროზაში,თ უმცა, როდესაც ავტორი თავიდანვე პატიოსნად გვიცხადებს, რომ მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი პოეტურია, მაშინ ამგვარი „კოკეტობა“ არ გაღიზიანებს, არამედ მზადა ხარ, ისე მიიღო, როგორც თეატრალური პირობითობა.

თუ ამგვარად წაიკითხავთ მის ახლახან გამოსულ „ასერთ ლექსს“, ნებისმიერი მცირე პოეტური გნომა, როგორც ქართული ტანკა, ისე მოესიყვარულება ცხოვრებისეული პროზით დაღლილსა და გათელილ სულს. მხატვრული ამოცანა დაძლეულია თუ არა, სულ ერთია - ამ ლექსებიდან ბოლუქ-ბოლუქად ამოედინება სულიერების, ნათლის, რელიგიურობისაკენ სწრაფვა და ეს ლტოლვა საბოლოოდ ესთეტიკურ ღირებულებად გარდაიქცევა. ამგვარი გარდაქმნის მოწამეა „ჰქრიან“: „საღამოა მობნელლურჯო... დღე ცოტათი კიდევ ურჩობს; რა საოცრად მახალისებ ფეხქვეშ თოვლის კრაჭაკრუჭო“. განყენებულ თემებს, ვთქვათ, ბუნების ნეიტრალურ პეიზაჟს, ენაცვლება ეროვნული სიამაყის გამომხატველი ტაეპები: „რა ცრემლნი და რა მეფენი გულის ჯამში ჩამეტივნენ, საქართველოს ციხე-გოდლად დგას გიორგი ცამეტივე“. ეს იმის დასტური და მაცნეა, რომ რაიმე კონკრეტული მიზანდასახულების ციკლები აქ არ არის წარმოდგენილი, რომელთა ერთმანეთზე მიბმასაც რაიმე ფარული შინაგანი იდეა ან მინიშნება ექნებოდა. ავტორი სუფთა და ალალი გულით გვაწვდის იმას, რაც მის არსებაში, გონებასა და გრძნობებში დაიბადა, რამაც მოსთხოვა, აღმოეთქვა იგი. ამ თვალსაზრისით კრებულს „პატიოსანი“ ციკლი უნდა ვუწოდოთ. აი, კიდევ ერთი მართალი და პატიოსანი განცდა, რომელიც მახვილად არის შენიშნული. ის არაერთხელ განგვიცდია, ოღონდ არ კი გაგვიმხელია, ზოგჯერ საკუთარი თავისთვისაც კი. „ცოტაოდენ დაფეთების - დღეა ჩემი დაბადების! ლექსებს ვჯღაბნი... ჩემი ჭკუით წარმავლობას არ ვბარდები“. მთელი წიგნიდან და ცალკეული სტრიქონებიდან ჩანს - ავტორი შინაგანი ბუნებით არის რელიგიური. მისთვის ღვთისმოსაობა არც გარედან ძალით მოხვეულია, არც მეტიჩრობა და მოდა, როგორც ამ დღეების მოწამენი ხშირად შევსწრებივართ ხოლმე. ამიტომაც უღალატოა, არატრივიალურია მისი ეს აღიარება: „მადლობელი ღვთისა ვარ ყველაფრის და ყოველისთვის - მიწისა თუ ცისა ვარ, მეთხე ვარ თუ ნოველისტი!“

ნოველის ტიპის ლექსია „გაიჭენეს“, სადაც ამბავია მოთხრობილი. ამბის დასასრული კი სიბერეა, მხცოვანება, მუხლში ძაბუნი და სიკვდილი, ფინიშზე რომ დაუღლელად ყველას გველოდება. მივქრივართ, ლურჯა ცხენებზე ამხედრებულნი მივქრივართ მისკენ, როგორც სასურველი ნავსაყუდლისაკენ; თან მიგვაქვს ათასი ფიზიკური თუ სულიერი სალმობა, სინანული, არსაიდან არაფრით ნაკარნახევი სევდა, რომელიც უფრო მძაფრია, რაკი არ გვესმის, საიდანაა მონაქროლი.

როგორ გაიჭენეს წლებმა?!
შანიძემ რომ ხელი მედგრად
ჩამომართვა პირველკურსელს
მახსოვს, უნივერსიტეტთან.
როგორ გაიჭენეს წლებმა?!
მესმის მათი წია-წია“...
ქაშუეთთან ნონეშვილმა
მახსოვს, ხელი ამიწია.

ლაღი და საინტერესო პოეტური სადინარი მიგნებულია. ამ წესითა და რიგით გრძელდება ლექსი და გონიერი მკითხველი უკვე დასაწყისიდანვე ხვდება, რომ იგი კეთილად გასრულდება, ავტორი ლარსა და ხაზს სწორად გაავლებს, პოეტურ ლელოს ბოლომდე გაიტანს.

პოეტს იაპონური ტანკას მინაგვარი ლექსი უფრო მოსწონს, ვიდრე ვრცელყუვიანი გრძელი მონოლოგი. ეს იმას ნიშნავს, რომ კრებულში ამაოდ დაუწყებთ ძებნას „გაიჭენეს“ მსგავს სიუჟეტიან ლექსებს. აქ უფრო მნიშვნელოვნად არის ჩათვლილი ეფექტური, გერგილიანი ცალკეული ფრაზა-სახე, ანდა დასახსომებელი შედარება, ვთქვათ, ამნაირი: „ჩიორებივით სხედან რითმები პწკართა სიმებზე“, ან კიდევ: „ჩანდა საყდარი ვით ტრედის ხუნდი“; არა მგონია, განებივრებული ვიყოთ ესეგვარი მოულოდნელი შედარებითაც: „მთვარე ბრწყინავს, ვით სოვდაგრის თეთრი კირმანეული“; ვფიქრობ, არ დაავიწყდება მკითხველს ასეთი სახე-შედარება თუ მეტაფორა: „შაშვი მაგლობელია - გონწასული მგოსანი“. იმავე ტიპისაა: „შაშვი მაგლობელია ტყე-ოპერის მგოსანი“. კიდევ უფრო ძლიერ სახედ მეგულვის ესენი: „დაუსრულებელმა სიცხეებმა ღელეებს წაართვეს მეტყველება“, ან, კიდევ: „ღელეში ცივი წყლის კოტრიალი“. დიახაც მშვენიერია!

ამგვარი ცალკეული სახე-მიგნებები ლიტერატურის წინსვლას, მხატვრული ფორმის სრულყოფას განაპირობებს, ტექნიკური დახვეწილობის დონეს უთუოდ ამაღლებს. ეს მომგებიანია ლიტერატურისათვის, ოღონდ წამგებიანია ავტორისათვის, რამდენადაც ამგვარი ცალკეული მარჯვე თქმების ოსტატს მალე ივიწყებენ, ვერ იმახსოვრებენ.

დიდი ტრაგედია სხარტად, ორიოდე სიტყვითაც ითქმის, - ფიქრობს ავტორი და გვთავაზობს ჩვენი დღეების მწარე სურათს. ამ სურათს კომენტარი არ ახლავს, არც საჭიროა, დანარჩენს მკითხველი თავად მიხვდება:

ხვედრის საძებრად
საით აღარ გადახვეწილან:
გუგუტა,
ჯვებე,
ჩაჩა,
ქეცილა...
უკეთესები
ჩემზე ბევრწილად.
გამოკეტილა
მათი სახლები,
ფარდებიც საწყლად
ჩამოფხრეწილა.

ამ ქართულმა ტანკამ გვერდით ამოიყენა მეორეც, ასევე გულწრფელი და გერგილიანად გამხელილი საიდუმლო. ამ მცირე პოეტურ ეტიუდს ბოლოს კეტავს და ხურავს ძველ პოეტთა მიერ გამოცდილ-გამოწრთობილი მხატვრული ფიგურა, თავისებურად გამოხატული უარყოფის ფორმა:

მეკეთა შენი დანახვა...
გეგონა - მეუკეთურა!
გშვენოდა
სქელი ნაწნავი,
ყელს იღერებდი გედურად,
და მთელი
გიორგობისთვე
ვდიოდი არ-უბედურად.

ბარემ კიდევ ერთ ტანკაზეც ვისაუბროთ. ავტორს მისთვის „შუაყანაში“ დაურქმევია. აქაც იმდენი რამ არის ჩატეული ხუთიოდ ტაეპში, მთელ პოემას რატომ არ ეყოფოდა სათქმელად? ოღონდ სწორედ ეგ ვალი ადევს შემოქმედს, მით უფრო მოშაირეს, მიგვანიშნოს იმაზე, რაც არ თქვა და რასთანაც წილი აქვს ნაყარი მის ფიქრს, მის განცდებს, იმას, რაც ვერ გამოუთქვამს, ოღონდ მიმხვდარა... ამ უთქმელის იქით დიდი სათქმელია, რომელსაც ვერც ვერასოდეს გამოხატავს სიტყვის მეოხებით, ვინაიდან სიტყვის ხმიანობაზე ის სასწაულმოქმედი უცნაური ფრინველი ფრთხება, ქრება და ხელში აყვანის, შეპყრობის საშუალებას არ იძლევა. დიახ, უნდა იგრძნო, რომ ავტორი წილნაყარია იმასთან, რისი თქმაც მოახერხა და იმასთანაც, რაიც ხელიდან დაუსხლტა, რაც ვერ მოიხელთა, ოღონდ ნამდვილად მისეულია, მის მიერ განცდილი. ამ შემთხვევაში პოეტი იმ ასტრონომსა ჰგავს, რომელმაც თუმცა კი ვერ დაინახა, ვერ დააფიქსირა ახალი ვარსკვლავი, ოღონდ იგუმანა და გამოთვლებით გამოიანგარიშა, თუ სად უნდა იყოს იგი. მაშ, ეგ ასტრონომი წილნაყარია იმ ვარსკვლავებთანაც, რომლებიც იხილა და იმასთანაც, რომელიც ვერ მოიქონია, ოღონდ იცის, რომ სადღაც, ამა და ამ გალაქტიკაში, უნდა იმყოფებოდეს. მაშ, „შუაყანაში“ კი რა ხდება? ყველაფერი ის, რაც ზემორე მოგახსენეთ, თუმცა კი ამბავი მიწაზე დატრიალდა:

ჩაგუ ბაბუა!
ყველი და მჭადი
და დოქით წყალი
წავიღე მასთან.
ის კი იდგა შუაყანაში,
თოხზე მშვიდად
ხელებ და ნიკაპჩამოდებული
და მხნედ მფშვინვარე.
შევცქეროდი გაღიმებული,
ვერ გავაღვიძე...
დოქი დავდგი,
თეთრ პეპელას გამოვეკიდე.

კრებულის ავტორისათვის უცხო როდია ბგერწერა, ახალი რითმის მიგნება და სიტყვასთან ჭიდილი. გასაგებია, რომ მერცხლის ცენტრალური ბგერა არის „ც“. სწორედ ეგ ბგერა აუზგერწერებია საჭიროებისამებრ ავტორს: „ვერც ტყვია იჭერს, ვერც ხელი... მერცხლების შმაგი დოლია, ცა არის გადამერცხლილი!“ როგორც ყველაფერი ამ კრებულში, ისე რითმაც ბუნებრივია. ამ ბუნებრიობას ავტორის ბუნება განაპირობებს. თვით ზეახალი, ორიგინიალური რითმაც ამ ნიშნითაა აღბეჭდილი: „აწ იყოთ - საციხოდ“, „გაგვიბზარეს - ელიზბარი“...

მაშ, ასე: არა „ასი ლექსი“, როგორც მუდამ და ყოველთვის, არამედ „ას ერთი ლექსი“, როგორც ამჯერად. ეს მინიშნებაა იმაზეც, რომ რაღაც ახალი, რაღაც თავისებური შემოაქვს ახალ კრებულს და ეს ასეცაა. მასში გაცილებით მეტია თქმული, ვიდრე სიტყვებია დაბეჭდილი. მკითხველს კი სწორედ ამგვარი ლექსთა კრება ჰგვრის სიამოვნებას.

მურმან თავდიშვილი

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ყოფიერება

ჰე, მამულო, ჟამთა სრბოლას ავარდებდი, აიებდი
და გშვენოდა ხელმწიფენი ფიცხნი, ვითარც აიეტი.

ახალ-ახალ გამოჩეკდა მომხდურს თითო საუკუნე.
ეცადნენ კი... ჩვენს წინაპრებს ქედი ვეღარ გაუღუნეს.

ჰე, მამულო, შენს მიწა-წყალს მზის შუქივით ფარავს ვაზი,
შუქთა სვეტად აღმართულა მეფეთ-მეფე ფარნავაზი.

შეიძლება ჭორი მოკვდეს? შეიძლება მითი დათვრეს?
ყოველშემთხვევაში, ხმალ-შუბს არ ინდობდა მითრიდატე.

მტერთა, ფარსთა, გასაკვირად განიდიდა გორგასალი,
ქრისტეს მხედრად იშვა, ქართლის ჭირი ჩეხა გოგრასავით...

მართალ რწმენას სალ კლდედ ედგა, ცა-მიწასთან მართალ
იყო...
ო, კირიონ პირველს ვაქებ სულმნათ ქართლის კათალიკოსს.

ადიადა თვისი ერი ხმლოსანმა და თოხოსანმა...
აღმაშენებელს და თამარს მხრებზე ენთოთ „ოქროს ხანა“.

ჰე, მამულო, იყო ჟამი, ოდეს მწარედ ვალალებდი,
ფარ-ხმალგაფიცხებული რომ იგერებდი ჯალალედინს.

მურვან ყრუს და ბუყა თურქს და მოყრუმუნჯო შაჰაბასებს...
ეჰ, სოფელი მეფედ ძერწდა ხშირად კაცსა სახაბაზეს!

რა ჩამოთვლის ძაღლთაპირებს, მამაძაღლებს,
დედაძაღლებს,
იბერიის ვინც ნაკადულს დღევანდლამდე მეტად ამღვრევს?!

რა ცრემლნი და რა მეფენი, გულის ჯამში ჩამეტივნენ -
საქართველოს ციხე-გოდლად დგას გიორგი ცამეტივე.

პირველიდან მეათემდე... მათი ჭმუნვით დავითვერი...
გმირებად და ლომგულებად ჰფეთქენ მეფე დავითები.

გყავდა ძენი ნათლისანი როგორც ცოტნე დადიანი,
ო, თევდორე... ო, ილია... ზვიად, მხნე და მადლიანი...

ჰე, მამულო, ლექსებს გიმღერ სიმებნაკლულ გიტარაზე.
ცხრაკლიტულში ჩამწყვდეული მეგულები, ვით ხვარამზე...

აჰა, მალე გამოჩნდება ღრუბელთზედა მაცხოვარი...
შვიდიათასი წლის ბორკილს დალეწს მოყმე და მხცოვანი.

გრიგოლ რუხაია

მამული და ზვიადი...

მამულო ჩემო, ტანჯულო და
გაუხარელო...
აბა რა გითხრა, ამ უთვალავ
ვაჟკაცებ მოკლულს...
ან თუ ღირსსა მყოფ მომისმინო
შერისხულს მძიმედ,
აღსარებისთვის კარიბჭესთან
ცრემლებით მოსულს...
მერწმუნე, - ჩემი ავბედობა
დამვიწყებია,
ო დამშრობია აწ განდევნილს
ცრემლის რუები,
თუმც გასხვისებას მამულის და ჩემი
კუთხისა,
ვერა სამშობლოვ, ვერასოდეს შევეგუები.
აგერ ახლახან დაამსხვრიე რკინის ბორკილი,
და როცა უნდა გაგეტანა ბოლომდე ლელო,
რაც ვერ დაგაკლო რუსმა ჩექმით, ხიშტით და ტყვიით,
ღალატითა და ორგულობით ქართველმა შეძლო.
შენ ვერაგულად დაგიცხრილეს თავისუფლება.
შაგრენის ტყავად უქცევიხართ, ნუ დაეჭვდები,
აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩამოგლეჯილო,
მაგ იარებზე, - დავდნები და მტლად დაგედები.
იცი შენს ტკივილს ვერ ავიტან, ვეღარ გავუძლებ,
წამებისათვის, შვილი ვარ და ვეღარ გელევი,
საკუთარ ძეთა ხანჯლით ტოტებ შემოლეწილო,
ჩემო მამულო, იმ დაჩეხილ ტანზე გეხვევი.
რადგან ასეთი უფრო ძლიერ მიყვარხარ, რა ვქნა,
ღმერთმა დაგილოცოს, - შენზე დარდში მიკრთება რული,
შენა ხარ ხატი ჩემი, ჯვარი, ღმერთიც შენა ხარ,
მამულო ჩემო, მიზიარე მშფოთვარე სული.
... დღეს წინაპართა სამკვიდრებელს გავყურებ შორით...
ძმათა საფლავზე, ვით მირაჟი, ფიქრში დავბობღავ...
მამულო ჩემო, ბოღლმისაგან გულდაფლეთილი,
დაგემხობი და... სისხლით დამბალ მიწას ავლოკავ...
მიწას, რომელსაც ჯვარზე უცვეს წმინდა ზვიადი...
გადააფინეს ნატანჯს დროშა მეწამულ ფერის...
მამულს მეორედ მოუკვდინეს დიდი ილია...
ამად ვისჯებით... ხსნა სად არი ცოდვილი ერის...
გულად უცემდა მამული და სამრწუნეობა,
ქრისტესმიერი თავგანწირვა არგუნა ღმერთმა,
და ბიბლიაზე მინდობილმა პირჯვარის წერით,
გოლგოთას გზაზე მიტევებით იარა ერთმა...
... ივერთ ქვეყანავ, მუხანათურ მსხვერპლის გაღებით,
შთამომავლობას წარუდგები რანაირ სახით...
"არა კაც ჰკლა“-სა ბრძანებს მაღლით თავად უფალი,
მიექანები თავდაღმართზე... ნეტავი საით...
თხუთმეტი წელი ავბედითი გასულა უკვე,
ტყვიის შემზარავ წივილს მაინც ვეღარ იოხებს,
კაენის ცოდვის სისხლიანი თენდება ღამე,
და შუბლგანგმირულ პრეზიდენტთან მუხლზე იჩოქებს...
ის დაწყევლილი... ჯიხაშკარი... ჯიბრობს წიწამურს...
გაოგნებული საქართველო ერის შვილს იგლოვს...
თავსლაფდასხმული ოცდაათი ჩხრიალებს ვერცხლი...
ბოროტება კი... ზვიადისგან შენდობას ითხოვს...

მარეხ ბაღიშვილი

26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღეა

ძე ქარიშხლისა



მერაბ კოსტავას, როგორც მამულიშვილს და ეროვნულ მოღვაწეს, ქართველი ხალხის წინაშე წარდგინება არ სჭირდება. მას იცნობენ აგრეთვე, როგორც ნიჭიერ მუსიკათმცოდნეს და თეატრალურ კრიტიკოსს, მაგრამ მისი ნაცნობ-მეგობრების ვიწრო წრის კიდეგან უცნობია მისი პოეზია, მისი ლექსის გზნება და მადლი...

არ უყვარდა მერაბს თავისი ლექსების პოპულარიზაცია მიტინგებზეც იშვიათად თუ ნაუკითხავს საკუთარი ლექსები, „შიმშილობა“ წაიკითხა ერთხელ ნოემბრის დღეებში. მოშიმშილეთა გასამხნევებლად და „შავი ჯოჯოხეთის კუპრი“. გამოქვეყნებაზე კი ფიქრიც არ სურდა.

ჩვენ, თანაკბილანი, სიყრმიდანვე ვმეგობრობდით. ჯერ პირველ ვაჟთა საშუალო სკოლაში ვსწავლობდით ერთ კლასში, შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში. მერაბი ჩინებული პიანისტი იყო. მშვენივრად ასრულებდა გრიგს, ბეთჰოვენს და შუბერტს. ბეთჰოვენის და ვაგნერის გმირული მუსიკა იყო იმჟამად ჩვენი სტიქია. მერაბში თითქოს ორი სული იბრძოდა. ფაუსტის მსგავსად, მუსიკისა და პოეზიისა. ბოლოს პოეზიის სულმა იმძლავრა, მერაბი მუსიკას შეეშვა და პოეზიას მისცა თავი, თუმც მისი ლექსი არ გაჰყრია მუსიკას, მუსიკის ტალღათა მძლავრი პულსირება საცნაურია მის სტრიქონებში.

ამასთან ერის წყლული წყლულად გვაჩნდა და არც პოლიტიკაში ვიყავით უმოქმედონი. მამაჩემი ამთავითვე შთაგვაგონებდა ორივეს ეროვნულ იდეებს. გვათვითცნობიერებდა. თვალს გვიხელდა სინამდვილეზე, დამოუკიდებელი საქართველოს ოცნებით გვზრდიდა. რაც ბრწყინვალედ აისახა მერაბის შესანიშნავ ესსეში კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ (გამოსათხოვარი „ოქროს საწმისი“, 1977, № 4). ამჟამინდელი ჩვენი განწყობილებები კი აირეკლა ლექსში, რომელიც ვუძღვენი მეგობარს 15 წლის ასაკში:

ჩვენ ძლიერ ხშირად გვიფიქრია ძმაო ამაზე,
როდის აღსდგება სამშობლო ჩვენი,
და დაბრუნდება კვლავ სილამაზე
თავისუფლების და აღმაფრენის.

როდის დადგება ის დღე დიადი,
როს ბორკილს შევხსნით ერს დამცირებულს,
და დაუბრმავებს თვალს განთიადი,
ჩრდილოეთის წითელ ჯალათთა კრებულს!..

და საქართველო დიდჭირნახული
გამოფხიზლდება ყველა იოგით,
ჩვენ ღვთისმშობელი გვწყალობს ხახულის
და გვიცავს მარად თეთრი გიორგი.

ღვთის რწმენა თავიდანვე გვქონდა, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიურად დავადექით რელიგიურ და თეოლოგიურ შემეცნების გზას, 60-იან წლებში საიდუმლო ღვთისმეტყველებამ და მისტიკამ გაგვიტაცა. ამ პერიოდში მერაბის ლექსები მისტიური სიღრმით და რელიგიური აღმაფრენით გამოირჩევიან. სწორედ ამ ხანებში მიძღვნა მან ასეთი ლექსი:

მეგობარ ზვიადს
„შენი სამშობლო არის სულეთი,
სხვა სრა-სასახლე, ძმაო ნუ გინდა,
დე, ხალხის თვალში დარჩი სულელი
მამის წინაშე იყავი წმინდა.

დაე, გფარავდეს ვარსკვლავთ კრებული
და მიქაელის ცეცხლის მახვილი.
დაე, ღირსად გცნოს იქმნა ვნებული,
წმინდა ზვარაკის ტკბილი სასმელით.

არ მიიკარო მწიკული ზადის
შენი ტანია თვით ეკლესია,
სცან ღაღადისი, გზა განიმზადე,
დედამიწაზე დადის მესსია!“

იმავე პერიოდში მიძღვნა ლექსი „პაემანი“, სადაც საოცრად იწინასწარმეტყველა ის, რომ ჩემზე ადრე დასტოვებდა ამ წუთისოფელს და მე, მის აკლდამასთან, თალხით მოსილი, დაველოდებოდი მეგობრის აჩრდილს! აკი ამიხდა ყოველივე!

მე ვიყავი მისი ყოველი ნაწარმოების პირველი მკითხველი, ისევე როგორც იგი იყო ჩემი პირველი მკითხველი და შემფასებელი წლების მანძილზე. ბოლოს მაიძულა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), ჩემი კრებულის მიტანა „მერანში“ 1973 წელს, რაც დამთავრდა მთავლიტის მიერ ამ წიგნის აკრძალვით და ანაწყობის განადგურებით. (ხელისუფლება ჩვენი დაპატიმრებისათვის ემზადებოდა და რა დროს ლექსები იყო). თავისი ლექსები კი ვერაფრით მივატანინე ვერც ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ვერც გამომცემლობებში.

„ბიჭო, შემიგროვე შენი ლექსები, შენ არაფერში შეგაწუხებ. მე გადავაბეჭდინებ და წიგნსაც მე შეგიდგენ. ახლა მაინც სხვა დროა და გამოსცემენ-მეთქი“ - რამდენჯერ ვუთხარი.

„სად მცალია ან შეგროვებისათვის“ ნიადაგ ასეთი იყო მისი პასუხი.

ახლა ვნანობ. კიდევ მეტი დაჟინებით რად არ მოვითხოვე. თვალით ენახა, გაეხარა ერთხელ მაინც თავის ცხოვრებაში.

დიახ. გაუხარელი იყო მისი ყოფა. ისევე, როგორც ყოველი ჩვენგანისა წლების მანძილზე. ბოლო ხანებში ერთადერთი რამ გვახარებდა. აზვირთებული ახალგაზრდობა, ეროვნული დროშების ფრიალი, ლაღი მიტინგები და მსვლელობები, რაც ესოდენ ჩაგვიმწარდა 9 აპრილს! მაგრამ 26 მაისი იმავე წლისა ხომ აღდგომა იყო ნამდვილი... თუმც ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვინაიდან ეს ცალკე თემაა.

ლექსი მისი საქართველოს გოლიათი ციხეების დუღაბით ნაგებს ჰგავს. ენა ძარღვიანი, ძველ ქართულს ნაზიარები, პოეტური ნეოლოგიზმები თამამი, რითმანებული წერილიდანაც ჩანს.

როდესაც 1981 წელს პირველად დაუმატეს წლები ციმბირში, „სასამართლოზე“ განაცხადა: „თქვენ ისე მექცევით, როგორც რუსეთი ექცევა საქართველოს“ და გამოაცხადა უვადო შიმშილობა, ვინაიდან ახლობლებთან შეხვედრის უფლებაც წაჰგვარეს.

მისმა ერთმა ციმბირელმა მეგობარმა შემატყობინა მისი ჯანმრთელობის კატასტროფული მდგომარეობა. სასწრაფოდ ვაფრინე ტელეფონოგრამა ჟორჟ მარშესთან ფრანს პრესის მეშვეობით, მარშე მიტერანს დაუკავშირდა, მიტერანი ჯერაც ცოცხალ ანდროპოვს, ახმაურდა პრესა, აყვირდნენ რადიოსადგურები და მისცეს მერაბს ახლობლებთან შეხვედრის უფლება.

ირაკლის ტრაგიკული თვითმკვლელობის შემდეგ კვლავ მომივიდა ციმბირიდან ცნობა, მერაბი განწირულიაო! კვლავ დავტრიალდი, ვეცი დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოებს, ავტეხე ხმაური, იმხანად ამოხეთქა ჩემი გულიდან პასუხმა მის ლექსზე, რომელსაც ახლა ვაქვეყნებ:

ერზე მჭუნვარე ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვალ, იცოდე!
ქრისტემ მოგმადლა ცის გასაღები
და სერაფიმათა ჰაეროვნება,
არ გწამს მონღოლის ნატრაბახები
და არც მარდოხეს ყალბი ცხონება.
გვეტანებოდნენ ძაღლნი და ღორნი,
შემუსვრა სურდათ ელვარე ჭაღის,
მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი,
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის!
კვლავაც დავუდგეთ დარაჯად საფლავს,
ყველა ცოცხალთა მიზანს და მიზეზს,
ამგვარ წამებას ხომ შვებაც ახლავს,
ხვალეც იმედის თვალებით გვიმზერს,
ცხოველმყოფელი საფლავი იგი
გვიწამებია ცხოვრების წყაროდ.
დაგვცქერის თვალი არსთაგამრიგის,
ის აგვარიდებს ბედის შავ ტაროსს.
და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენნი,
ცა გარდაგვეხსნა მარადჟამული,
ხელთუქმნელ ხატის დიდებით მშვენი
ღვთის წილხვდომილი ჩვენი მამული.
დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე
მზე შუაღამის, ბარძიმი წმინდა,
გვწყალობდეს ვინაც გვიკურთხა ვაზი
და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა.
ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.

თავისი ცხოვრებისეული კრედო კი მერაბ კოსტავამ შემდეგ სტრიქონებში ჩააქსოვა:

„წილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად
მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო,
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,
შემდეგ ეს მიწა და საქართველო!“

და მისი პოეზიაც ხომ ზეცის, მიწის და საქართველოს მარადიული დიდებაა.

ზვიად გამსახურდია
1990. I. ნათლისღება

მერაბის სიკვდილის შემდგომ ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამოცემული მერაბ კოსტავას ლექსების კრებულის წინათქმა

ქართველთა და ვაინახთა შეხვედრები

ალა დუდაევა საქართველოში ხატავს

„კავკასიის ფონდის“ ორგანიზებით თბილისში „ქართულ-ვაინახური შეხვედრები“ გაიმართა. მისი პროგრამა მოიცავდა სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებიც გრძელდებოდა რამოდენიმე დღე.

„კავკასიის ფონდი“-ს ცნობით, ღონისძიებაში ჩეჩნეთის და ინგუშეთის რესპუბლიკებიდან მოწვეული მწერლები, მხატვრები, მეცნიერ-კავკასიოლოგები ღებულობდნენ მონაწილეობას. მას ასევე ევროპაში ჩეჩნური დიასპორების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

თავდაპირველად გალერეა „კოპალაში“ ჩეჩნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიენტის, ჯოხარ დუდაევის ცოლის, ალა დუდაევას ნახატების გამოფენა გაიხსნა. მის ნახატებში მეუღლის პორტრეტიც მოხვდა. ალა დუდაევა საქართველოში დაახლოებით ორი თვე დარჩება.

როგორც ალა დუდაევამ ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, მთებში აპირებს წასვლას და საგაზაფხულო ეტიუდების შესრულებას. ამ დღეებში კი ის პირდაპირ თბილისის ქუჩებში ხატავს...

- ჩვენ კავკასიას, ერთმანეთის გულებს ვავსებთ, - ამბობს ის, - ვფიქრობ, რომ ერთიანი ძალებით რაღაც გამოგვივა, მივაღწევთ იმას, რაზეც ვოცნებობთ, განსაკუთრებით ქალები. იმედი მაქვს, იქნება მშვიდობა, აღარ მოკლავენ ჩვენს შვილებს, ქმრებს. მჯერა, რომ კავკასიის თავზე უღრუბლო ცისფერი ცა იქნება. გამოფენას ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკიდან მოწვეული სტუმრები, მწერლები, მხატვრები და მეცნიერ-კავკასიოლოგები ესწრებოდნენ.

მისალმებებით გამოვიდნენ სტუმრები და მასპინძლები. შეკრებილებს კავკასიური ერთიანობისაკენ მოუწოდა „კავკასიის მშვიდობის მისიის“ ხელმძღვანელმა მამა კონსტანტინემ (კოღუაშვილმა).

მომდევნო დღეებში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ქართულ-ვაინახური კულტურული კავშირები და კავკასია“.

უფრო ადრე, როცა ჩვენში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას იუბილე აღინიშნებოდა, თბილისს სტუმრობდა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პირველი პრეზიდენტის, ჯოჰარ დუდაევის ვაჟი დეგი დუდაევი. ერთერთ შეხვედრის დროს მან განაცხადა, რომ მას ახარებს და ძალას მატებს ის დიდი სიყვარული და ყურადღება, რომელსაც მისდამი ის ადამიანები გამოხატავენ, რომელთაც მამამისის სჯეროდათ, მათ შორის არიან ისინიც, რომლებსაც ის არასდროს უნახავთ, მაგრამ მაინც პატივს სცემენ და ემადლიერებიან ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ პრეზიდენტს.

- ამიტომაც ვამაყობ საკუთარი მამით, უფრო სწორად, მისი საქმეებით, - ამბობს უმცროსი დუდაევი. - პოლიტიკა ჩემი ცხოვრების ნაწილია, მე სწორედ პოლიტიკაში გავიზარდე, ამიტომ ჩემი გულგრილობა პოლიტიკისადმი იგივეა, რომ ადამიანმა საკუთარი ცხოვრების მიმდინარეობას ყურადღება არ მიაქციოს. რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღებას, ამას იმ შემთხვევაში გავაკეთებ, თუკი ეს ჩემი ხალხისთვის იქნება საჭირო და თუ ამას თავად ხალხი გადაწყვეტს. სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში სრულებით არ შეცვლილა, ჩეჩნეთი რუსეთისთვის მუდამ ფეთქებადი ციტადელი იქნება, ჩეჩნების მებრძოლი სული, უფრო სწორად, კავკასიური მებრძოლი სული, ხომ ურყევია... მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება გრძელდება, ბრძოლები არ მიმდინარეობს, ჩვენ ჩვენი მეამბოხე სული სულაც არ დაგვიკარგავს და არც უკან დავიხევთ, მანამ, სანამ რუსეთი ჩეჩნეთს თავს არ დაანებებს. ჩემი ოცნებაა, აღსრულდეს ის, რისთვისაც იბრძოდა ორი გმირი პრეზიდენტი — ჯოჰარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია. მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ მიერ დაწყებული საქმე აუცილებლად კეთილად დაგვირგვინდება... მე ძალიან კარგად მახსოვს საქართველოს პრეზიდენტი. ახოვანი, კეთილშობილი. ჩემთვის ის კავკასიის თავისუფლების სიმბოლოა. მამაჩემი ზვიად გამსახურდიას შესახებ ამბობდა, რომ ის იყო მისი „მასწავლებელი, მეგობარი, თანამებრძოლი“... სწორედ ამ სიტყვებით დაემშვიდობა მამა ბატონ ზვიადს.

გალერეა „კოპალაში“ ალა დუდაევას ნამუშევართა გამოფენა გაიხსნა ჯოჰარ დუდაევის დაღუპვის დღეს, 21 აპრილს. მეუღლის ხსოვნის დღეს მხატვარმა ვაინახების გენოციდის თემაზე შექმნილი ფერწერული ტილოები - „სიკვდილის გზა“, „ომის შვილები“, „გენოციდი“ და სხვა - დამთვალიერებლებს წარუდგინა.

— ახლა საქართველოში რთული პერიოდია, ასევე, რთული პერიოდია ჩეჩნეთშიც, - განაცხადა ალა დუდაევამ. - ჩვენ დღეს ადამიანთა გულებს ვაერთიანებთ, ესაა ყველაზე მთავარი და, ვფიქრობ, ერთობლივი ძალისხმევით რაღაც გამოვა. მივაღწევთ იმას, რაზეც მთელი კავკასიის ხალხი ოცნებობს — მშვიდობას, რომ მათი შვილები, ძმები და ქმრები აღარ იხოცებოდნენ ურთიერთდაპირისპირებაში და ყველანი კავკასიის ცის ქვეშ გავერთიანდეთ. ახლა სწორედ ამისთვის ჩამოვედი.

ალა დუდაევა მრავალმხრივი შემოქმედია, იგი ავტორია წიგნებისა, რომლებიც მიძღვნილია მისი მეუღლის — ჩეჩნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, ჯოჰარ დუდაევისადმი.

- აქ ისე თბილად შემხვდნენ, საკუთარ სამშობლოში მგონია თავი, - ამბობს ალა დუდაევა. - მე ვფიქრობ, ადამიანს ყველაფერი, ცხოვრებისეული სირთულეები თუ გამოკვეთილი მისწრაფებანი, მხოლოდ ღვთის ნებით ეძლევა. იგივე შემიძლია ვთქვა შემოქმედებით ნიჭზეც და თუ ღვთის მიერ ნაბოძებ ტალანტს ადამიანი არ გამოიყენებს, ამისთვის მას აუცილებლად ღვთისგანვე მოეკითხება. ვფიქრობ, ყველა, ვისაც შემოქმედებასთან აქვს კავშირი, საკუთარ სულიერ სამყაროს ამდიდრებს და ამით ებრძვის რეალობას, არც მე ვარ გამონაკლისი. მართალია, ძალიან გატაცებული ვარ სახვითი ხელოვნებით, მაგრამ, რაც შეეხება სულიერ თავშესაფარს, ეს ჩემი პოეზიაა.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ: ინგუში მწერალი, ისა ქაძოევი — „ქართულ-ინგუშური კავშირები, ფოლკლორი და სინამდვილე“, ედილბეკ ხასმაგომადოვი — „ჩეჩნური ტრადიციული კულტურა — კავკასიური ცივილიზაციის ფენომენის ნაწილი“, მუსა ხაძიევი — „ქართველი და ინგუში ხალხების ურთიერთობები“, მექა ხანგოშვილი — „ქისტური ფენომენი ქართულ სინამდვილეში“, მარიფა სულთიგოვა — „ქართული ენათმეცნიერების როლი კავკასიათმცოდნეობის განვითარებაში“, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, მერაბ ჩუხუა — „ქართულ-ვაინახური ნათესაობის პრობლემა ენობრივი მონაცემების მიხედვით“, გივი ღამბაშიძე — „შუასაუკუნეთა ქართულ-ვაინახური კულტურულ-ისტორიული კავშირები“.

მომხსენებლთა გამოსვლებში საერთო კავკასიური ერთიანობის იდეა იყო. მწერალმა ისა ქაძოევმა მოძმე ქართველებს ერთიანობისაკენ მოუწოდა.

— რასაკვირველია, უნდა არსებობდეს განსხვავებული აზრი, მაგრამ არა ურთიერთდაპირისპირებისათვის, — დასძინა მან. - ჩვენ მოძმე ერები ვართ. ჩვენს ერთიანობას პოლიტიკა ბარიერებს უქმნის, მაგრამ ეს ვერ დაგვაბრკოლებს!

კონფერენციის შემდეგ გაიმართა ახალი წიგნების პრეზენტაცია; წარმოდგენილი იყო: მერაბ ჩუხუას — „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“; ისა ქაძოევის — „უფსკრულზე“ და „ღალღაი“, ასევე ნანა ნოზაძის — „ხურიტული ენის ლექსიკა“.

* * *

დამამახსოვრდა ქალბატონ ალას მიერ წარმოთქმული ფრაზა - საქართველოს გული კავკასიის გულიაო!

— საქართველო ჩვენთვის მეორე სამშობლოა, — ამბობს ჯოჰარ დუდაევის შვილი. — განსხვავებული რელიგიის მიუხედავად, მსგავსი ტრადიციები, ისტორია და კულტურა გვაქვს, მსგავსი მენტალიტეტი და კავკასიური სული. ამიტომაც ჩემთვის კავკასიაში ყველაზე ახლობელი ქართველი ხალხია...

და თითქოს ამ აზრს ეხმიანება მამა კონსტანტინეს (კოღუაშვილის) ჩაგონება.

— კავკასიელ ხალხთა ერთიანობაშია ჩვენი გამარჯვებებისა და ნათელი მომავლის საწინდარი, - ამბობს ის, - მისასალმებელია ამ მიმართებით გადადგმული ნაბიჯები. ეს შეგნებული უნდა ქონდეს ეროვნულ და პატრიოტულ ძალებს მთელს კავკასიაში... და წარმატებები მოვა!

მამია ალაშვილი

ავტორის ფოტო

რუს დედებს

ვინც საახალწლო ღვინით მთვრალები,
ააწკრიალებთ კვლავ სავსე ჭიქებს,
დაე, დაგიდგეთ თვალწინ თვალები
შორს დარჩენილი თქვენი ბიჭების.
დაე, დაგიდგეთ თვალწინ თვალები
დახუჭულები დარდით, წვალებით,
რუსეთის მიერ ომში მოკლული,
ყველა მოკლული შვილის თვალები.
ჯერ კიდევ ფეთქავს მათი გულები
და დედამიწა შემკრთალი უსმენს,
ცივ სამარეში დამარხულები
შეჰღაღადებენ კრემლსა და რუსეთს.
რისთვის გაწირე რუსეთო, რისთვის,
რისთვის დასაჯე შენი შვილები.
რუსის დედებო, აღივსეთ რისხვით
თქვენი ჭრილობით და ტკივილებით.
თქვენი ძალა და ნება აჩვენეთ
ვინც ომითა და სისხლით მთვრალია,
გაიხსენეთ და გადაარჩინეთ
ისინი, მაინც
ვინც ცოცხალია.
გადაარჩინეთ ვინც ცოცხალია,
და ვინც იმედი არის ხვალისა,
მათი სიცოცხლე სანთლის ალია,
რომელიც ებრძვის ქარს და ქარიშხალს.
მე მჯერა თქვენი და გულის კარზე
ვიცი, ამაოდ არ ვაკაკუნებ,
და სანამ ომის გრიგალი ხვალ-ზეგ
უფრო უარესს დღეებს გვარგუნებს.
სანამ ტყვიები წაიღებს სათქმელს,
დედებო, მეტი სიმტკიცე გვმართებს,
სანამდე ქარი ჩააქრობს სანთლებს
გადავარჩინოთ სიცოცხლე მათი.
კრემლის ვარსკვლავი ნელ-ნელა ქრება,
კრემლის ვარსკვლავებს აკლდებათ შუქი,
წითელ მოედნის ხოტბა და ქება
ახლა მოსკოვსაც უჭირს და უკვირს.
კრემლის ვარსკვლავებს მისხლად მოედო
იმ საახალწლო დილის ზმანება,
სისხლი აწითლებს კრემლის მოედანს
და სულებს ჰკიდებს ცაზე ზარებად.

ალა დუდაევა

თარგმნა ნოდარ ჯალაღონიამ

1995 წ. თებერვალი

ქრისტიანული საოცრება „სუმელას“ მონასტერი

ტრაპიზონი და მისი შემოგარენი, მიწისქვეშეთიდან დაწყებული, ცივილიზაციათა კულტურის და ხელოვნების ძეგლებითაა სავსე. ქალაქი თავის დროზე წარმოადგენდა ტრაპიზონის უძლიერესი იმპერიის ცენტრს, რასაც ადასტურებს უმთავრესი ციხის ნანგრევის თავზე, ქვეყნის მოთვალთვალედ დაშენებული იმპერატორის ოდა, რომლისგანაც მხოლოდ კედლებია შემორჩენილი...

დღევანდელი დღე მზიანი და ნათელი დაიწყო, უსასრულობაში ჩაძირული, ერთ დროს ლაზეთის ზღვა, უხმოდ გაწოლილა და კოსმიურად თვლემს.

ბატონი ნეჯათი, ტრაპიზონის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, ბატონი წათე ბაწაში, საქართველოს კონსულის გიორგი ჯანჯღავას მოადგილე, და თქვენი მონა-მორჩილი ქალაქიდან გავდივართ მამათა მონასტრის „სუმელას“ მოსანახულებლად. დღეს ჩემი პირადი და მთავარი ამოცანაა მიტოვებული ისტორიული ძეგლის ფერწერულ ტილოზე გადატანა.

გზადაგზა გვეგებება ულამაზესი პეიზაჟები, კოხტად მოწყობილი თურქული სოფლები, საგულდაგულოდ დამუშავებული ყანები და ეზოები. ყოველი სოფლის ცენტრში აღმართულია თეთრი მინარეთები, რომლებიც მედიდურად გადმოჰყურებენ თავიანთ სოფლებს, ზეცისკენ უცნაურად რომ მიელტვიან და მითოლოგიური, ღრუბლისფერი ჩიტივით საამოდ გასუსულან. აქაური მეჩეთების უმეტესობას გააჩნია ურთიერთისაგან განსხვავებული არქიტექტურა, მაგრამ ეს მინარეთები უჩვეულო გეომეტრიული ფორმისაა. დღევანდელ საპლანეტაშორისო რაკეტებს მოგაგონეთ. შორეულ ეპოქებში უცხოპლანეტელებმა ხომ არ ასწავლეს არაბთა წინაპრებს? უთუოდ აქ, არაბთა უძველესი ცივილიზაციის ხაზგასმული ელემენტებია ჩასახული. ურთიერთზე გადაბმული სოფლები და კანტიკუნტი დასახლებებიც შეწყდა. მშვენიერი კეკლუცი ხეობა თანდათან ვიწროვდება და ხშირტყიანი მთები უფრო და უფრო გოლიათურნი ხდებიან; მათ უწყვეტ წყებას ბოლო არ უჩანს, თითქოს დამძიმდა და მოიქუფრა ხეობა. მუქი კლდეებნარევი მთელი გახშირდა, მრავალი მათგანი წაგორავებულან ან წამოწოლილივით გადაწელილა სიგრძივად, ზოგიერთი გაავებული დევებივით ზეაღმართულან და ასე გავდივართ მშვენიერებათა სანახაობის და აღტაცებების მომგვრელ რამდენიმე ათეულ კილომეტრს მოულოდნელად, ჩვენს წინ აღიმართა საოცრება, უზარმაზარი კლდოვანი მთა და მის მკვრივსა და უდრეკ მკერდზე მიდუღაბებული ვერცხლისფრად ანთებული მონასტერი, რომლის ღვთიურ შუქს სამოთხედ უქცევია სივრცე და გარემო. სამწუხაროდ, უკაცრიელია აქაურობა. ათას წელზე მეტს ჩქეფდა ამ მიწაზე ქრისტიანული ცხოვრება და ბერმონაზვნური მოღვაწეობა. დღე და ღამე გაისმოდა ეკლესიური ტკბილგალობანი და უფლის მადიდებელი ლოცვანი ქვეყნის, სულისა და ხალხის გადასარჩენად. ზოგიერთ რელიგიათა ფანატიზმმა და გულქვაობამ ჩააქრო ადგილობრივი მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია, „სუმელა“ და მისი დონის თუ უფრო ამაღლებული, სულიერი და კულტურის ცენტრები მოშალეს და უკაცრიელ უდაბნოდ აქციეს. აუცილებელია შექმნა შენი ეროვნული ხელოვნება და კულტურა და გააძლიერო საკუთარი რელიგია. ამით გაამდიდრებ კაცობრიულს, მაგრამ დამხვედრ კულტურას, თუ შენს მეზობლად მყოფს, რომელიც წარმოადგენს უძველესს, უნიკალურს და განუმეორებელს, ნუ დაანგრევ და ნურც მოსპობ. თქვენი, მათი და ჩვენი კულტურის მრავალფეროვნებითაა დედამიწა და სიცოცხლე საინტერესო. თუ არადა, ოი! როგორი მოსაწყენი, ერთფეროვანი და გაბრტყელებული იქნებოდა ეს ქვეყანა. სიცოცხლე გვაწვალებს, თითქმის გვტანჯავს. დედამიწაზე ხელოვნებათა და კულტურათა სიმრავლე რომ არ იყოს, განადგურებული სული რა მალე შეაბერდებოდა წამებულ სხეულს და უაზრო მარტვილობას დაემსგავსებოდა ამქვეყნიურობა. სხვისი ბუდის მიმთვისებელნი, უნამუსო, უშუბლო და გრძელნისკარტა ფრინველები, უხსოვარი დროიდან არ აკლდა ჩვენს ჯვარცმულ საქართველოს.

კოლხურ-ლაზური კულტურის უძველეს ძეგლებს აქ მიზანდასახულად მხოლოდ ბიზანტიურს მიაკუთვნებენ. დღევანდელი ლაზები კი - ჩვენებურიაო, გვეუბნებიან და სრული ჭეშმარიტებაა. ბიზანტიის იმპერია დღეს არ არსებობს და სამუდამო განსასვენებელშია. ლაზურ-ქართული მარად უკვდავი ეროვნული ფენომენი პლანეტის სახეზეა. ჩვენი კულტურის და ხელოვნების გამომზეურება, თითქოსდა მათთვის მრავალ პრობლემას წარმოშობს.

ოცნება „სუმელა“, როგორც კი გამოგვეცხადა და ჩვენს წინაშე ამაღლებული წარსდგა ღვთისა და სამყაროს უდიდეს ტაძრად, იმისმა კოსმიურობამ, საკვირველმა სულიერებამ და სრულიად უცხო გარემომ ტანში ჟრუანტელი ამიტეხა და მკლავებზე ბურძგლები დამაყარა. მონასტერში დროის უქონლობის გამო არ ავსულვარ და იქაურობა არ დამითვალიერებია, თორემ მწარედ გავლიზიანდებოდი, დეტალურად რომ მეხილა უსასტიკესი იმპერიებისაგან ორჯერ დაპყრობილი „სუმელა“, ლაზური სიამაყე „სუმელა“, ჯვარს გაკრული მაცხოვარივით, მიმტევებლობით ყველას პატიებს და შორს გამხედვარი წმინდანურად მეტყველებს; არა იციან, რასა იქმან!.. ლაზური, მონასტრის პირველადი სახე, მიწის ქვეშ რომ ინახება, „სუმელას“ ბიბლიურ-კოსმიური სულიერებითაა გაჟღენთილი და ამ უზარმაზარ კლდე-მთასთან ვერაფერი მიწიერი ძალა ვერ გაყრის...

ასე რომ, მონასტერში ასვლით აურაცხელ შთაბეჭდილებას და ცოდნას კი მივიღებდი, მაგრამ ამ დროისათვის ჩემთვის მცირედი ვირჩიე „სუმელას“ მთლიანი ხედის, ფერწერული ტილოს შექმნის სახით. მხატვრის ცხოვრების შინაარსს, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ამ

სახის საქმიანობა ამართლებს. როგორც მხატვარ-პეიზაჟისტს სჭირდება ისეთი, შესაფერისი ადგილი ავირჩიე და სამუშაოდ მოვეწყვე. „სუმელა“ კი განდგომილი უცხო პლანეტასავით უსასრულობის სივრცეში რაინდულად იმზირებოდა ამაღლებულს მოწმენდილ ბორცვზე. ბატონი ნეჯათი და ბატონი წათე ხმელი ხის ტოტებისგან ცეცხლს ანთებენ და ცისფერ-ნაცრისფერებში არეული კვამლის სვეტიც აღიმართა. მ აგრამ ფერწერამ და „სუმელამ“, ძალაუნებურად, ერთმანეთისაგან გამოგვყო. ბატონმა ნეჯათმა ერთი ჭიქა რაქიც დამალევინა, თევზი და შავი პურიც მიმაყოლებინა. შინაგანად უფრო ავენთე და ამ წუთებში ალბათ ნახევრად გიჟს ვგავდი. ატეხილი ენთუზიაზმით დავიწყე, „სუმელასთან“ ერთად უზარმაზარ ქანდაკებად აღმართული წმიდა მთის ხატვა და მოულოდნელად იწყება უფლისმიერი საოცრების გამოცხადება მუქი ლურჯი ცის სიღრმიდან, კოსმიური ცურვით დინჯად წამოვიდა თეთრი მტრედისფერი ღრუბელი, გარკვეული დროით „სუმელას“ გადაეფარა, ზეციურად მიეალერსა და თბილი ვერცხლისფერი ანგელოზის ნისლოვანი კაბა ჩააცვა; გაათბო, შორეულიდან მოყოლებული ჭრილობები მოუშშა და მთლიანად ციურ ტაძრად გარდასახა... შემდგომ, თანდათანობით, ზეძალამ მოხსნა თეთრი მზიური სამოსელი და მოკრძალებით განზე მიდგა, წუთებში გაირინდა, მერმე თითქოსდა შეუმჩნევლად ამოძრავდა, უზარმაზარ მთის ქიმს ნელი სვლით გადაუარა და დასავლეთის ცის შორეულ სილურჯეში გაქრა. მისგან განწმენდილი მონასტერი მზის შუქზე ათასობით წმიდა სანთლად აენთო, ალივლივდა და ღრმა საიდუმლოებით მოსილი „სუმელა“ მონასტრისეულ ლოცვად გარდაისახა. სრული სწრაფვაა აქ ზეცისაკენ და მთლიანად სამყაროსეულ სივრცეს განეკუთვნება. ამ დროს „სუმელას“ წმიდა სავანე ყველასათვის ღმერთივით ახლობელია და შორეულიც... უსასრულო ფიქრს, უდიდეს საიდუმლოებას და რამხელა სევდას მოიცავს ეს ლეგენდა მონასტერი. აბა, ვინ მოსთვლის, რამდენი თაობის ბერებს ულოცვიათ. უამრავ ბერს სიბერე შეჰპარვია ამ სამოთხეში და სიკვდილს სიცოცხლე აუყრია მათთვის, სხეულიდან განდევნილი სული ცის უსასრულობაში აჭრილა. წარსულის იდუმალების სკივრშია ყოველივე ჩაკეტილი. ამჟამად მათი ნიჭი-გენია და ღვთისნიერი სულიერება შორეულშია მოფარებული, ცოცხალი ადამიანებისათვის გაუცხოებული და მიუწვდომელი...

ყოველი დროის ფუნჯის ოსტატებს და გენიებსაც გაუჭირდებოდათ იმ კოსმიური სილამაზის და ღვთიურობის გადმოცემა, რაც ამ წმიდა მთის ირგვლივ ტრიალებს. სრულიად სხვა სილამაზეა აქ, უფრო დრამად ქცეული კოსმიური სურათი. წუხელ უწვიმია და საკმაოდ ცივა. ამჟამად მზე თავისი გულუხვობით გვაწვდის თბილ სხივებს და ხალისიან განწყობილებას. დღის მთლიან მონაკვეთში აქაურობა ყოველ ხუთ წუთში იცვლის თავის იერსახეს, ფერს, განწყობილებას და კოლორიტს. ვინ მოსთვლის იმ ფერთა სიუხვეს, რა ფერთა უთვალავი გამაც რიალებს. ვერც ერთი დიდი კომპოზიტორის მუსიკა ვერ შეედრება მათ მუსიკალობას, რომელიც, მოტივის უხმო სივრციდან მომდინარეობს. აქ მხოლოდ სამყაროსა და ღვთის მუსიკა ორკესტრირებს. კომპოზიტორებისგან სრულიად განსხვავებულები არიან, მაგრამ დაბეჯითებით მჯერა: ბეთჰოვენი, მოცარტი, შოპენი, ბახი, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი, ვერდი, ბიზე, ტოსკანინი და ვაგნერი გასაოცარ მუსიკას ჩამოკრეფდნენ ამ საოცრება მთის გარემოდან.

მზე გაგვექცა! რაგინდ ეფერო და ესიყვარულო ამ გავარვარებულ დისკს, ის მაინც ერთი წამითაც არ შეგიჩერდება... უმზეოდ დარჩენილ ქვეყანას მოუსაღამოვდა და სიბნელეში გაეხვია. ამავე დროს კოსმიურმა შემოღამებამ სრულიად განსხვავებული ციური შუქები ჩამოგზავნა, სადაც შეზავებულია უთვალავ ვარსკვლავთა სხივთა ნიუანსები. აქაური ღამის სილამაზეს ახლავს ჩრდილთა გოლიათური მოჩვენებებიც.

მზე შეუჩერებლივ დაშორდა დედამიწის ჩვენს მხარეს და ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიისმაგვარი მუსიკა ქუხილით გაიყოლა...

„სუმელას“ მონასტერი IV ან III საუკუნისაა, უფრო ადრეული თუ არა. ეგრისის სამეფოში თუ ლაზიკაში, იმ პერიოდში შენდება არქეოპოლისის ორმოც მოწამეთა ეკლესია, რომლის მხოლოდ ფუნდამენტია აღმოჩენილი და კიდევ რამდენიმე უძველესი სალოცავი, დამპყრობელი ბიზანტიის იმპერიის პერიოდში, მონასტრის გაფართოება და კედლების ამაღლება ხდება XI-XII საუკუნეებში; შემდგომ ისევ მეორედ განახლება XIV საუკუნეში. ამჟამინდელი არქიტექტურა და მთლიანი ფასადის სახე დასაშვებია XIV საუკუნისა მოჰყვებოდეს.

ლეგენდაა ეს მთა! მთის ქიმზე გადაკრული ბუნებრივი ტყის ზოლი მუქ მომწვანო ლურჯად გამოიყურება, შემდეგ, გრანიტივით ჩამოირეცხება უზარმაზარი კლდის კედელი, მრავალფერად აფერადებული ზოგჯერ ვერცხლისფერია, შიგადაშიგ მოვარდისფრო, ეგერ-აგერ ნათელი წითელი აგურისფერი გადაჰკრავს; კლდის კიდეებზე მომწვანო კეთილშობილი ფერები თამაშდებიან, მთლიანი კედლის ფერთა მრავალსახეობას კალმით ვერ აგიწერთ, უფრო მიახლოებით, ფუნჯხით ვეცდები დავხატო. მდიდრულსა და დიად „სუმელას“ მთის ძირიდან ვეებერველა შერეულ ხეთა ტყე აწვება, უშველებელი ნაძვის ხეებით და წიწვნარით გიგანტურ წაბლის ხეთა რიგია ირგვლივ. ამ ძლიერი ტყის ენერგიით ქვემოდან მიწისმიერი სიძლიერით ზევით ეზიდება და ზეციური ამაღლებისკენ აჰყავთ მონასტერი. კოლხური ვერცხლის მონეტად ქცეულ ლაზურ „სუმელას“ ვერ მორევია ვერაგი დრო, ვერც უცხო რელიგია, რომელიც მეხივით ჭექს მის ირგვლივ... სრულიად სხვა სილამაზეა აქ, მშვენიერებაზე და დიადურობაზე უფრო მაღალი, სამყაროს უსასრულობასთან წილნაყარი. კრისტალური ჰაერით, ფრესკული ცისფერებით, მიწის მშვენიერებით და უხილავი სილამაზით გაჯერებულა „სუმელას“ ქმნილება. სრული სახით მხოლოდ უფალი გრძნობს და ხედავს მის ფიქრებს, გამჭვირვალე სევდას, მარტვილობას, უფალივით უდანაშაულოს ჯვარზე გაკვრას, რითაც მონასტრის ყოველი ფერი, ხაზი, ფორმა, სახე და განწყობილება - მარადიულობის დრამას შერწყმია, გასაიდუმლოებულა, გაუცხოებულა, გამარტოხელებულა და ლაზური სიმბოლო „სუმელა“ მისეულ სევდის ოკეანეში მონარნარე, თეთრ იალქნიან ია-იასფერ ნავად გარდაქმნილა, რომელშიც ლეგენდად ქცეულ ლაზს სათევზაო ოქროსფერ ბადეზე ხელი უშ-

გაგრძელება გვ. 15

გიორგი თარგამაძე სააკაშვილის გადარჩენას ცდილობს

მიხეილ სააკაშვილის სატელიტი პოლიტიკური ორგანიზაციის - „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე, პარლამენტში გამოვიდა ინიციატივით, რომ სახელისუფლო და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის მიზნით, სააკაშვილი გაემიჯნოს საკუთარ „ნაციონალისტურ მოძრაობას“. თავისი დემაგოგიით თარგამაძე, შეფარულად, სააკაშვილისათვის საპრეზიდენტო სავარძლის შენარჩუნებას ცდილობს.

გიორგი თარგამაძის აღნიშნული გამოსვლა, ხელისუფლების რუპორმა ტელეკომპანიებმა შეაფასეს, როგორც „ახალი ინიციატივა“ და მნიშვნელოვანი საეთერო დროც დაუთმეს მას.

ჩვენ კი საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ანალოგიური პოლიტიკური სვლა, ანალოგიურ კრიზისულ ვითარებაში გააკეთა ე. შევარდნაძემ 2001 წლის 17 სექტემბერს, როდესაც იგი მოულოდნელად გადადგა თავისი სახელისუფლო უმრავლესობის - „მოქალაქეთა კავშირის“ - თავმჯდომარეობიდან და ამ „შოკური თერაპიით“ დააობლ-გააოგნა თანაპარტიელები. ხოლო, ორი დღის შემდეგ - 19 სექტემბერს - თავისი პოლიტიკური მამის ე. შევარდნაძის წამხედურობით, იუსტიციის მინისტრის პოსტიდან, ასევე მოულოდნელად გადადგა მიხეილ სააკაშვილიც. მათზე ერთი თვით ადრე, კი 20 აგვისტოს, „მოქალაქეთა კავშირი“ დატოვა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა.

ასე, რომ პარლამენტარ გიორგი თარგამაძის „ახალი ინიციატივა“, რეალურად ჯერ არ დავიწყებული ძველია. თუმცა, გამორიცხული არ არის, ამგვარმა პოლიტიკურმა სვლამ, მიხეილ სააკაშვილსაც, ე. შევარდნაძის მსგავსად, ორიოდე წლით მაინც შეუნარჩუნოს საპრეზიდენტო სავარძელი.

თბილისის არქიტექტურას მჯღაბნელები შეესივნენ

მოსწავლეთა სასახლე

ქართულ სინამდვილეში, დასავლეთისა და ევროპის ქვეყნების წამხედურობით, გაჩნდნენ შემზარავი ჰაბიტუსის მზერაამღვრეული, ე.წ. „თინეიჯერული“ ასაკის „ემოები“ და „პანკები“, რომლებიც ნორმალური საზოგადოებისაგან მკვეთრად განსხვავდებიან თავიანთი უკომპლექსო ქცევებითა და ამაზრზენი ჩაცმულობებით (ახეულ-ჩახეული, მუხლებამდე ჩამოჩაჩული შარვლის უბეებით, კომიკური ვარცხნილობებითა და მაკიაჟით, სახეებზე გადმოყრილი თმებით, ან ჩახუჭუჭებული თმების ბუდეებით), რომლებიც მახინჯი სულისკვეთებით ერთნაირად დღაბნიან და ჯღაბნიან, როგორც ნაკლებმნიშვნელოვან შენობა-ნაგებობებს, ასევე არქიტექტურულ ძეგლებს.

ამ გონარეულმა სოციალურმა ტიპებმა არ დაინდეს, არც მოსწავლეთა სასახლე,

ოპერის თეატრი

არც სახელმწიფო მუზეუმები, არც ოპერის თეატრი და არც ისტორიულ თუ კულტურულ მოღვაწეთა მონუმენტები; ყველაფერს დაატყვეს თავიანთი შეშლილი ხელი.

ჩვენს დედაქალაქს კი, თითქოს მთავრობა აღარ ჰყავს, მხოლოდ მასმედიის წარმომადგენლები ვტეხთ განგაშს ქალაქის იერ-სახის, არქიტექტურული შენობებისა და ძეგლების შებილწვისა და დამახინჯების გამო, მაგრამ, არც მერიიდან და არც კულტურის სამინისტროდან გულშემატკივარი ან პატრონ-პერსონა არავინ გამოჩენილა.

ასევე მოუგვარებელ პრობლემად რჩება დედაქალაქის ყველა უბანში 15-20 წლის წინათ დაწყებული სახლების მშენებლობები, რომლის დასრულების კეთილი და თუნდაც პატრიოტული ნება არ აღმოაჩნდა თბილისის, არცერთ დანიშნულ მერს. არადა, ეს ბეტონის ჩონჩხები, გარდა იმისა, რომ ძალზედ ამახინჯებს ქალაქის იერ-სახეს და მეტისმეტად არაესთეტიურ გარემოს ქმნის, დროთა ჟამის ხანგრძლივობით ზიანდება და მშენებლობის გასაგრძელებლად თანდათან გამოუსადეგარიც ხდება. ამასთანავე, გამოჩენილი უპასუხისმგებლობით განიავებული და წყალში გადაყრილი იქმნება მილიონობით გაღებული თანხა და ადამიანთა შრომაც.

იმისათვის, რომ მომავალშიც ასეთი ულმობელი რეალობის წინაშე არ აღმოვჩნდეთ აუცილებელია ყველა ქალაქს ჰყავდეს თავისი არჩეული მერი, რათა მან გულითადად იზრუნოს თავისი ქალაქისათვის, იყოს ჭეშმარიტი გულშემატკივარი და ბატონ-პატრონიც, რითაც იგი უცილობლად და დამსახურებულადაც მოიპოვებს მეორედ არჩევის უფლებას.

ლეილა ცომაია

დასაწყისი გვ. 14

ვია. ოი! შენ და ბედო ჩვენო, ზოგან ლაზის ხსენება რომ უხერხულია და მის კულტურაზე საუბარი მავანთა გამღიზიანებელია. ლაზი ხალხი ოდითგანვე მძიმე ბედის მქონეა, „სუმელა“ ლაზის წმიდათა წმილდა სახე და მისი სულიერი მთლიანობის სიმბოლოა...

სურათზე მუშაობა ჩქარი ტემპით უნდა წარვმართო, თორემ მალე მთის ბინდი ჩამოწვება და უფრო დაბნელდება. არც თურქული რაქი მერევა და არც მთის სიცივე, მხოლოდ „სუმელამ“ მშთანთქა და მთლიანად მას ვეკუთვნი.

ძველკოლხურ სივრცეში ყველაზე ლამაზად და ღრმა შინაარსით სიტყვა „ლაზი“ ჟღერს; ასეთია ჩემი შინაგანი ხედვა და განცდა... ილოცე, ჩემო ლაზო, იქ, სადაც შავმა ბედმა გარგუნა, ილოცე გამუდმებით, რათა გადაარჩინო შენი ჯიში და ჯილაგი.

„სუმელაც“ შენზე ილოცებს, კეთილო და რაინდო ლაზო. მოვა დრო და „სუმელას“ უძველეს მონასტერში ლაზი კაცი დამთვალიერებლად კი არ მივა, არამედ მომლოცველად, მრევლად და პატრონად. ისტორია ბორბალივითაა, განსაკუთრებით ერი თუ ტომი, ლაზი და „სუმელა“ მომავალში სახარებასავით გამთლიანდებიან. გზა ყოველთვის ძველისძველ გზის ნაკვალევს უბრუნდებაო! მდინარე დროთა ჟამში თავის პირვანდელ კალაპოტში დგებაო! ასეა ძველისძველთა ნაამბობი. „სუმელას“ სურათზე მუშაობისას ეს ფიქრებიც მიღრღნიდა გონებას, ხოლო ჩემი მეგობრების, ბატონ ნეჯათის და ბატონ წათეს კეთილმეგობრული საუბარი სასიამოვნო ფონს მიქმნიდა.

დაღამდა. მეგობრები და სუფრა დროებით დავტოვე. მერმე „ეტიუდნიკში“ მასალები, ფუნჯები და სხვადასხვა წვრილმანები ჩავალაგე. დავკეტე და ხელსაწყოები, ნივთები, „სუმელას“ წერტილდასმულ სურათთან ერთად, მანქანასთან ჩავიტანე. ჩვენთან ახლოს მუქი მწვანე ფერის უკაცრიელი საგუშაგო დგას. მეორედ ავტომატებით შეიარაღებულმა სამხედროებმა ჩამოგვაკითხეს და მეგობქრულად გაგვესაუბრნენ. ერთ-ერთი ლაზი იყო, რიგითი ჯარისკაცი, სულ გვიღიმოდა, ძალიან კარგი ვაჟკაცი ჩანდა. ბატონი ნეჯათი და ბატონი წათე გამოელაპარაკნენ, ჩემი ვინაობაც მოახსენეს, ეფენდი გურჯი რესამიაო (ეს ბატონი ქართველი მხატვარიაო). გაუხარდა და განცვიფრებული მიყურებდა. მერმე სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ.

ამჟამად ხეობაში მხოლოდ „სუმელა“ და ჩვენა ვართ, მაგრამ დავიჯერო, რომ აქ, ჩვენს გარდა არავინაა?! ვდგავარ სიბნელეში აქაურობით აღტაცებული, რადგან მთის ღამე გაუგონარ და არნახულ იდუმალ სილამაზეს გვთავაზობს, მუქ უზარმაზარ სვეტად აღმართულა „სუმელას“ კლდე-პერანგი მთა, შავ ფიქრ-დარდად თავს დაგვდგომია და უხმო მუსიკა მოდის მისგან, მხოლოდ გენიალური ბეთჰოვენი თუ ამოიკითხავდა ამ უხილავ ნოტებს... ღამეულმა სიბნელემ წამებული „სუმელაც“ მიიერთა და სევდიან მდუმარებაში ჩაძირა. ბებერი მთვარე აღმოსავლეთიდან ამობუსუნდა და გამარტოხელდა. გაოგნებული მივჩერებივარ ამ სურათებს, საიდანღაც ვეებერვილა ჩალისფერი ძაღლი, დინჯი ნაბიჯებით მომიახლოვდა,. მუხლიდან კოჭამდე დამყნოსა, მხოლოდ თვითონ იცის, როგორი დიაგნოზი დამისვა: მჯერა, ეს დათვივით ძაღლი ჩემი ზნეობის გარკვევაში შეცდომას არ დაუშვებს... მაგრამ მაინც ძაღლია! შესაძლებელია, მთელი დღე შორიდან გვითვალთვალებდა. შორეული ისტორიიდან გამომდინარე, აქ ყველა გითვალთვალებს, გსწავლობს და სწავლობენ მას, შენ და მე... ძაღლი დგას უძრავად და თვალებში მიყურებს. ცხოველებიდან ყველაზე მეტ დროს ძაღლი და კატა უყურებს ადამიანს თვალებში - ძაღლის თვალები ადამიანზე არანაკლებ კეთილია. კატისა - მატყუარა და ცბიერი... მერმე ძაღლს თოხის ტარის სიმსხო კუდი შეუტოკდა, მაშინვე ვიგრძენი - ჩვენი დაძმაკაცება იწყებოდა. მორიდებით და მოზომილად გასრიალებულ შუბლზე ხელი გადავუსვი, თვალები არც კი დაუხამხამებია, ისე მიყურებს. ბანჯგვლიანსა და მეჭეჭიან ნიკაპზე გაშლილი მარჯვენა ხელის თითებით უშიშრად მოვეფერე და ბაქული-მეთქი, წყნარი ხმით მივმართე, ძაღლს გაეღიმა, დათვივით ხახა დააღო და ხელების ლოკვა დამიწყო... ბატონმა წათემ მითხრა, მაშინ ზემოდან გაოგნებული გიყურებდითო. ბატონი ნეჯათი ცუდის მოლოდინის განცდისაგან დაპატარავდაო და წარბები შუბლზე ჰქონდა აყრილიო.

მიუხედავად სიბნელისა, სამივე დავფაცურდით და ადგილმდებარეობა საგულდაგულოდ მოვასუფთავეთ. ძაღლს საჭმელიც დავუყარეთ, მაგრამ პირი არ დაუკარებია და არც კი დაუყნოსავს. ჩვენი წასვლის მერე შეჭამს, აბა რა იქნება, ჩავილაპარაკე და „სუმელას“ ნახატიდან დაწყებული, ყველაფერი მანქანაში ჩავალაგეთ. ძაღლი, ქუჩის განაპირას დინჯად იდგა და თვალს არ გვაშორებდა. ბატონმა წათემ მანქანა დაქოქა და ძრავის ხმა მთელს ხეობას მოედო. ბატონი ნეჯათი და მე მანქანაში ჩავსხედით და ადგილიდან დავიძარით. ყოველივე უკან დაგვრჩა. მშობლიური განუყრელობით, მხოლოდ მთვარე და ვარსკვლავები მოგვდევდნენ ბნელით მოცულ ხეობაში.

რეზო ადამია,
გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

ისტორია ჩვენი ბჭაჭრის ისტორია

რამდენიმე ათეული წელია ფუნქციონირებს „გვარების შეკრების, საგვარეულო კავშირების შექმნის, გვართა ისტორიების წარმოჩინების საქველმოქმედო კავშირი“, რომლის ხელმძღვანელია **მარიამ წერეთელი**. *კავშირის მიზანია გააერთიანოს გვარის წარმომადგენლები და მათი შთამომავლები; გააცნოს მათ საკუთარი გვარის ისტორია და შეაქმნევინოს საგვარეულო კავშირი. გვარის ისტორიის წარმოჩინებით იგრძნონ ღირსება და ფლობდნენ ცოდნას გვარის წინაპართა დამსახურების შესახებ ერისა და სამშობლოს წინაშე.*

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ დღეისათვის ქართული გვარის ისტორია სრულყოფილად არ არის შესწავლილი რაც მომავალი კვლევის საგანია.

გვარის ისტორიის დადგენისათვის გამოიყენება როგორც დოკუმენტალური, ასევე ეთნიური მასალა და გვარში შემორჩენილი ზეპირი გადმოცემები.

ამჯერად გთავაზობთ მხოლოდ ორი გვარის ისტორიას.

თურმანიძეები

ცნობილი სახელოვანი გვარია ქართულ გვარსახელებს შორის. გვარის ფუძე საკუთარი სახელი თურმანია. მასთან ფუძით დაკავშირებულია თურმანიშვილი. თერმანაშვილი, თურმანაული და თურმანოვი. ა. სილგაძისა და ა. თოთაძის გვარსახელები საქართველოში სტატისტიკის მიხედვით: თურმანიძეები 5364 (ხელვაჩაურში 1376, ბათუმში 684, ქედაში 663 ცხოვრობენ თბილისში, საჩხერის რაიონში ქარელში, ოზურგეთში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თურმანიძეები არიან მესხეთიდან გასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა შორის

თურმანიშვილი 104 (რუსთავი 28, თბილისი 23, გორი 16) და ა.შ

თურმანაული 206 (თბილისი 53, ახმეტა 27, დუშეთი 24) და ა.შ.

თურმანოვი 41 (თბილისი 14, ქარელი 6, წყალტუბო 6).

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1000 გვარში თურმანიძე 69- ადგილზეა. რეგიონების მიხედვით ყველაზე გავრცელებულ 50 გვარში ხელვაჩაურში მე-6-ზე. ქედაში მე-4-ზე, ბათუმში მე-13-ზეა. თურმანიძეთა გვარი იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის XIV ს. სულთა მატიანეში.

თურმანიძეები ძველი ისტორიული გვარია: იოანე ბატონიშვილი გვაუწყებს გვ. 58 „ამათი გვარნი არიან იმერეთიდან სამეფო აზნაურნი, მოსულნი ქართლში დროსა მეფისა თემურაზისა ქრისტეს აქეთ 1748 წ. რომელნიცა მოიხსენიებიან მეფისა ირაკლისაგან ტრაქტატსა შინა, რომელიმე სახლობენ ქართლში და რომლინიმე იმერეთსა. თურმანიძები სამეფო და საბატონო გვარია. ამას ადასტურებს „ქართული სამართლის ძეგლებში (ტ. IV, გვ. 9) 1523 წ. მეფე დავით X-ის განჩინება ბარათაშვილების გაყრის საქმეზე, სადაც სხვა დიდგვაროვნებთან ერთად მონაწილეობს როსტევან თურმანიძეც. თურმანი თურმანიძეებში გავრცელებული სახელი ყოფილა. 1638 წ. როსტომ მეფისა და პაატა ელიზბარაშვილის განჩინებაში სხვა ავტორიტეტულ პირთა შორის დასახელებულია თურმან თურმანიძეც (გვ. 72). უფრო ადრე 1443-1446 წწ, შიდა ქართლში იხსენიება საამირეჯიბო აზნაური, ატენის მოურავი თურმანიძე საგია (ჯავახიშვილთა საჩ.წყ.).

თურმანიძეები მოიხსენიებიან 1682 წლის განჩინებაშიც, სადაც ნათქვამია: „ჩვენ ფავლენიშვილმა სახლთუხუცესმა შიომ, დიასამიძე დიასამ, სააკაძე გივიმ და შალვამ, დომენტი და ზაქარია თურმანიძის საქმე გავარიგეთ ლევან ბატონიშვილის ბრძანებით. (გვ. 148 ქ-ს ძ. ტ. IV).

1640 წ. როსტომ მეფის მიერ გაცემულ ყმების წყალობის წიგნში სხვებთან ერთად მოიხსენიება თურმანიძე პატრონი თუმან. (გვ. 34, საქ. სოც. ისტ. XV-XVIII ს.. თურმანიძეები გორის მოურავებიც ყოფილა (1578 წ. სიმონ I-ის სიგელი).

167 გვერდზე იესე მეფის მიერ ღალის ამოკვეთის წიგნში ნახსენებია თურმანიძისეული მიწები, თურმანიძეებს ადგილ-მამულები საწერეთლოშიც ჰქონიათ:

მე-18 საუკუნეში დაწერილ სიგელ წყალობის წიგნში მოცემული დავით წერეთლის მიერ საწერეთლოში შეხიზნულ სოფ. ქორეთში მცხ, მეგრელ კარტოზიაზე აღნიშნულია: „შენ ჩემს ყმას მეგრელ კარტოზია ივანიკას და გიგლას, რომლებიც დაგზარდეთ, დაგაცოლშვილეთ და დაგასახლეთ. თურმანიძისეული ალაგი გიბოძეთ სრულებით რისი მქონებელიც ყოფილან. ვისმინე ვედრება თქვენი და ეს წიგნიც მოგეცით. გვ. 328, იხ. წ. II იხ. ახ, „ქართული გვარ-სახელები“.

თურმანიძეები ძირძველი ერისათვის გაწეულ სამსახურით გამოჩენილი გვარია. არის მოსაზრება, რომ არაგვის ერისთავები თურმანიძეებიც ყოფილან და როცა საუბარია ზოგადად არაგვის ერისთავებზე, აქ იგულისხმებიან თურმანიძეებიც. ამით ხომ არ არის გამოწვეული არაგვის ხეობაში კერძოდ ფშავში თურმანაულების სიმრავლე? ი.ახ,. წგ. II გვ. 310. თურმანიძეები უნდა იყვნენ თეგთურმანიძეებიც, რომლებიც ძველი აზნაურები ყოფილან. ა. ღლონტის განმარტებით თექ გურულად შესადარს-შესაფერს ნიშნავს. გვ. 247. „ქართლის ცხოვრება“გვაუწყებს ტ. II გვ, 390, „ხოლო ნუგზარ ერისთავის მამა-პაპათა ამოწყვიტეს პატრონი ხევისა თექთურმანიძე და დაიჭირეს ხევი. ამიერიდან მისცა მეფემან რომელიმე ხადა, რომელიმე მთიულათი, დუშეთი და ანანური და იქმნენ ხევისა მისი ერისთავად“. ზოგადი მანიშნებებით და გვარში შემორჩენილი გადმოცემებით თურმანიძეები გარდა იმერეთისა, ქართლისა და ა.შ., არაგვის ხეობაშიც ფუნქციონირებდნენ. თექთურმანიძის ძირითადი ნაწილი თურმანიძეა. თექთურმანიძეების - წინსართი (თექ) თურქულია, შესაძლებელია იგი თერგს ნიშნავდეს, თერგი კი ყაზბეგის მიდამოების, ერთ-ერთი ძირითადი მდინარეა. თურმანიძეები როგორც მეფესთან დასახლებული ძლიერი სამეფო აზნაურები არაგვის ერისთავებად არ თერგის მიდამოების წამყვან პირებად დაინიშნენ. იმერელ-ქართველი თურმანიძეებისაგან განსხვავებით, თერგთურმანიძე უწოდეს, თურქულად TEK თურმანიძე, შემდეგ რ ამოვარდა და დარჩა თექთურმანიძე-თექთუმანიძე. რადგანაც ხევი კონტაქტში იყო ფაშებთან, თურქული გავლენა გარდა TEKთურმანიძისა, სხვა სახელწოდებებშიც იგრძნობა, მაგ. ყაზიბეგობაზე, თურმანიძეები ბეგებიც ყოფილან, რასაც ადასტურებს ქართული სამართლის ძეგლებში (ტ. IV გვ. 102-103) 1657 წ. განჩინება ხიზანის და მედის სისხლის საქმეზე, სადაც აღნიშნულია რომ „ეს განჩინება დამიწერია მე თურმან ბეგის კარის მდივანს გიორგის და მოწმეცა ვარ“.

ბევრ გვარში შემორჩენილია სახელები, რომელიც დღეს აღარავის ჰქვია, მაგრამ მან დასაბამი მისცა გვარის წარმოშობას. მაგ.სახელი თურმანისაგან თურმანიძე - გვარად ქცეული სახელი სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვებით. ავტორი თურმანიძეს ადგილის სახელწოდებიდან ნაწარმოებ გვარად მიიჩნევს. იგი წერს (იხ. ახ. წ, II გვ. 129) თორი, თორელები, დიდგვაროვანი ფეოდალური საგვარეულო XII-XIV საუკუნეების საქართველოში. სახელწოდება წარმოსდგება მათი საგვარეულო მამულიდან. თორიდან თორელების ძირისაა თორელაშვილი, თურმანიშვილი, თურმანაშვილი, თურმანაული და თურმანოვი. თურმანიძეების სოფელია ქედის რაიონში, შავშეთში, ნასოფლარი „თურმანიძე“.

სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის ხელმძღვანელობამ ქართული გვარების დაბოლოებები ძე და შვილი ევით და ოვით შეცვალა., ასე გაჩნდნენ თურმანიძესგან თურმანოვები, როგორც ბარათაშვილებიდან ბარათოვები და სხვა. საგულისხმოა ისიც, რომ მეფის რუსეთის მიერ ბევრი ქართველი თავადაზნაურნი არ იქნა შეყვანილი მათ მიერ შედგენილ და დამტკიცებულ თავადაზნაურთა ჩამონათვალში. თურმანიძეებს მამულები ჰქონდა ქართლში, წედისში, ატენში, ოლოზში, ღარებში, ჯოხისში, გნავისში, სკრაში, ზენაფლაზში, მუხაში, ბოხნავში, თელათგორში, წალას ყურში, ბოლნისში და სხვ.

თურმანიძეები უძველესი დროიდან ხალხურ მკურნალთა საგვარეულო და მთელ საქართველოში ცნობილი დოსტაქრები იყვნენ, ძირითადად ზემო იმერეთის სოფელ შორაპნიდან, თავისი მალამოებით მკურნალობდნენ ჭრილობებს, კანის დაავადებებს, სიდამწვრეს და სხვა. მკურნალობის მეთოდიკას და მალამოს რეცეპტურას მემკვიდრეობით გადასცემდნენ. 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს დაჭრილ პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის ქუთაისიდან მიიწვიეს თურმანიძე. არსებობს ცნობა, რომ იტალიის სახალხო გმირის ჯ. გარიბალდის ფეხი ამპუტაციისგან გადაარჩინა და განკურნა იტალიაში მიწვეულმა ერთ-ერთმა თურმანიძემ, საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს თურმანიძეები რუსეთის არმიაშიც მსახურობდნენ ქირურგებად. გასაბჭოების შემდეგ თურმანიძეებს ოფიციალური ნებართვა მიეცათ მკურნალობის და საგვარეულო მალამოს გამოყენებისა. თურმანიძეების მარჯვენა კურთხეულ საგვარეულოში მრავალი სახელოვანი პიროვნებები იყვნენ, როგორც დოსტაქრები, ასევე სხვა სფეროს წარმომადგენლები. მარტო ის რად ღირს, რომ გრიგოლ აბაშიძის უკვდავ პოემაში „გიორგ VI“-ში თემურ-ლენგის კარზე მომსახურე დოსტაქარი კურნავს ქართველ დაჭრილს, ტკივილებს უყუჩებს და ეუბნება: „იყუჩე ყმაო, ჯერ თურმანიძეს არ დაუხარჯავს უქმათ მალამო“.

ჩიქოვანები

ჩიქოვანები ერთ-ერთი ცნობილი გვარია ქართულ ისტორიულ გვართა შორის.

საქართველოში გვარისა და სახელის წარმოშვების საკითხზე ა. სილაგაძის და ა. თოთაძის ჩატარებული კვლევითი შრომის მიხედვით, ჩიქოვანების გვარის მატარებელ პირთა რაოდენობა საქართველოში შეადგენს 3358. მათ შორის: თბილისში 1251, ზუგდიდში 435,. ჩხოროწყუში 742, ლეჩხუმში 138, დანარჩენი კი მცირე ნაწილებად ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

გვარის წარმოშობაზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს: ნ. ბერძენიშვილი თავის შრომაში „საქართველოს ისტორიის საკითხები“ (1990 წ. გამოცემა 439) აღნიშნავს: „ვარდოსანიძეების გაძლიერებას მეფის კარზე მოჰყვა სვანი ვარგების გააზნაურება დასავლეთსა თუ აღმოსავლეთ საქართველოში). ეგრე მრავლად რომ სჩანან (მაჭავარიანები, იოსელიანები, ჩიქოვანები, ჯაფარიძეები, ყიფიანები, ჩარკვიანები, ჭაბუკიანები, ჟორჟოლიანები, დევდარიანები, ნიჟარაძეები და სხვ) ისინი თუ მათი მოგვარე წინაპრები იყვნენ მეომარი ვაჟკაცები. ბელადს - ერისთავს რომ მიჰყვებოდნენ ბარში საბრძოლველად ზოგი ვინმე მთაშივე ბრუნდებოდა, სხვები ბარში ხდებოდნენ აზნაურებად (ყმები ეძლეოდათ სამხედრო სამსახურის სამუქთოდ - სამაგიეროდ).

ზემოთ აღნიშნული ტექსტი, ჩიქოვანების სვანურ წარმოშობაზე მიგვანიშნებს.

ჩიქოვანები არიან გადადიანებული ჩიქოვანები, თავადი ჩიქოვანები და აზნაური ჩიქოვანები, საიდანაც გადადიანებული და თავადი ჩიქოვანები წარმოიქმნენ.

მემატიანე მოგვითხრობს „რომ გორდელი აზნაური ჩიქოვანთა გვარიდან კაცია ჩიქოვანი („კაცი მხნე და შეძლებული საქმითა“) დაწინაურდა სახლის ვეზირი და უფროსი გახდა. თავისი ჭკუითა და მოხერხებულობით განდიდდა და ამაღლდა. მეფემან ლეჩხუმის თავადობა, საინასარიძეო და თავისი ვეზირობა მისცა, ხოლო დადიანმა სალიპარტიანო უბოძა ვითარცა ამ კუთხის მფლობელი „ლიპარტიანად“ აღიარა.

ჩიქოვანების დაწინაურებას ხელი შეუწყო იმ დროინდელმა პოლიტიკურ-სოციალურმა ვითარებამ: დადიანისა და მეფეს შორის ბრძოლამ ლეჩხუმის გამო, მათ მიერ ამ პროვინციის ხელში ჩაგდების და მიკერძოების სურვილმა.

კაცია ჩიქოვანის პოზიციას რომელიც გზას უკაფავდა თავის მემკვიდრეებს დადიანობისაკენ, მხარს უმაგრებდა მისი ძმა მღვდელთმთავარი ცაგერ - ჭყონდიდის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც მასზე უფრო ადრე დაწინაურდა.

კაციას გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი მისმა ვაჟმა გიორგი ლიპარტიანად წოდებულმა დაიკავა, როგორც უკვე სალიპარტიანოს მფლობელმა.

გიორგის 7 ვაჟიდან ოდიშის მმართველად ჯერ მისი უფროსი ძე კაცია იყო, ხოლო შემდეგ ბეჟანი, ბეჟანის შთამომავლებმა გადადიანებულმა ჩიქოვანებმა, ჩიქოვანების გვარი დადიანობით შეცვალეს, ხოლო გიორგი ლიპარტიანის დანარჩენი მემკვიდრეები და-ძმები, ჩიქოვანებად დარჩნენ. მათ შექმნეს თავიანთი სათავადო, რომელიც მაშინ უნდა წარმოქმნილიყო, როდესაც ამ საგვარეულოს ერთი შტო გადადიანდა.

ჩიქოვანთა სათავადო წარმოიქმნა ძველი სალიპარტიანოს ტერიტორიის ნაწილზე. ამ სათავადოში შედიოდა სოფლები: 1. კვაუთი, 2, ლესაჯე, 3, თარგამული (ნაწილი), 4. ჯოლევი (ნან), 5. კამკოლუ (ნან), 6. დლძაძამე (ნან) ისინი ასევე ფლობდნენ ყმა-მამულებს თამაკონში, ნოქალაქევში, ლეჩხუმში და სხვაგან.

ჩიქოვანების რეზიდენცია სოფელ კვაუთში იყო. აქ იყო სასახლე და კარის ეკლესია, ციხე-სიმაგრე კი ლეძაძამეში ჰქონდათ. საგვარეულო სასაფლაო მარტვილში იყო, სადაც იდგა თლილი ქვისგან გაკეთებული პატარა სამსართულიანი ეკლესია - ჩიქოვანების ეკლესიად წოდებული, რაც დასტურდება ამ ეკლესიის კარის ჩარჩოებზე არსებული წარნერით.

ჩიქოვანები თავიანთ სამფლობელოს მოხელეთა საშუალებით მართავდნენ. ჰყავდათ სახლთუხუცესები, მოურავები, ხელოსნები, ქეშაკები და სხვ.

ჩიქოვანებს როგორც სამთავროში ასევე სამეფო კარზე, წამყვანი სახელები ეჭირათ. მოურაობიდან ცნობილია ბაკა ჩიქოვანი „ლეჩხუმსა შინა შემძლე კაცი“.

ალექსანდრე V-ის (1736 წ.) წყალობის წიგნში მოწმედ დასახელებულია მეფის ქეშეკუხუცესი კაცია ჩიქოვანი.

გრიგოლ დადიანის კარზე მოღვაწეობდა სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი, რომელიც ოდოშის სარდალ-მოურავის სახელსაც ატარებდა. ჭყონდიდელის ზვინთუხცესად მოხსენიებულია სხვა გიორგი ჩიქოვანი, ბოქაულთუხუცესად - კონსტანტინე ჩიქოვანი და ა.შ.

ჩიქოვანები მწიგნობრობითაც გამოირჩეოდნენ: „ტიტულნი სოვეტნიკების და ისპოლნიტელნი ექსპედიციის“ მთარგმნელად ჩიქოვანები არიან მოხსენიებულნი.

საქართველო მაინც ზვიადის გზით იკლის...

სიყალბის წყვდიადს ამ საუკუნის 80-იან წლებში გაუჩნდა თვალსაჩინო ბზარი. წართმეულმა ორიათასწლოვანმა თავისუფლების ცნებამ გამოცოცხლება დაიწყო საქართველოში.

ცდებიან, ო, როგორ ცდებიან, როცა ამბობენ, ქართველი ხალხი მზად არ იყოო თავისუფლებისათვის. მერაბ კოსტავას დაკრძალვის პროცესია თვალსაჩინო დემონსტრაცია იყო მთელი ერის ერთად ყოფნისა და დამოუკიდებლობისათვის გამართულ რეფერენდუმს წააგავდა. სამივე შემთხვევაში (9 აპრილი, 26 მაისი, 13 ოქტომბერი) სულ უფრო მზარდი რაოდენობა ქართველისა ერთად იდგა მშობლიურ მიწაზე, სულით და გულით ბრძოლის თავკაცების სიტყვას მინდობილი და ერთმანეთით მხარგამაგრებული.

მკითხავთ, სად არისო ის საქართველო დღეს?

გპასუხობთ: დახოცილებში, უცხოეთში გადახვეწილებში, რეპრესირებულებში, საზოგადოების სოციალურად დაუცველ ნაწილში - ეს კი საქართველოს ნახევარს მეტად სჭარბობს.

ისტორიის გრძელ მანძილზე თავსდატეხილ აურაცხელ განსაცდელს ბევრჯერ გადავურჩით. მემატიანე ამაში ღვთის ნებასაც ხედავს - „გამარჯვება ღვთის ხელთ არისო“, „ღმერთმა ინება და ქართველთ გაუმარჯვათო“. ღმერთი მართლის მხარეზეა, რადგან ჭეშმარიტება არის მისი თვისებაც და იარაღიც. ჭეშმარიტების განხორციელება დასაბამიერი პრობლემაა და ღმერთიც მის განმხორციელებლად ათასთა შორის ერთეულებს ირჩევს. კონსტანტინე გამსახურდია ასეთებად ასახელებს: მოსეს, ბუდას, ქრისტეს, ილიას, რადგან იგიც დიდი ღმერთის საკურთხევლის ცეცხლის მატარებელი იყო. მანვე განმარტა, რომ მოსემ და ილიამ გზააბნეული ერი ვულკანურ მთასთან მიიყვანეს, საიდანაც უნდა გადაშლილიყო დიდი სანახები ახალი ცხოვრებისა.

ჩვენს აპოკალიფსურ დროშიც არ დაგვტოვა ღმერთმა მფარველობის გარეშე. მოგვივლინა კაცნი მართალნი, სიმართლისათვის მებრძოლნი. ჩვენი სულიერი აღზრდაც უმოკლეს დროში მოხდა, რადგან სიმართლემ ითავა იგი.

საუკუნის მეცხრე ათეულიდან ამ სიმძიმის ტარება ზვიად გამსახურდიას ღიად დააწვა მხრებზე; მერაბი უკვე აპრილის წმინდანებთან იყო ზეციურ საქართველოში. სასოწარკვეთის ჟამს, მის საფლავთან უძებნია თანაგრძნობა თვალში ცრემლჩამდგარ მეგობარს. მაინც მძიმე საზოგადოებრივმა ტვირთმა შთანთქა მისი სულიერი ობლობა, მტრის სამიზნეში ახლა ზვიადი დგებოდა და რამდენადაც რეალური ხდებოდა მისი ნების უზენაესობა ერში, იმდენად უახლოვდებოდა ტყვია მის საფეთქელს.

დღევანდელ სვეგამწარებულ ქართველობას სხვა ხალხთან შედარებით მაინც ჰქონდა უდიდესი ბედნიერება - ჰყოლოდა ზნეობრივი თავკაცი და უსისხლო ხელსიუფალი, რომლის კვალი თაობების მოქმედებას განსაზღვრავს მომავალშიც.

ზვიად გამსახურდიას სულიერი ზეობა განსაკუთრებით თვალსაჩინო 1990 წლის 26 მაისიდან გახდა. იმ დღეს წარმოთქმული მისი სიტყვით მოხდა სიმართლის ღვთაებრივი ინაგურაცია საქართველოში. სიმართლე - საქართველო - ზვიადი - ასეთი სამებით შევა ეს დღე ჰუმანისტური კაცობრიობის ისტორიაში, რადგან გაცხადდა ჩვენი საკაცობრიო მისია: „დღეს, დღეს, მეგობრებო, უნდა ითქვას სიმართლე, რამეთუ სიმართლისთვის მოგვავლინა უფალმა ჩვენ, სიმართლისთვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ქრისტესათვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიოს ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა...“

ეს უდიდესი მისიაა თვით თავისუფლების იდეასთან შედარებით, რადგან მხოლოდ იგია გზა თავისუფლებისაკენ.

ზვიად გამსახურდიამ ყველაზე მეტად უწყოდა, რომ უიარაღოდ ვერ დაამარცხებდა კოსმიურ ურჩხულს, მაგრამ უწყოდა მისი სისუსტეც - ეს ურჩხული სიყალბეზე იყო აგებული, რაც მისივე ნგრევის საბაბი უნდა გამხდარიყო.

ბრძოლის პირველ ეტაპად უნდა ქცეულიყო სწორი არჩევანი, რადგან არასწორმა ებრაელთ სამშობლო დააკარგვინა. XX საუკუნის დასაწყისში იგივე შეცდომა ჩაიდინეს ქართველებმა, როცა ბრძენკაცი ილია მოკლეს და ბარაბას გზით თითქმის მთელი საუკუნით გაიხანგრძლივეს მონობა.

ბიბლიიდან და საქართველოს ისტორიიდან მაგალითების მოყვანით ზვიადმა მიგვითითა, რომ კვლავ ისტორიულ ჯვარედინთან ვდგავართ და წარსულის გამოცდილება გვავალებს, რომ „... დღეს გვმართებს დიდი დაფიქრება, დიდი ანალიზი ჩვენი ბრძოლის, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორი კურსის განსაზღვრისათვის“. დიახაც, სწორი არჩევანი წყვეტდა ქვეყნისა და ყოველი ჩვენთაგანის ბედს.

არჩევანის სიმკვეთრე ბატონმა ზვიადმა ანტიპოდური პიროვნებების დაპირისპირებით წარმოგვიდგინა. ქრისტე და ბარაბა, ღმერთკაცი და სატანა, აქაც ის, რაც ჩვენ მხოლოდ წარსულის საკუთრებად მიგვაჩნდა, ზვიადმა ცოცხალ და მოქმედ ძალებად გაგვაცნო.

ბატონმა ზვიადმა მოგვაგონა ისიც, რომ ქრისტეს გზა ჩვენთვის ტრადიციულია და ამ გზით მავალი წინაპართა სულები დღესაც გადმოგვყურებენ ზეციური საქართველოდან, რომ 26 მაისი მარტო წარსულისადმი პატივის მიგების დღე არაა, რომ ერი ისევ დგას ახალ მიჯნასთან, ახალ არჩევანთან, სიმართლის თანადგომა ყოველი ჩვენგანისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, მაგრამ თანამონაწილესაც გვხდიდა ერის ბედის გამართვაში.

ზვიად გამსახურდიას გაფრთხილებაში - „გვმართებს დიდი დაფიქრებაო!“ - ჩანდა, რომ ჩვენი უბედურების მიზეზი მხოლოდ გარე ძალებში არ იყო საძებარი, რომ თავად ჩვენ დავუშვით საბედისწერო შეცდომები. „ნუ იყოფინ!“ - იყო მისი საყვედური და სათხოვარიც, რადგან მაშინვე იყო საქართველო ორი გზით მავალი: ქრისტეს გზით და ბარაბას გზით.

„მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, ძმანო და დანო, წარმოგიდგათ და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენს წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან: აი გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდის, ზნობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა, და აი გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, ქრისტეს გზა და კეთილი გზა!.. - ეს უთხრა მან ერს, ბერს, ქვეყანას. ამ დროს თვითონაც ჰგავდა მაცხოვარს.

სხვა გზა ჩვენი ეროვნული ბედ-იღბლის შთანმთქმელი იყო, სხვა გზა, კვლავ ზვიადის სიტყვით, ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოიყვანდა ანტიქრისტეს, ბარაბას და შეჩვენებას.

ყველაფერი ასეც მოხდა. ზვიად გამსახურდიას შიშიც და გაფრთხილებაც წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

ზვიად გამსახურდიას სიტყვამ 26 მაისს ქართულ ზნეობაში ახალი პოსტულატები შეიტანა: დიდი დაფიქრება გზაგასაყართან, განუყოფლობა, სწორი არჩევანი მარადიულ ქრისტესა და მარადიულ ბარაბას შორის; ბარაბას ეროვნული ნიღბით შეუძლია მოავლინოს ანტიქრისტე, ქართველი ერი კი მოვლენილია ქომაგად ჭეშმარიტებისა, რითაც უნდა გაბრწყინდეს მსოფლიოს ხალხთა წინაშე.

კონსტანტინე გამსახურდიას ილიას მიმართ აქვს ნათქვამი: „ჩვენ ისევ გვინდა მრისხანე გამოხედვა ერის ბელადისა, ჩვენ კიდევ გვინდა ვულკანურ მთასთან მიყვანა!“

ზვიადის მისამართითაც ასე ითქმის: ისევ გვჭირდება ერის სულიერი ბელადის მართალი სიტყვა, გზამკვლევი სიტყვა, რადგან იმ გზაგასაყართან, რომელთანაც აღმოვჩნდით, სწორ გეზს მხოლოდ მისი გონება გასწვდება, სწორედ, ამ უნარშია მისი უკვდავებაც.

1990 წლის 26 მაისის ფოტოარქივში დაცულია ის ამაღლება, რაც ზვიადის სიტყვამ გამოიწვია,. ფიზიკურად ეს გამოიხატა ხელში მის ატაცებაში, რამაც შემდგომში კომუნისტური იმპერიის დანგრევასა და ეროვნული ხელისუფლების მოსვლაში ჰპოვა გამოხატულება.

ამის შემდეგ ყოველ ამაღლებას ზვიადის სახელი დაერქვა და თან გაჰყვება მარადის ისევე, როგორც ყოველ ბარბაროსობას - სისხლით მოსული ხელისუფლებისა.

ოქროს ასოებით შევა აიეტისა და ფარტაზის ქვეყნის მჭევრმეტყველების ფონდში.

დღეს არჩევანი გაკეთებულია იმ მხრივ, რომ არსებობს ორი ძალა, რომელიც ერთმანეთს ვერ იმორჩილებს, მაგრამ ღვთის შეწევნით იქნება და საქართველოს გააბრწყინებენ დღეს დევნილნი, მაგრამ სიმართლის მიმდევრები. ეს გზა ქრისტეს - ილიას - ზვიადის გზაა და ქვეყნის დაცემის ამ ხანაში სიამაყის გრძნობას ისევ ეს უნარჩუნებს ერს.

ლია ანდღულაძე

წიგნიდან „მოგონებები“.

გამოთხოვება მეგობართან

ნამდვილად გამორჩეული ადამიანი წავიდა ჩვენგან. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული. მისი ქვეყნის ტკივილებით რომ ცხოვრობდა. ბევრი ღალატის, უსინდისობის, გაუტანლობის, უმადურობის მოწმეც და მსხვერპლიც გამხდარა ხშირად,. რომელსაც მთელი არსებით ებრძოდა.

თავზარდამცემი იყო ბესიკის გარდაცვალების ამბავი. ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას, ადვილად ვერ დაიჯერებდა მის გარდაცვალებას. მის თავგადასავალს ხშირად დაუჯერებელ ამბებთან ერთად ყვებიან ყველა ასაკის ადამიანები.

მეზღვაურობის პერიოდში - მის ყმაწვილკაცობაში ლეგენდად ქცეული ამბების გამო შეარქვეს მას "გერკულესი".

ავადსახსენებელი კომუნისტების დროს აბაშის ექსპერიმენტის ავტორს, რაიონის პარტიულ ლიდერს, დაუფიქრებლად დაუპირისპირდა, როცა საჭირო გახდა... დღეს შეიძლება ეს არავის გაუკვირდეს, მაგრამ 70-იან წლებში ეს წარმოუდგენლად სახიფათო იყო და კიდევაც აისახა ეს მის მომავალზე...

1987 წლის გაზაფხულზე დასავლეთ საქართველოში სტიქიური უბედურების (წყალდიდობის) დროს სიცოცხლის რისკის ფასად იცავდა ხალხს და აბობოქრებულ სტიქიას ასეულობით შინაური პირუტყვი გამოსტაცა და გადაარჩინა. მადლიერების ნიშნად კი ხალხმა როგორც სახალხო გმირს ლექსიც კი უძღვნა. ამ ამბიდან რამდენიმე თვეში მდინარე რიონში სანადიროდ გასულებს ბედისწერამ უმუხთლა და იმსხვერპლა მისი ორი მეგობარი, ის კი საკუთარი ძაღლის უმაგალითო ერთგულებამ გადაარჩინა. ეს იყო დიდი ტრაგედია მის ცხოვრებაში, რომელსაც უდიდესი გულისტკივილით იგონებდა. რამდენჯერ ყოფილა სხვის დასახმარებლად ვაჟკაცურ ჩხუბში, რაოდენობით ბევრად აღმატებულ მოწინააღმდეგეს შებმია და არასდროს დამარცხებულა. 1992 წლის 3 იანვრის დიდუბის ცნობილ მიტინგზე, როგორ გაგიმეტა მტერმა და მკერდში დაგახალა ტყვია, რომელიც გულს რამდენიმე მილიმეტრით აცდა და ასე მკერდში დაჭრილმა შიშველი ხელებით განაიარაღა იგი, გადაუმსხვრია ავტომატი, მაგრამ გამწარებულ ხალხს მტერიც კი არ დაანება ჩასაქოლად და გაუშვი. ისიც ვიცი სამტრედიაში მუხანათურად როგორ დაგესხნენ თავს და საჭესთან მჯდომს მჭიდი დაგაცალეს. აქაც გახსნა უზენაესმა. ვინ იცის კიდევ რამდენი რამის გახსენება შეიძლება. შენი ბობოქარი ცხოვრებიდან ამიტომაც მიჭირს შენი გარდაცვალების დაჯერება. მიჭირს იმიტომ, რომ ვერ მოგერია ოკეანე, ვერც გაშმაგებული სტიქია, მკერდზე დახლილ ავტომატის ტყვიასაც აჯობე არაერთხელ. გერმანიასა თუ ავსტრალიაში, ბრაზილიასა თუ უკრაინაში, ბალტიისპირეთსა თუ შუა აზიის ქვეყნებში, სომხეთსა თუ აზერბაიჯანში, სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში სიკვდილისთვის ბევრჯერ თვალებში ჩაგიხედავს, ყველგან ლეგენდებად ქცეული კვალი დაგიტოვებია, ყველგან საქართველო და ქართველი კაცი გისახელებია.

შენი თანდასწრებით შენზე საუბარი ხომ შეუძლებელი იყო, ამიტომაც ბევრი რამ შენზე, შენი დისშვილისა და შენი და ჩემი უმცროსი მეგობრისა და თანამებრძოლის კახა მიგინეიშვილისგან და მისი მეგობრებისგან ვიცი, ვისთან ერთად ხშირად ვხვდე-

გაგრძელება გვ. 18

დასაწყისი გვ. 17

ბოდით ერთმანეთს. (დიდუბის დახვერტილ მიტინგზეც, სადაც შენ დაიჭერი, ერთად ვიყავით მე, შენ, კახა და კახას დედა შენი და ქ-ნი მზია ჟღენტი).

წლების შემდეგ გავიგეთ ტონობით შაქარსა და საწვავს ვინ აგზავნიდა 90-91 წლებში სამაჩაბლოში... არასდროს გიყვარდა გაკეთებული საქმის აფიშირება და შენი გაკეთებულით თავის მოწონება. შენნაირი უპირობო მორალური ავტორიტეტის დაკარგვა დიდი დანაკლისია ქვეყნისთვის.

ის იყო ფიცხი, მაგრამ ამასთანავე საოცარი გულმოწყალე, ზოგჯერ ბავშვივით მიამიტიც, ახასიათებდა ბავშვური გულწრფელობა, ტყუილსა და ღალატს არავის პატიობდა, ვერ იტანდა ბაქი-ბუქა ტრაბახა ადამიანებს. თვითონ იყო სუფთა და გულმართალი ადამიანი, სხვებისგანაც ამას ელოდა და ხშირად იყო იმედგაცრუებული. ის არ იყო პოლიტიკოსი, ის იყო თავისი ქვეყნის ჯარისკაცი, როგორც ესმოდა, როგორც შეეძლო და სადაც შეეძლო თავი არ დაუზოგავს. მთელი მისი ცხოვრება უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. არასდროს ქართული საქმისთვის არ უღალატნია. ზნეობრივ კომპრომისზე არასდროს წასულა, მას ხშირად ადარებდნენ მეგობრები ზოგი ქაქუცას, ზოგი მერაბს და ნამდვილად იყო ის მათი სულიერი ძმა, რაც მან ქვეყნისა და ზვიადის ერთგულებით არაერთხელ დაამტკიცა. 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ის იყო ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი, ამასთანავე იყო აბაშის საკრებულოს დეპუტატი.

ამბობენ სილამაზეში ღმერთის ხელი ურევიაო, სულიერ სილამაზეში მით უფრო. ის გულით ცეცხლს ანთებდა და ამ ცეცხლით თბებოდა მის გარშემო ყველა და ყველაფერი. მას გააჩნდა გამორჩეული ნიჭი და უნარი, მოფერებოდა და მოსიყვარულებოდა ხალხს, რაც კი შეეძლო უანგაროდ გაეღო მათთვის, ვისაც საკადრისი პატივი და გამართლება



არ არგუნა იღბალმა ამ უკუღმართ წუთისოფელში. ებრალებოდა უპოვარნი და სნეულნი. ხარობდა როცა სხვებს ანიჭებდა სიხარულს, შინაურსა თუ გარეულს, დიდსა თუ პატარას ყველა ასაკის მეგობარი ჰყავდა, დაწყებული მასზე უფროსებით დამთავრებული ორი წლის ბავშვით.

იყო შესანიშნავი მასპინძელი და თავადაც სასურველი სტუმარი ყველასთვის. რა გარემოში არ უნდა მოხვედრილიყო - მისი გულწრფელობით, თავმდაბლობით, მოკრძალებით, მისი ომახიანი გარეგნობით მოხიბლული რჩებოდა ყველა. ის იყო ზნეობრივი მაგალითი სხვათათვის, მაგალითი თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ზნეობრივად, სახელმწიფო დონეზე აყვანილი გარყვნილებისა და საყოველთაო უზნეობის პირობებში.

ღმერთმა ქნას, მის შვილებში, შვილიშვილებში, შვილთაშვილებში თუ ახლობლებში განმეორდეს მისი კოდი... ეს სულიერი საგანძური. ის რაც მას გააჩნდა, არც დიპლომებით, არც დისერტაციებით, არც უცხოეთში სწავლებით და არც რეგალიებით არ მოდის... ამით უნდა დაიბადოს ადამიანი.

ამქვეყნად უშეცდომო არავინაა, შეცდომები ალბათ მასაც დაუშვია, მაგრამ ბესიკ ჟღენტი კაცობაში, ქართველობაში არასდროს ჩაჭრილა. ის ჩვენთვის ყოველთვის დარჩება კაცური კაცობის მაგალითად.

სწორედ მისი კაიკაცობის დასტური იყო მისი გარდაცვალებიდან მთელი კვირის განმავლობაში, საქართველოს ყოველი კუთხიდან, მასზე უკანასკნელი პატივის მისაგებად ხალხის უწყვეტი ნაკადი.

ეროვნული დროშა გადაფარებული გამოასვენეს და ფეხით მიაცილებდა მის ნეშტს ათასობით ადამიანი. გულწრფელი ლექსებიც უძღვნეს, როგორც სახალხო გმირი ისე დაიტირეს და ისეთი პატივი მიაგეს.

მას დასტიროდა ყველა ფენისა და პარტიული კუთვნილების ადამიანი, მტერი თუ მოყვარე. ის, როგორც მტერიც ღირსეული იყო და ამიტომაც ჰქონდა საყოველთაო სიყვარული დამსახურებული., ასე ღირსეულად დაამახსოვრა ბესიკ ჟღენტმა თავი ყველას. განვლილმა დღეებმა დამარწმუნა, რომ ამ ტკივილს დრო ვერ განკურნავს... დრო, რომელიც გაივლის, უფრო დაგვაახლოვებს და შეამცირებს მანძილს ჩვენს შორის. თითქოს სიცოცხლემ ფასი დაკარგა, ისე გაუფერულდა სამყარო უშენოდ.

იძინე მშვიდად და მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა ჩვენო დაუღალაო მეომარო. შენ ნამდვილი ღირსეული შვილი იყავი შენი ქვეყნისა.

მეგობრებისა და თანამებრძოლების სახელით,

ამირან ჩიქოვანი

წერილი სოფლიდან

ბატონო მიხეილ, თქვენმა პრეზიდენტობამ ხალხს მხოლოდ ტკივილი და მწუხარება მოუტანა. ადამიანის თვალი უტყუარი სარკეა, ის კარგად ამჩნევს, რა აინტერესებს ხელისუფალს - პირადი „მე" თუ ადამიანი! ხელისუფლისათვის ყველაზე ფასეული ადამიანისადმი სიყვარული და თანაგრძნობა უნდა იყოს. თუ ეს გრძნობა გამქრალი აქვს, იქ სიცოცხლეც ადვილად ქრება. ასეთმა თანადგომამ და სიყვარულმა ხალხს უნდა მისცეს იმედი, რომელიც იქნება საწყისი ჭეშმარიტი სიყვარულისა.

ხალხის მკაცრ რეჟიმში ყოფნა, კი არ არის პიროვნების სიდიადის საზომი, არამედ ხალხისათვის თავისუფლების და ნორმალური ცხოვრების მინიჭება.

თქვენ შესძელით საქართველოს დასუსტება, დაკნინება და არარაობამდე დაყვანა...

ნაციონალური მოძრაობის ქარაფშუტულმა პოლიტიკამ საქართველო შეიწირა.

ნაციონალური მოძრაობის ცდაა - სინამდვილე დაამახინჯოს, სიმართლეზე დამახინჯებული წარმოდგენა შეუქმნას ადამიანებს, მცდარი იდეები და აზრები შთააგონონ, ამ მეთოდების დამახინჯებით ცდილობენ, თავიანთ ცრუ სიტყვებს გარეგნულად ჭეშმარიტი სახე მისცენ და ამავდროს ადამიანს უკარნახონ - როგორ მოიქცეს, რა არჩევანი გააკეთოს.

სწორედ სიმართლეს შეუძლია შექმნას ისეთი იდეური „ფილტრი", რომ ყველაზე რთულ პირობებშიც კი ჩავარდნილი საქმე, ჩიხიდან გამოიყვანოს.

მას სამწუხაროდ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნაზე არცკი უფიქრია, მხოლოდ მოახდინა ეროვნული ფასეულობების დევალვაცია. დაამკვიდრა ფულის ნებისმიერ გზით შოვნა, განა, თანამედროვე, რეალობას ვერაფერი გაუგო (ან არ უნდოდა გაგება) ხალხმა აცალა საკმაო ხანს, მაგრამ მან ვერაგული ზრახვებით იმედი გაუცრუა.

ტანჯული ერი შველას გთხოვს, მაგრამ თქვენ არავის უსმენთ და არ გინდათ მოუსმინოთ, თავს გამარჯვებულად გრძნობთ და ახირებულ მოთხოვნილებას იკმაყოფილებთ.

ეტყობა კაცის ცნობა არ გვცოდნია, როგორ შემცდარვართ, თანაც ძალიან შემცდარვართ, როდესაც გავბრიყვდით და აგირჩიეთ, მაგრამ ჭეშმარიტი დემოკრატია ვერ ააშენე. ვერ გაამართლე ჩვენი ნდობა, ან არ ისურვე გამართლება, იმ წინასაარჩევნო დაპირებების არცერთი მუხლი არ შეგისრულებია, რარიგ ძნელია დაპირების არ შესრულება იმ ხალხისათვის, ვინც გვერდში გედგათ ვარდების რევოლუციის დროს. თქვენმა პოლიტიკურმა რყევა-ტორტმანმა მდგომარეობა დაძაბა, ერის ცხოვრება დაამახინჯა, მაშ რაღა ფასი ჰქონია საქართველოს დამოუკიდებლობას, ჩვენი ქვეყნის თავისთავადობას? რამ შეგიშალათ ხელი, რატომ დაიყვანეთ ნულს ქვევით საკუთარი სამშობლო?! ხალხის და ქვეყნის უარმყოფი რატომ გახდით? ქართველი ერი ამიტომაც ერთ მთლიან სხეულად აღსდგა თქვენს წინაშე.

2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირიდან ცემა-ტყეპით გაყარეთ მშვიდობიანი მომიტინგეები, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობის წევრებმა და მათ მხარდამჭერებმა დაიკავეს რუსთაველის გამზირი და დიდი ზარზეიმით წინ მოუძღოდნენ: ბეგაშვილი, კირკიტაძე და ძმანი მათნი. იქ პოლიციელებს და სამხედროებს ულოცავდნენ გამარჯვებას, თითქოს აფხაზეთი და სამაჩაბლო დაიბრუნესო, ხალხი, საზოგადოება, როგორ შეაფასებს იმ ქმედებას, ამაზე თუ გიფიქრიათ?

პოლიტიკოსს არ ეპატიება, ფეხქვეშ თელავდეს ადამიანის ღირსებას. პრეზიდენტს საქმე ზედაპირული შეხედულებით არ უნდა გაეზომა, ყოველი საქმე, თავის სიღრმით და სიგანით უნდა აეთვისებინა, მის საქციელს გამართლება არ აქვს. ჩვენში კანონი არ კანონობს, არამედ ძალა.

7 - ნოემბრის მშვიდობიანი აქციის დარბევის შემდეგ, საქართველოზე ნატოს ინტერესი შენელდა. ნატოსკენ მიმავალ გზას გადაეღობნენ: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ჰოლანდია და კიდევ სხვები. ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება ნაადრევად მიიჩნიეს.

აგვისტოს მოვლენებმა 100 ათასობით ბავშვს ობლობა არგუნა. ათასობით შვილმკვდარი დედები გაჩდნენ ჩვენს სინამდვილეში.

ქართველთა სისხლი, პუტინის კისერზეა, თუმცა ფაქტია, როცა ასეთი საშინელი მეზობელი გვყავს იმაზე ფხიზლად და იმაზე მომზადებული უნდა იყო.

ქართველ ჯარზე ჩვენ საყვედური არ გვეთქმის, ზოგიერთი ოფიცერი ყველაზე წინ გამოიქცნენ, საწყალი ბიჭები უპატრონოდ მიატოვეს და შეახოცეს უაზროდ. არ იცოდნენ ის, რომ აფხაზები და ოსები არ გვებრძოდნენ.

საქართველო გმირების დეფიციტს არასდროს განიცდიდა, სამაჩაბლოში მებრძოლი ჯარისკაცების თავდადება საარაკო იყო და მათში ეჭვი არავის გვეპარება.

იმ ჩვენი დიდი მიწა-წყლის დაბრუნების საზღაურად, დიდი დაფიქრება და ძალისხმევაა საჭირო, ამასთან ერთად საჭიროა შიგნიდან ეკონომიური კავშირიც, რომელიც ერის ცალკეულ ნაწილებს ერთ მთელად გააერთიანებს.

ქვეყნის გამთლიანება წარმატებული რეფორმის შედეგით შეიძლება მიიღწეს და არა სისხლის ღვრით, თუ ქვეყანა ფეხზე ვერ დადგა, არ იქნება მძლავრი დემოკრატიული სივრცე, არ იქნება სერიოზული თვითმმართველობა, ქვეყანა ვერ გამთლიანდება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელი გახდება.

გაგრძელება გვ. 19

ეკლესიის ექვსი მცნება

მ. - რაოდენნი არიან მცნებანი ეკლესიისანი?

ყ. - ექვსნი: 1. საუფლოსა და წმიდათა დღესასწაულთა წირვის მოსმენა; 2. დიდსა მარხვათა და კოლვიზმათა დღეში ერთგზის საზრდელისა მიღება და კვირაში მარხულობა; 3. თუმცა დროსაგან არა იქმნას, წელიწადთა შინა ოდენ ერთგზის აღსარება; 4. აღდგომას ზიარება; 5. შობის უწინარეს კვირითგან ნათლისღებამდე არა ქორწინება, არცა დიდ მარხვათა შინა, ვიდრე ახალ კვირიაკემდე; 6. თვისთა მონაგებთაგან ნაათალის საეკლესიოდ მიცემა.

მ. - ესე განწესებული საყოველთაო არს?

ყ. - ხოლო ვისაც სისრულე ნებავს, რომელი ნებავს: ნებსით სიგლახაკე, მარადის სიწმინდე და უცოდველი მორჩილება, ვისაც სისრულე ენებოს, ქრისტე ამცნებს.

ხორციელი მოწყალებანი

მ. - რაოდენნი არიან მოწყალებათა საქმენი ხორციელნი?

ყ. - შვიდნი: 1. ჭმევა მშიერთა; 2. სმევა მწყურვალთა; 3. შემოსა შიშველთა; 4. შეწყნარება უცხოთა; 5. მოკითხვა სნეულთა; 6. ნახვა პატიმართა; 7. დაფლვა მკვდართა.

სულიერი მოწყალებანი

მ. - რაოდენნი არიან მოწყალებანი სულიერნი?

ყ. - შვიდნი: 1. სწავლება უმეცართა; 2. განმართვა დაბრკოლებულთა; 3. წრთვა ნაკლულევანთა და ცოდვილთა; 4. ნუგეშისცემა ჭირვეულთა; 5. მიტევება შემცოდეთა; 6. სულგრძელად მოთმენა ხვედნათა; 7. ცოცხალთა და მკვდართათვის ღვთისა ვედრება მტერთა და მოყვარეთათვის.

მ. - რაი გვიხმს აღსვლად სასუფევლად?

ყ. - სარწმუნოება, სასოება, სიყვარული და საქმე.

ცოდვისათვის

მ- რაოდენნი არიან თავნი მომაკვდინებელთა ცოდვათანი, ანუ წამალნი მათნი?

ყ. - შვიდნი, და წამალნიცა მათნი: 1. ამპარტავნება და წამალი მისი სიმდაბლე; 2. არაწმიდება და წამალი მისი სიწმიდე; 3. ნაყროვნება და წამალი მისი მარხულობა; 4. მცონარება და წამალი მისი სიმხნე; 5. მრისხანება და წამალი მისი სიმშვიდე; 6. შური და წამალი მისი სიყვარული; 7. ანგარება და წამალი მისი მოწყალება. ესე არიან დასაბამნი ყოველთა მომაკვდინებელთა ცოდვათასი და მადინებელნი და მშობელნი მათნი.

მ. - რაოდენ არიან ცოდვანი სული წმიდის გმობისანი?

ყ. - ექვსننი: 1. სასოწარკვეთილება ცხოვნებისა; 2. ცხოვნებისა ნება, თვინიერ კეთილის საქმისა და სინანულისა; 3. წინააღდგომა ჭეშმარიტის მეტყველთა; შური სხვის ღვთის წყალობასა და მადლსა ზედა; 5. განგრძობით დგომა ცოდვათა შინა; 6. სიკვდილი მოუქცევალად.

მ. - რაოდენნი არიან ცოდვანი, რომელნი ღაღადებენ ზეცად მიმართ წინაშე ღვთისა?

ყ. - ოთხნი: 1. ნებსით უბრალო კაცის-კვლა; 2. ბუნების გარეგანი ცოდვა; 3. ჭირი ქურივთა, ობოლთა და გლახაკთა; 4. მუშაკისა სასყიდლისა დაკავება.

მ. - რაოდენნი არიან საგრძნობელნი ოხჭანთანი?

ყ. - ოთხნი: 1. სიკვდილი; 2. სასჯელი; 3. საუკუნე ჯოჯოხეთი; 4. სასუფეველი ზეცისა.

ნიკოლოზ თბილელის (ორბელიანი)
წიგნიდან „საქრისტიანო მოძღვრება“

დასაწყისი გვ. 18

ხალხი ცეცხლის ღადარივით შიგნიდან იწვის, ყელში ბოღმა აწვება იხრჩობა, ჰკლავს დაკარგული მიწის დარდი. მათ სულში თვალუწდომი სიღრმეა გაჩენილი, ტკივილი და მწუხარება ირევა ერთმანეთში.

ხელისუფლება და ოპოზიცია ერთიმეორეს ერჩიან ერკინებიან, მაგრამ შედეგი არ არის.

ეს ქვეყანა ცალკერძ სიღატაკეს და უკუნეთს მიაქვს, ცალკერძს - უზნეობას. ჩვენ თავად უნდა ვმართოთ ჩვენი ქვეყანა და სხვა არავინ.

საქართველოს უჭირს ისე, როგორც არასდროს, ოპოზიციაში გარკვეული ლიდერი არ არის ამიტომ ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ ისეთი ადამიანი, რომელსაც ექნება უნარი ხალხს გაუძღვეს ამოსუნთქვის საშუალება მისცეს, თავად არ ჰქონდეს „მგლის მადა“...

ქვეყნის პირველი პირი უნდა გახდეს მხოლოდ ის, ვისთვისაც სამშობლოს სიყვარული უმაღლესი იდეალია, მზად უნდა იყოს უყოყმანოდ შესწიროს ცოდნა გამოცდილება და სიცოცხლე მის მიწას. ასეთი უნდა იყოს ოპოზიციონერი. საქართველო მწარე სინამდვილის წინაშე აღმოჩნდა, ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და ეგზომ კეთილი ქვეყანა დაანგრიეს „ალენ დალესის გეგმით“ გამოზრდილებმა უმწიფარმა ადამიანებმა.

უნიჭო ხელისუფლება, მომხვეჭელობითაა გართული, ხალხისათვის არ სცალიათ და ამიტომ მათ მიმართ მთლად დაირღვა რწმენა. ცხოვრებამ აზრი დაკარგა.

მიხეილმა ხალხს სიცოცხლე მძიმე ტვირთქვეშ გაატარებინა და მას არ აწამებს სინდისის ქეჯნა.

პრეზიდენტმა ხალხის გადარჩენისათვის თავი უნდა გასწიროს, მაგრამ სააკაშვილი სავარძლისათვის ერს სწირავს.

ადამიანმა ის კი არ უნდა გააკეთოს, რაც მას შეინირავს.

როცა სააკაშვილი, ბურჯანაძე და ჟვანია შევარდნაძეს ესტუმრნენ, ორთაჭალის რეზიდენციაში მათთან ერთად იყო, რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი, შევარდნაძეს მიხეილმა უთხრა: „ბატონო ედუარდ, ნუ განრისხდებით, თქვენ უნდა გადადგეთ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენ იქნებით დაცული და ხელშეუხებელი“.

ბატონო პრეზიდენტო, მთელი საქართველო გთხოვთ, როდესაც ვერ აკონტროლებთ ქვეყანას, უნდა გადადგეთ.

ბატონო მიხეილ, ოპოზიციასთან დიალოგზე უნდა წასულიყავ მანამ, მშვიდობიანი აქცია დაიწყებოდა, წასულიყავ კომპრომისზე, დაგენიშნა დემოკრატიული არჩევნები 2009 წლის გაზაფხულზე, თავიდან აიცილებდი ამ კატასტროფულ აქციას და მესამედ აღარ დაიღვრებოდა სისხლი 6 -მაისს.

თქვენ იმ მაოხრებელ გზირს დაემგზავსეთ, რომლის სიკვდილის შემდეგაც სოფელს, რომ აოხრებდა და განსაცდელში აგდებდა.

ოპოზიციამ ქართველ ხალხის გულისტკივილი, გოდება და მძიმე სევდა, გულთან ახლოს უნდა მიიტანოს და ქართველობაში მიძინებული საუკეთესო თვისებები უნდა გამოაღვიძოს, ერი და ბერი ერთ მუშტად შეკრას, შეასხას ფრთები და მათი დახმარებით დაამხონ მიშას ნაციონალური მოძრაობის რეჟიმი.

დამონებული ხალხი თქვენ შემოგყურებთ ოპოზიციონერები და მტანჯველ რეჟიმიდან განთავისუფლებას ითხოვს.

თქვენ ხალხის კუთვნილება უნდა გახდეთ და ბრძოლის გზად, სწორედ ქართვლეი ხალხის მჩაგვრელებისადმი წინააღმდეგ უნდა იბრძოლოთ და კარზე მომდგარი ისტორიული შესაძლებლობა ორაგულივით ხელიდან არ უნდა გაგვისხლტეს.

დავით სათიხეველი
თეთრიწყარო

გიზო ხაჭიაშვილის მხატვრობა



დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: http://ganmatavisuflebeli.webs.com
ელ.ფოსტა: ganmatavisuflebeli@yahoo.com

რედაქტორი ლეილა ცომაია